1199
1934

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მაცნე

PARIS
1934

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საპოლიტიკო კრებული

მეორე

Ornati

Recueil politique géorgien

თებერვალი — მარტი

პარიზი

1934 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქართული მარქსიზმი

YOU can fool some people all the time, you can fool all peuple some time, but cannot fool all the peuple all the time*).

განსაზღვრულ ისტორიულ ხანაში თუ როგორი აზრები იბადება და იზრდება, ან ჭკნება და კვდება, — ეს ორი მოვლენა — აზრთა სიცოცხლე და სიკვდილი — ხდება განვითარების თანდათანობითი და მიმდევრობითი წესით, ხოლო მათი გამომწვევი მიზეზობრივი კავშირი არ არის მარტოდ და მხოლოდ ის ნივთიერი ნიადაგი, რომელზეც კარლ მარქსი ყველაფერს ამყარებდა: — „მატერიალური ცხოვრების წარმოების წესი აყალიბებს თავის მიხედვით სოციალური, პოლიტიკური და სულიერი ცხოვრების პროცესებს საერთოდ"-ო. ეს დებულება უკვე შესწორებულია, და ისტორიაც გვიჩვენებს, რომ საზოგადოებაში აზრთა წარმოშობა და განვითარება ხშირად წინ უსწრებს იმ ნივთიერ პირობებს, რომელსაც იგი, აღნიშნული დოქტრინის მიხედვით, უნდა გამოეწვია და მას უნდა შეფარდებოდა. რომ ეს მოვლენა — იდეოლოგიის წარმოშობა და მისი გამარჯვება არაა მარტო საწარმოო ძალთა განვითარების პირობებზე დამოკიდებული, — ამას გამოკვეთილად ჩვენი ისტორიაც გვიჩვენებს; ხოლო ჩვენი ისტორია მეორე რამესაც ამტკიცებს: — რომ შეუფერებელ პირობებში იჩქითად და ხელოვნურად გადმოტანილი და გადმონერგილი აზრები თავის თავად სცდილობს არსებულ პირობებს შეეგუოს, შეუთანხმდეს და სიცოცხლის განვითარების საშუალება მოსძებნოს. ამ შემთხვევაში ხდება ამ აზრების დამდაბლება, და მისი — ჩამორჩენილ პირობებთან შეგუებისათვის გადამახინჯება. ამას ჩვენ აშკარად დავინახავთ, როდესაც ჩვენი ისტორიის ერთ ფრიად მნიშვნელოვან მხარეს შევეხებით.

***

---

*) თქვენ შეგიძლიათ ზოგი ხალხი (ზოგიერთი) ყოველთვის ასულელოთ; შეგიძლიათ მთელი ხალხი (ყველა) ზოგჯერ ასულელოთ; მაგრამ არ შეგიძლიათ ასულელოთ მთელი ხალხი მუდმივად.

ინგლისური თქმა.

30663

ერთი შეხედვით, უცნაურ მოვლენად უნდა ჩაითვალოს ის გასაკვირველი მოვლენა, რომ საქართველოში ცხადია, ევროპის დანარჩენ ურებულ ქვეყნებთან შედარებით, — ნივთიერად და კულტურულად ჩამორჩენილ ქვეყანაში, — გავრცელდა ისეთი წმინდა პროლეტარული იდეოლოგია, როგორიც მარქსიზმია.

საქართველოში 1920 წელს ჩამოსული სოციალისტური დელეგაცია განცვიფრებული დარჩა მარქსიზმის ძლევა-მოსილებით და როდესაც გორში ჩვენი გლეხობის ყრილობაზე ტყესავით შრიალებდა მარქსის სურათით შემკული დროშები, ერთმა ევროპელმა სოციალისტმა წამოიძახა: — „მარქს ოლ რონგ!" — მარქსი სავსებით შემცდარია!

მაშ როგორ უნდა აეხსნათ ინგლისელებს და ფრანგებს მარქსისტული იდეოლოგიის გამარჯვება საქართველოში, სადაც კავკასიონის მთებში, მაკდონალდის სიტყვით, წირვის გამოსვლის შემდეგ, მღვდელმა თავისი მისალმება ასე დაასრულა: — „გაუმარჯოს ინტერნაციონალს"-ო!

ამიტომ გასაკვირველი არ არის ლალა ვანდერველდეს თქმაც, რომ „საქართველო არის ერთგვარი ანაქრონიზმი: მისი მცხოვრებნი შესდგებიან უმთავრეს ნაწილად გლეხებისაგან; ესენი კი არიან კარლ მარქსის მიმდევრები"-ო!

როგორ უნდა აეხსნათ ევროპელ სოციალისტებს მარქსის გამარჯვება საქართველოში, სადაც
„ინდუსტრიული მოძრაობანი, ასე დამახასიათებელი დასავლეთისათვის, თითქმის არ არსებობს"; — სადაც
„მისი აგრარული ვითარება 1917 წლის რევოლუციამდე, იყო ფაქტიურად ერთგვარი ფეოდალური რეჟიმი"; — სადაც
„ზოგიერთი თავადის მამულების გარდა, დანარჩენი მიწაწყალი დაქუცმაცებული იყო პატარ-პატარა საკუთრებად"; — სადაც
„ინდუსტრია წარმოდგენილი იყო უმთავრესად პატარა ატელიებით და ან სახლში მუშაობით"; — სადაც
„არ არსებობენ დიდი ინდუსტრიული წარმოებანი და ეკონომიუკრი დამოკიდებულებანი კი განუვითარებელი იყვენ", — რომ დავახასიათოთ საქართველოს ვითარება რამზეი მაკდონალდის სიტყვით.

„ეს აშკარა წინააღმდეგობაა, რომ მთელ მსოფლიოში პირველი ქვეყანა, რომელიც სოციალისტურ ნიადაგზე უნდა მოეწყოს, არის ქვეყანა, სადაც ინდუსტრიული მუშაობა ჯერ კიდევ ძალიან განვითარებული არაა", ამბობდა ცნობილი ბელგიელი სოციალისტი კამილ ჰუისმანსი, და ამის მიზეზს სოც-ის მეთოდიურ პროპაგანდაში ეძებდა.

სხვები კიდევ ზერელედ და თეორიულად მჯელობდენ ამ უცნაური მოვლენის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რასაკვირველია, საქართველოს პირობების ისტორიის შეუსწავლელად შეუძლებელია ამ საკითხის გამორკვევა. ჩვენის მხრივ, ჩვენ შევეცდებით ამ საკითხს სრულიად მიუკერძებლად მივუდგეთ და გამოვარკვიოთ ის მიზეზობრივი კავშირი, რომელმაც მარქსიზმს საქართველოში ასე ფართო გასაქანი მისცა.

***

ჩვენ არ დავმალავთ, რომ საქართველოდან ევროპაში გადმოსვლის დროს (1919 წ.) ქართული მარქსისტული მოძრაობის პოზიტიურად დაფასების საკითხში ჩვენ ეჭვები შეგვეპარა და გაგვიძლიერდა, როცა ევროპის ყოფა-ცხოვრებას დავაკვირდით და წიგნის გარეშე გადავიხედეთ, — ეს ეჭვები შემდეგ კრიტიკად გარდაიქცა, ხოლო საქართველოს რესპუბლიკის დაღუპვის შემდეგ მწარე ფიქრებმა და განცდებმა შეგვიპყრო. ბუნებრივად უნდა ჩაითვალოს ეს უკანასკნელი მოვლენა და ღრმად დარწმუნებული ვარ, რომ იგი კერძო და პიროვნული არ იყო, — ეს საზოგადო იყო ყველა მისთვის, ვისაც გონების თვალზე ლიბრი გადაკრული არა ჰქონდა, ან გარდასულ ბრძოლათა, თუ საკუთარი მოღვაწეობის წინაშე ყალბი თავმოყვარეობითა და განდიდებული პატივით დაზიანებული არა ყოფილა..

***

მეტის მეტად ღრმა, რთული და მძიმე ცვლილება განიცადა ქართულმა ცხოვრებამ იმ მოვლენათა შედეგად, რომელიც მას ბედითად უკანასკნელი თაობის გასწრივ ზარივით თავს დაატყდა. ერის ისტორიაში ასეთი მძაფრი ქარიშხალისა და შეუკავებელი ნგრევის შემდეგ, — ჩვენ გასაკვირველად (თუ სავალალოდ არა!) ის მიგვაჩნია, რომ სოციალდემოკრატიულ პარტიაში, ანუ უფრო სწორედ რომ ვსთქვათ, მის ხელმძღვანელობაში ისეთი პირები არ აღმოჩნდენ, რომელთაც მოსურვებოდათ უკან გადაეხედათ, განვლილ ხანას დაკვირებოდენ და მისი გარკვევის სურვილი გამოეჩინათ.

რა მაქნისია ისტორია, თუ მას არ შეისწავლი, გასრულ და დასრულებულ ხანას ანალიზს არ გაუკეთებ, ავსა და კარგს არ გაარჩევ, მისგან გაკვეთილებს არ მიიღებ და მომავალისათვის საჭეს ისე არ მომართავ, რომ ჩადენილი შეცდომები კვლავ არ განიმეორო და ცხოვრების ატეხილ ღელვაში საკუთარი გემი გადაარჩინო!

აი, ეს უბრალო, სადა ჭეშმარიტება ჩვენი ხელმძღვანელობისათვის მიუღებელი შეიქმნა, — ალბად თავის თავის წინაშე შიშის გამო! მართალია, საკუთარი მოღვაწეობის კრიტიკული განხილვა საამო არ

არის, მაგრამ როცა ამ მოღვაწეობასთან ერის ბედი იყო დაკავშირებული, ვფიქრობთ, იგი სავალდებულოა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს უკან მიხედვა, წარსულის გასინჯვა ქვემოდან დაიწყო, — დაიწყო იგი არა სოც. დემ. პარტიის ხელმძღვანელობისაგან, არამედ პარტიის მომქმედ წევრებისაგან, მათგან, ვინც ათეული წლების განმავლობაში პარტიას უანგაროდ ემსახურებოდენ.

არასოდეს არ დაგვავიწყდება სოც. დემ. პარტიის ერთი ბურჯთაგანის სიტყვები: — ეხ, ჩემო მეგობარო, მე რა ვიცოდი! ევროპაში ეგენი იყვენ! თეორეტიკოსებიც ეგენი იყვენ! მაგათ უნდა სცოდნოდათ, რა იყო კაპიტალიზმი და სოციალიზმი ,თორემ მე საიდან მეცოდინებოდა? რასაც მეუბნებოდენ, მეც მჯეროდა! რასაც მავალებდენ, მეც ვაკეთებდი! ღმერთმა იცის, მთელი ჩემი ქონება და პირადი ცხოვრება მაგათ გადავაყოლე! ვენდობოდი უსაზღვროდ და აი, ხომ ხედავ, სად მოვედი!

ამ სიტყვების ავტორს ჩვენ არ ვასახელებთ, —იმედი გვაქვს იგი თვითონ არ დამალავს იმ მწარე განცდებს, რითაც მისი გული და სული დაუზოგველად დაიმდურა.

ჩვენ ვსთქვით, რომ წარსულის კრიტიკა ქვემოდან დაიწყო, მათგან, ვინც სოც.დემ. პარტიულ ხალხთან და საერთოდ ხალხთან ახლოს იყვენ. მაგრამ ეს უკვე დიდი ხანის წინ წამოწყებული, ჯერ კიდევ ბნელაში მოფათურე კრიტიკა გარკვეულ სახეობას ვერ ღებულობდა, ვინაიდან იყო და არის შიში ადამის-წლის ანდაზის თანახმად: — ნუ დაჰკარგავ ძველსა გზასა... და გასაგებია ადამიანის ბუნების კონსერვატიზმი, უმჯობესადაა მიჩნეული შეჩვეული ჭირი, და კიდევ მეტი! : — საფრთხილოა ახალის თქმა; თქმა მოქმედებას მოითხოვს, სიტყვა საქმეს საჭიროებს მაშინ ოდეს ათეული წლის მანძილზე დაუდეგარი მუშაობით, გამძაფრებული ბრძოლით და გარდახვეწილობაში მწარე ცხოვრებით ბევრი დაიქანცა და დაიტანჯა. და ვინც კი ბედავს სთქვას, მას საყვედურით ავსებენ და თავს ესხმიან! ეს უკანასკნელი ჩვენ ბუნებრივადაც მიგვაჩნია და არც გვაჯავრებს. არც იმისი გვეშინია, რომ იოლი ხელით, წასისიანებით და დაბეზღებით ბრძოლას დაგვიწყებენ, — ვინაიდან ერთ დადებითი მოვლენა მაინც მოგვიტანა თავზე დამტყდარმა უბედურებამ: — აღარა აქვს საფუძველი და ძირი მოალპა მოქადაგეთა ჯირკს; აღარა აქვს მნიშვნელობა ღობე-ყორედან სიტყვების რახარუხს; აღარავის ეშინია, რომ დაუძახებენ შოვინისტს, ნაციონალისტს, შავრაზმელს, რეაქციონერს და სხვას ასეთს, რასაც პოლიტიკურ სიტყვათა ძველ (და არც ისე ძველ!) ლექსიკონში დიდი ადგილი ჰქონდა დათმობილი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერის ცხოვრებაში ისეთი იდეოლოგიური მიმართულება იჭრება ხოლმე, რომელსაც ამ ერის ეკონომიურ და სოციალურ აღნაგობაში ადგილი არ უნდა ჰქონდეს. ურყევი დებულებაა, რომ მარქსიზმი განვითარებული კაპიტალიზმის ნიადაგზეა აღმოცენებული და გაზრდილი; რომ მისი მთავარი სოციალური ცნებანი სამეურნეო ცხოვრების ისეთ საფეხურთან არიან დაკავშირებული, სადაც პროლეტარიატი ნებსით თუ უნებლიეთ კაპიტალიზმს უპირდაპირდება: — კაპიტალიზმი და სოციალიზმი უმთავრესად ევროპიული მოვლენაა და მხოლოდ ევროპის ეკონომიური ისტორიის თვალსაზრისით შეგვიძლია ქართული მეურნული ცხოვრების გზებიც განვიხილოთ.

და როდესაც ჩვენ ქართულ ისტორიას ვუკვირდებით, ჩვენთვის აშკარა ხდება, რომ მაშინ, როცა ჩვენში მარქსიზმის ქადაგება დაიწყო და მის მომდევნო ხანებში (1890 წლებიდან.), საქართველოს სამეურნეო ცხოვრება გამოდიოდა მხოლოდ წინაკაპიტალისტურ ასპარეზზე. ეს ასპარეზი იყო ნიადაგი კაპიტალისტური განვითარების მხოლოდ დაწყებისათვის, ხანა, რომელიც კაპიტალიზმს წინ უძღოდა. და აი, ასეთ ხანაში, მეურნეობის წინაკაპიტალისტურ საფეხურზე, მარქსიზმს რა ძალა და უნარი უნდა გამოეჩინა? სრულიად მისთვის შეუფერებელ პირობებში?

სამართლიანად ნათქვამია, რომ თითოული ქვეყნის თავში მარქსიზმი თავისებურად გადატყდაო, — ეს თქმა ქართულ მარქსიზმსაც უდგება.

მარქსიზმის ქადაგება დაიწყო არა მისთვის შესაფერ პირობებში, არამედ ჩამორჩენილ და განუვითარებელ ნიადაგზე. ამით ეს გერმანული მარქსიზმი ქართულ მარქსიზმად გადაიქცა, — ესე იგი, დამახინჯდა და გადაგვარდა. და ეს გასაგებია: — გერმანული მარქსიზმი საქართველოში ხელოვნურად მოტანილი და დიდი შრომითა და უნარით არა შესაფერის მცენარეზე დამყნილი, — დაკნინდა და ისეთი მიმართულება მიიღო, რომელმაც ერის ინტერესები ძალზე დააზიანა. ამისი ბრალი მხოლოდ ხელმძღვანელობას ეკისრება, იდეოლოგებს, რომელთაც უცხოეთში გამზადებული, უკვე გადაცოხნილი თეორია უკრიტიკოდ და იოლად ჩვენში გადმოიტანეს.

ჩვენ აქ გვაინტერესებს ქართული მარქსიზმის ქადაგება-ზრდა და და გავრცელების ნიადაგი; როგორ გახდა შესაძლებელი, რომ ეს პროლეტარული იდეოლოგია ქართველი ხალხისათვის მისაღები შეიქმნა! რით აიხსნება ის მოვლენა, რომ მარქსიზმმა საქართველოში ასე ფარ-

თოდ გაშალა ფრთა და თითქმის მთელ ხალხს გადაეფარა? აქ არის საკითხის გული და იგი უნდა განიპოს, გაისინჯოს და გაირკვეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**
*

წინაკაპიტალისტურმა განვითარებამ ყველა ქვეყანაში დიდი ტკივილები გამოიწვია. ნატურალური მეურნეობის საშოდან გამოსვლის დასაწყისი და ფულადი მეურნეობის ფეხის შემოდგმა — თითოული ქვეყნის ყველა ძველ ბჭეს ანგრევს; ირღვევა ძველი ეკონომიკა, იშლება ძველი სოციალური წყობა; ნადგურდება ადათი და ზნე-ჩვეულება; ულვაშს ღირებულება ეკარგება; ძველ რაინდულ მსოფლმხედველობას ძირი ეთხრება და ახალის დასაწყისში ხდება ძველ და მოსულ ძალთა შეჯახება, დაუზოგველი და შეუწყალებელი.

ეკონომიური ცხოვრების განვითარებაში, თუ შეუძლებელი არა, ძნელია მაინც განსაზღვრული თარიღის დადება: — ამა და ამ დროს დაიწყო ესა და ეს ეკონომიური საფეხური და აქ დასრულდაო, — ვინაიდან ერთი საფეხურიდან მეორეზე გადასვლა თანამიმდევნობით ხდება და რევოლუციას თუ ადგილი აქვს, ისიც ევოლუციის დასასრულია დათავებული პროცესისათვის ახალი შინაარსის გაფორმებისათვის და ჩამოყალიბებისათვის.

მაგრამ საქართველოს განვითარების პირობებისათვის მაინც შეიძლება უხეშად ითქვას, რომ წარსული საუკუნის სამოცდაათიანი წლებიდან ჩვენში ფულადმა მეურნეობამ ფეხი აიდგა და ქვეყანამ დაიწყო წინაკაპიტალისტური განვითარების გზაზე ტაატით სიარული.

დაკვირვებულმა ქართველმა მოაზრეებმა ეს კიდევაც იგრძნეს და მათ შორის სერგეი მესხი ამ ხანის დასაწყისს შემდეგნაირად ახასიათებდა: —

„ეს გამწარებული ფაცი-ფუცი, ეს ძებნა ადვილად შესასრულებელი და ბევრის ფულების მომცემი საქმისა და შრომისა, ჯერაც არ დაწყნარებულა. ეხლაც არიან ისეთი პირნი, რომელთაც იმედი აქვთ. რომელნიც სცდილობენ აყალო მიწაში ოქროს მადნები აღმოაჩინონ, რომელნიც სხვა და სხვა უსახელო კომპანიებს ადგენენ და სხვა და სხვა. და ჩვენ სრულიადაც არ გვსურს, რომ ამგვარი მიმართულება, ეს ლტოლვილება ჩვენს საზოგადოებაში ერთბაშად მოისპოს. ჩვენის აზრით, ამგვარ ფაცი-ფუცს, ამნაირ უსწორმასწორო და ბნელ გზაზე ხეტიალს იმ ნაყოფის მოტანა შეუძლია, რომ ბოლოს და ბოლოს სწორ გზაზე დავდგებით; ცხოვრება თვით გამოგვაფხიზლებს და გვიჩვენებს, რომ შეუსრულებელი პროექტების დევნა ხელს არ მოგვცემს, რომ უეცრად მანქანის ძალით, — გამდიდრების მაგიერ — ჩვენ ბეჯით სწავლას, გულმოდგინე შრომას და ასასრულებელ საქ-

მეებს უნდა შევუდგეთ“...

ფულის ციებ-ცხელებამ ჯერ ქალაქი შეიპყრო, ხოლო სოფელი მისგან შორს იყო. ამ ფულმა, რომელიც უმთავრესად მხოლოდ ვაჭრობასთან იყო დაკავშირებული, ძველი ცხოვრების რისხვა გამოიწვია, — რაც შესანიშნავად ქართულ მწერლობაშიც გამოიხატა. — ჩვენ ამას ოდესმე ცალკე შევეხებით.

ქართულ ცხოვრებაში ფულის შემოჭრამ ბუნებრივად გამოიწვია ძველი წესების ნგრევა და ძველი ცხოვრებაც ფულის წინააღმდეგ ამხედრდა. თუ ამ ფაქტს იმ მოვლენას დავუმატებთ, რომ ეს ფული უმთავრესად უცხო ტომის ხელში იყო, უფრო მეტად, სომხობის ხელში, — ადვილი გასაგები იქნება ის ძლიერი თავდასხმაც, რაც ქალაქის სომხობამ განიცადა. ეს იყო რეაქცია გამოწვეული წინაკაპიტალისტური მეურნეობის დაწყების წინააღმდეგ, — რეაქცია ფულისა და ვაჭრობის მიმართ, აღმოცენებული და ანარეკლი ფეოდალურ წესზე და ფსიქიკაზე.

**
*

ასე პირობებში როგორ უნდა გაეგო პარტიას იდეოლოგების მიერ ნაქადაგები მარქსიზმის დოქტრინები? როგორ უნდა შეეთვისებია პარტიის მომქმედ ძალას, დიდათ ენერგიულ და თავდადებულ მის მოქადაგეთ, თვით ხალხს, კაპიტალიზმის წინააღმდეგ გალაშქრება და სოციალიზმის დამყარების საკითხი?

სოციალდემოკრატიის ეს მომქმედი და მებრძოლი ძალა ხომ ციდან არ ჩამოვარდნილა! არც ევროპიდან მოსულა! იგი გამოვიდა ქართველი ხალხისაგან, — იგი მასთან იყო დაკავშირებული ნივთიერად და სულიერადაც.

ეგნატე ნინოშვილის დაკრძალვაზე (1894 წ.) პირველად გაისმა ეგრედ წოდებული მესამე დასელების ანუ მარქსისტების ხმა. ერთ ერთ სიტყვაში, დასაფლავებაზე, ჩვენი ქვეყნის ვითარება და ჟურნალ „კვალის“ ამოცანა შემდეგნაირად იქმნა დახასიათებული: —

„ჩვენი ახალი ბატონი ის ნივთიერებაა, რომელსაც ფულს ეძახიან. ამ ახალი კერპის გახურებულ თითებზე იხრაკება შეუბრალებლათ ურიცხვი მსხვერპლი, მის წინაშე იდრეკენ მუხლს ძველი ყმა და ბატონიც, მის უდაურ უფლებაში გადადის ყოველგვარ შრომის იარაღი და აქედან ყველა შრომის წარმომადგენელნი მის ყურმოჭრილ მონად ხდება, თვით მეცნიერებაც კი. ამ ახალმა ბატონყმობამ კარგა ხანია დაამთავრა ზრდა მოწინავე ერთა შორის, სადაც საშინელი ბრძოლა გამოიწვია. ჩვენში კი, თუმცა ის ახალი დაბადებულია, ბავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შვია, მაგრამ სამაგიეროდ ეს ბავშვი საუცხოვო თვისებისაა, შესა-
ნიშნავი სისწრაფით იცის ზრდა. ამაში გვარწმუნებს სტატისტიკური
ცნობები ჩვენი მეზობელი ერის ცხოვრების. (ნეტავ რომელი იყო
ეს მეზობელი? ვ. ნ.). ამნაირად ჩვენი აწინდელი ცხოვრება წარმო-
ადგენს ორ ახალს, ერთი მეორის მოწინააღმდეგე წოდებას ანუ კლასს
(?. ვ. ნ.). ერთი მხრივ ფიზიკური და გონებრივი შრომის წარმომად-
გენელნი, მეორეს მხრით მუქთა ხორა ბურჟუა-კაპიტალისტები. პირ-
ველთა ხვედრია: აუტანელი შრომა-გარჯა, მეორეთა კი დასაკუთ-
რება ამ შრომის ნაყოფისა. აი სად ტყდება ხიდი ჩვენში და ზოგან
კი კარგა ხანია გარღვეულიცაა. ამ უკულმართობის დასამარცხებლად
არის, ერთი მეცნიერის სიტყვით (მარქსი. ვ. ნ.) რომ ვსთქვათ, ორ-
სულად ახლანდელი ჟამთა ვითარება. ამ მშობიარობის დასაჩქარებ-
ლად და გასაადვილებლად იღწვიან კიდევაც საუკეთესო წარმომად-
გენელნი ახალი თაობისა. ამ ახალ კვალზე დადგომა აშკარად ეტყობა
ჩვენს ახალს „კვალსაც". ეს ჭეშმარიტება შეიგნო და მისკენ ჰქონდა
მიმართული თავისი ქნარი ჩვენს შესანიშნავ ნიჭის მქონე ინგოროყ-
ვასაც"...

თუ ასეთი სადა გაგებით განიმარტებოდა კაპიტალიზმისა და სო-
ციალიზმის საკითხი, — როგორ-ღა უნდა გაეგო და შეეთვისებია იგი
ხელმძღვანელობის მიმყოლ თავდადებულ ლეგიონს, რომელსაც პა-
რტიის მოქადაგენი შეადგენდენ.?

რასაკვირველია, აქ ეს ამბავი, მძიმედ გასაგები და ქართული თა-
ვისათვის ძნელად ასატანი, საშინლად ხურდავდებოდა და ქართულ
ფეოდალურ ფსიქოლოგიას ეთვისებოდა.

ქართული ცხოვრების წინაკაპიტალისტურ ეპოქაში ფულის წინა-
ალმდეგ ბრძოლამ და სოციალიზმის დამყარებისათვის ქადაგებამ გა-
რკვეული ხასიათი მიიღო: — ეს იყო ბრძოლა ფულის წინააღმდეგ,
— ეს იყო ბრძოლა ქარხანის წინააღმდეგ. ამ მოვლენის გამახვილებუ-
ლი მაგალითი ჩვენ გვაქვს: ესაა: — დაბა ჭიათურის დალეწვა და გა-
ცარცვა „გლეხ-მუშების" მიერ (1904 წ.); ესაა ბათუმში არსებულ
ქარხანასთან ბრძოლა, რაც იმით დასრულდა, რომ მეპატრონემ ქარ-
ხანა დახურა! ჩვენ არ გვავიწყდება ის ერთი დიდი ყრილობაც, სადაც
ზღვა-ხალხმა ჯოხების ქნევით იგრიალა: — ძირს ფული! ძირს ფული!

სიტყვა: — ძირს ბურჯუაძეები! „კლასთა ბრძოლის" სიტყვათ გა-
დაიქცა და მთელ საქართველოს მოედო, — იგი დაბოლოს მორალად
გახდა და „მუქთა-ხორული" ვაჭრობა სამარცხვინო საქმედ იქმნა
გამოცხადებული და „სისხლის მწოველი" ვაჭრები ბოროტების მა-
ტარებელად. ეს ჩვენს თაობასაც კარგად ახსოვს! და როდესაც 1917

ეროვნული ბიბლიოთეკა

წლის რევოლუციის დროს, ფარაჯა გადაცმულმა ხალხმა მოქალაქეთა მიერ მისთვის მიცემული თამასუქების განაღდება მოითხოვა და —ძირს ბურჯუაძეები!— დაიგრიალა, ეცა დუქნებს და ლაწალუწი დააწყებია. დადგა საერთო ცარცვის ხანა და ჩვენ იძულებული გავხდით ამ ხალხს ტყვიით გავმასპინძლებოდით! ეს არ იყო უბრალოდ ცარცვის ინსტიქტი, — ეს იყო ათეული წლის მანძილზე კლასთა ბრძოლის შესახები ქადაგების შედეგი. კლასთა ბრძოლის თეორია პარტიის მოქადაგეთ და საერთოდ ხალხს სხვაგვარად არ შეეძლო გაეგო, — ვერც გაიგებდა!

— ძირს ბურჯუაძეები! — ეს იყო ის ნამდვილი თქმა, რომელიც ჩვენი ხალხის სულსა და გულს ხვდებოდა, მის ფსიქოლოგიას არსებითად და სავსებით შეეფერებოდა. ამიტომ კაპიტალიზმის წინააღმდეგ იდეოლოგიურმა ბრძოლამ და პრაქტიკულმა მოღვაწეობამ რეაქციონური ხასიათი მიიღო, რადგან იგი იყო თვით კაპიტალიზმის წინააღმდეგ მიმართული, — და ეს ხალხის ფეოდალურ ფსიქოლოგიიდან, ქვეყნის გაგებიდან და ცხოვრების შემეცნებიდან ბუნებრივად გამომდინარეობდა.

***

სოციალზმზე წარმოდგენამ ქართველი ხალხის ათვისებაში აგრეთვე გარკვეული ხასიათი მიიღო. მის შეგნებაში სოციალიზმი ქონების განაწილებად იქმნა აღიარებული და ამას მეტის მეტად ხელი შეუწყო თვით ქართველი ხალხის იმ სოციალურმა ფილოსოფიამ, რომელიც მან არსენას ლექსში გენიალურად გამოხატა: — მდიდარს ართმევ, ღარიბს აძლევ, ღმერთი როგორ წაგახდენსა!

სიტყვა „სოციალიზმი“ მრავალნაირად განიმარტება და ვის გაუკვირდება, რომ ქართველმა ხალხმა ამ სიტყვაში თავისი სურვილი ჩასდო! ღარიბ ხალხს სოციალიზმი გამდიდრების წყაროდ მოეჩვენა და ორიოდე კუჭგამხმარ მემამულესა და კუდმომწვარ ვაჭარს ეკვეთა! ასეთი იყო ჩვენებური კლასთა ბრძოლა!

***

ყველა ზემონათქვამს რომ თავი მოვუყაროთ და დავასკვნათ — უნდა ვსთქვათ — რომ ჩვენი ქვეყნის მეურნეობის მდგომარეობისათვის და სოციალური წყობის ვითარებისათვის მარქსიზმის თეორია სრულიად შეუფერებელი იყო და რასაკვირველია, ეს გერმანული მარქსიზმი ქართულ მარქსიზმად გადაიქცა, ქართველი ხალხის შეგნებაში თავისებურად გადატყდა და შეეგუა იმ აზროვნებას, რომლის მატარებელი თვით ეს ხალხი იყო. შედეგად მოგვეცა: — ფეოდალური მარქსიზმი; მარქსიზმი შეზრდილი ფეოდალურ ფსიქოლო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიასთან და მსოფლმხედველობასთან. და ეს არის ის რეაქცია, რომელიც ჩვენს ქვეყანაში წინაკაპიტალისტურმა განვითარებამ გამოიწვია.

***

რომელიმე ქვეყანაში კაპიტალისტური წარმოების განვითარების პირობები აუცილებლად ისეთ ნიადაგს მოითხოვს, რომლის გარეშე მას სიცოცხლე და ზრდა არ შეუძლია. პირველად ყოვლისა ესაა თვით კაპიტალის არსებობა და მისი გამოყენების საშუალება და მასთან დაკავშირებულია ქვეყნის მიერ ჭარბი მოსახლეობის შედეგად მუშახელის მიცემა და კაპიტალის წამოწყებებში მისი ჩაბმა.

საქართველოში არც ეს კაპიტალი არსებობდა და რაც იყო მეტად მცირე და უცხოელების ხელში, — და არც სოფელი იძლეოდა ჭარბ ხელს, რომელიც მას უნდა აემუშავებია. .

ქართველი გლეხი ისტორიულად და სუბიექტიურად ისე მჭიდროდ იყო მიწასთან დაკავშირებული, რომ მოშორება და ქალაქად სამუშაოდ წასვლა მის მორალურ სიკვდილს უდრიდა. სამწუხაროდ, ჩვენ მთლიანი სტატისტიკური ცნობები არ გაგვაჩნია, მაგრამ რაც ხელთა გვაქვს, ისიც მეტად საყურადღებოა. —

1886 წ. ტფილისში არსებობდა 8 თამბაქოს ქარხანა, და მათში მხოლოდ 619 კაცი მუშაობდა. აქედან 428 მუშა ანუ 69% სომეხი იყო, 164 — ქართველი და 27 სხვა და სხვა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ ციფრების განზოგადოება და იმისი თქმა შეიძლება, რომ იმ საწარმოო წამოწყებებში, რომელიც ნელიად ჩვენში იქმნებოდა, უმთავრესად უცხოელები მუშაობდენ: — საქართველოში ომის შედეგად გადმოხვეწილი ამბოკარი ანუ უმამულო სომხები, აისორები, ბერძნები, თათრები, რუსები და სხვები. ეს ჭრელი, ნიადაგ-დაკარგული უცხო ხალხი იყო ის პირველი ნამდვილი მუშა, რომელიც ქარხანამ თავის კედლებში ჩააყენა.

ქართველობა ეგრე იოლად თავის პატარა ნაკვეთ მიწას ვერ შორდებოდა და თუ დაბოლოს მიწის სივიწროემ დ სოფლის სიღარიბემ ზოგიერთი აიძულა ქალაქს გასულიყო და სამუშაო მოეძებნა, იგიც კი იმის ცდაში იყო, რომ ფულის შოვნის შემდეგ ისევ სოფელს დაბრუნებოდა და საკუთარი პაწია მეურნეობა მოეწყო. ეს მოვლენა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში მეტად შესამჩნევია და დამახასიათებელი. ეს პროცესი ჩვენს თაობასაც კარგად ახსოვს.

ტყვიბულის, ჭიათურის და ქალაქის მუშებიც კი ისეთი მუშებისაგან შესდგებოდენ, რომელნიც ცალი ფეხით სოფელზე იყვენ მიჭედილი და გლეხის ფსიქოლოგიას ატარებდენ. ამიტომ შედარებით

ადვილი იყო გაფიცვების მოწყობაც, ვინაიდან გაფიცულები უმთავრესად ისევ სოფელს უბრუნდებოდენ და იქ თავის სასოფლო მუშაობას ეწეოდენ, სანამ გაფიცვის კომიტეტი მათ არ აცნობებდა მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების ან დამარცხების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშა-პროლეტარი ევროპიული გაგებით საქართველოში მასსიურად არც არსებობდა, — და ჩვენ გლეხ-მუშას, რომელიც დროებით მაღაროში ან სხვაგან სამუშაოდ მიდიოდა, ევროპიული ქარხნული შრომის ატანაც კი არ შეეძლო. ევროპიელი მუშა უკვე ისტორიულად შესულია შრომის დისციპლინის პირობებში, — და ქართველი მუშაგლეხი კი ამ ქარხანულ თუ მაღაროს შრომის ატანას ვერ უძლებდა. ამიტომ კაპიტალიზმის დამხობისა და სოციალზმის დამყარების ქადაგებისათვის მარქსიზმს ამ წრეში დიდი გასაქანი მიეცა. ამ მუშა-გლეხს, რომელიც იძულებული იყო დროებით ქალაქად ან ჭიათურას და ტყვიბულს წასულიყო, სძულდა ეს შრომა, მისთვის შეუჩვეველი, უცხო და მძიმე, მით უფრო რომ წინაკაპიტალისტური განვითარების დროს საერთოდ ექსპლოატაციის სიმძიმე სწორედ მას აწვება. ამიტომაც იყო, რომ კაპიტალიზმის წინააღმდეგ ბრძოლამ და სოციალიზმის ქადაგებამ ამ მუშაგლეხში დიდი თანაგრძნობა მოიპოვა და ამ ანტიკაპიტალისტურ მოძრაობას მიენდო და გაჰყვა. ეს მოვლენა, როგორც ვხედავთ, ჩვენი ეკონომიური და სოციალური პირობების ჩამორჩენილობასა და პრიმიტივობას მიეწერება და არა იმას, რომ ქართველი „პროლეტარიატი“ შეგნებულად კლასთა ბრძოლის ნიადაგზე დადგა და მან სოციალიზმის იდეა შეისისხლხორცა!

განა დამახასიათებელი და შესამჩნევი არ არის ის ამბავი, რომ ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნის შვილი, ბელგიელი სოციალისტი კამილ ჰუისმანსი, ჩვენში რამოდენიმე დღის ყოფნის შემდეგ, ერთ-ერთ კრებაზე ტფილისელ მუშებს (1920 წელს) შემდეგს ეუბნებოდა: —

„თქვენ შეასრულეთ შესანიშნავი საქმეები, მაგრამ თქვენ კიდევ უნდა ისწავლოთ მუშაობა (შრომა)“-ო.

ჩვენ არ უარვყოფთ, რომ ამ მუშაგლეხთ გარდა, რომელნიც დიდ უმრავლესობას წარმოადგენდენ, იყვენ აგრეთვე ნამდვილი მუშებიც, პროლეტარები, უკვე კარგა ხანი სოფელს მოწყვეტილი და მხოლოდ თავისი სამუშაო ძალის მიმწოდებელი. ქართველ მშრომელ ელემენტებში ისინი უმცირესობას წარმოადგენდენ და ისიც უმთავრესად სავაჭრო დაწესებულებებში იყვენ ჩაბმული. ესენი იყვენ ნოქრები, მოსამსახურენი; რომელთა პირველი საზრუნავი ის იყო, რომ მომავალში „გახაზეინებულიყვენ“, რაც ჩვენში არსებულ წვრილი ვაჭრობის

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირობებში არც ისე მიუღწეველი მიზანი იყო. ვინც ჩვენს ეკონომიურ განვითარებას თვალს გადაავლებს და მას გაიხსენებს, — იგი ჩვენთან ერთად იტყვის, რომ წვრილ ვაჭართა კადრი სწორედ მათი წრიდან გამოდიოდა.

ქართული „პროლეტარიატის" რაზმებს ეს ელემენტები ავსებდა: ეს იყო: ნახევრად მუშა, ნახევრად გლეხი — მუშაგლეხი. და მათ შორის ამბოკარი მცირე ნაწილს თუ წარმოადგენდა.

***

უძველესი დროიდან საქართველოს სამეურნეო ცხოვრებაში ხელოსნობა მნიშვნელოვან როლს თამაშობდა და მას უმთავრესად მოსული ხალხი ეწეოდა. სახელოვან ქალაქი დღემდე ტფილისს შერჩა, — და ამ ტფილისში, ამ ქალაქში, ვაჭრობა ხელოსნობა არა ქართველების ხელში იყო. ეს მდგომარეობა უკანასკნელ ხანამდე გაგრძელდა, თუმცა ქართველობამაც, განსაკუთრებით მე-19-ე საუკუნის დასასრულს და მეოცის დასაწყისში მკვიდრად ფეხის-მოდგმა დაიწყო. ქალაქის მცხოვრებთა დიდ ნაწილს წვრილი ვაჭრები და კიდევ მეტი ხელოსნები შეადგენდენ. ქართულ ბაზარზე უცხოეთის თუ რუსეთის მიერ შემოტანილი საქონელი ჩვენს ხელოსნებს დიდ ჯიბრს უწევდა და მათ ეკონომიურ მდგომარეობას არყევდა.

წინაკაპიტალისტურ და თვით კაპიტალისტურ ხანაში ყველგან განსაკუთრებით მწვავე იყო ის წინააღმდეგობა, რომელსაც ხელოსნები ქარხანასა და ქარხანულ საქონელს უწევდენ. ეს ამბავი ჩვენშიც დაიწყო, მაგრამ ხელოსნობამ აქ ისეთი ძმური და მეგობრული დამხმარე ძალა იპოვა, რომელიც სხვა ქვეყანაში მას არ გასჩენია მისი ბრძოლების დაწყების დროს. ეს მეგობარი იყო ქართული მარქსიზმი, რომელიც კაპიტალიზმს ებრძოდა და კაპიტალიზმისთვის წინააღმდეგობა ამ ხელოსნებისათვის სასიცოცხლო ინტერესს წარმოადგენდა. ამიტომ ხელოსანთა დიდი ნაწილი თავის მებაირახტრედ მარქსისტულ პარტიას აღიარებდა და მას მისდევდა. ეს იყო მთავარი მიზეზი იმისა, რომ დერეიკი, მეწაღე, ნალბანდი, და სხვა მრავალი ასი სხვა და სხვა მოხელე თავის ამქრულ დროშასთან ერთად წითელ დროშასაც მიაფრიალებდა. ეს ღარიბი ხალხი, საკუთარი შრომითა და ერთი ან ორი შეგირდის შემწეობით რომ ოჯახს ძლივს არჩენდა, რასაკვირველია, კაპიტალიზმის წინააღმდეგი ბრძოლით მეტად დაინტერესებული იყო და ამგვარად იგი რეაქციონურ სულს ატარებდა, — ეს მისი რეაქციონერობა კაპიტალიზმის შემოსვლის წინააღმდეგ იყო მიმართული.

ამგვარად, თუ ქალაქის ამბებს დავასრულებთ, უნდა აღვიაროთ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ქალაქად მარქსიზმს მიეკედლა მუშა, გლეხიმუშა, ხელოსანი, და სხვა პროტესტანტული ელემენტი. -- ამ შემადგენლობიდან უმრავლესობა თავისი ბუნებით, თავისი ინტერესებით და ნატურალური მეურნეობის ხასიათიდან გამომდინარე მსოფლმხედველობით მოძულე იყო კაპიტალიზმისა და როცა მარქსიზმი მის დამხობას მას პირდებოდა, იგიც გახარებული ამ მისთვის მომაკვდინებელი კაპიტალიზმის დამასამარებელი პარტიის ერდგული მებრძოლი გახდა. ეს იყო რეაქცია კაპიტალისტური მეურნეობის, დაწყების წინააღმდეგ, — და მარქსიზმი საქართველოში ფაქტიურად ამ რეაქციის ხელმძღვანელი შეიქმნა.

***

ჩვენ ცხოვრებაში განსაკუთრებული ადგილი სოფლის შრომელთ კერძოდ გლეხობას ეკავათ და დღესაც უკავიათ. საქართველო — ეს სოფელია — და მცხოვრებთა დიდი უმეტესობა სწორედ გლეხობისაგან შესდგება. ამიტომ მეტად საინტერესოა, თუ ისინი როგორ შეხვდენ მარქსისტულ მოქადაგეებს.

ნოე ჟორდანია 1904 წ. სწერდა: — „ჩვენ გვწამს, რომ ერთათ ერთი კლასი, რომელიც პირდაპირ დაინტერესებულია სოციალიზმის განხოციელებაში — არის პროლეტარიატი. სოციალიზმი პროლეტარიატის ფილოსოფიაა. მარა ეს იმას არ ნიშნავს, რომ მან უნდა გადასდვას თავისი იდეალის განხორციელება მანამდის, სანამ ყველა წვრილი მესაკუთრე არ გაქრება და პროლეტარიატის რაზმში არ გადავა. პირიქით, ის სცდილობს კაპიტალიზმი რაც შეიძლება მალე შემუსროს (!. ვ. ნ.) და ამისთვის წვრილ მესაკუთრეთა შორის სოციალისტურ პროპაგანდას ეწევა და აი, გლეხობა თანდათან რწმუნდება, რომ მისი მდგომარეობის ნამდვილი გაუმჯობესება შეუძლებელია დღევანდელ წყობილებაში და პროლეტარიატისკენ გადადის. მაშასადამე, ს.-დემოკრატიის ინტერესია, გლეხობა მოიმხროს როგორც გლეხი და არ უცადოს მის გაპროლეტარებას“..

ასეთი გაგებით აღჭურვილი ქართველი მარქსისტები, რასაკვირველია, უნდა სცდილიყვნ ქართველი გლეხი „გაესოციალისტებიათ“ და თავის რიგებში ჩაეყენებიათ. ეს ასეც მოხდა ნაწილობრივ, მაგრამ ამისი მიზეზი ის არ იყო, რომ გლეხობა „პროლეტარიატისაკენ გადადის“...

კაპიტალიზმთან და სოციალიზმთან დამოკიდებულებაში, ჩვენი გლეხიც იმავე ნატურალური ხანის ფსიქოლოგიით იყო გაჟღენთილი.

ქართველი ხალხისათვის მეტად საჭირბოროტო საკითხი იყო მიწის. წარსული საუკუნის სამოციან წლებში, ბატონყმობის მოსპობის

დროს გლეხი განთავისუფლდა არა მარტო ბატონობისაგან, არამედ, შეიძლება ითქვას, მიწისაგანაც. დროებითი ვალდებულება გადაქცეულ იმ ლოდათ, რომელიც გლეხს სჭეჭყდა და ამიტომ მიწის საკითხი სოფლის ღერძი იყო, რომლის გარშემო სასტიკი ბრძოლა ტრიალებდა.

ჩვენ არ შეგვიძლია ეს წერილი სტატისტიკური ცნობებით დავტვირთოთ, ამიტომ ზოგადათ უნდა აღვნიშნოთ, რომ მიწის საკითხი საქართველოში გლეხისათვის მართლა სამკვდრო - სასიცოცხლო საკითხი იყო. დროებითი ვალდებულება და ღალა-კულუხის საკითხი რომ არ მოვიხსენიოთ, თვით მიწის სივიწროე ქართველი ხალხისათვის უბედურება შეიქნა, განსაკუთრებით უკანასკნელ ხანაში.

მთელი ქართველი ერი ღარიბი, — გლეხობა ღატაკი — და აი ქადაგება მიწის მოპოების შესახებ ქართველ გლეხს გულის სიღრმეში ჩასწვდა. და თუ კი პარტია მას მიწის ფეოდალური ნაშთებიდან გაანთავისუფლებდა და მიწასაც მისცემდა, — ამის მეტი მას რა ენატრებოდა?! ამიტომ გლეხი მას აღტაცებით გაედევნა და არავინ კი არ ჰკითხულობდა: — თუ ეს მიწა გლეხისათვის საიდან უნდა მიეცათ. ვინაიდან ფაქტიურად ეს სამყოფი მიწა არ არსებობდა, — თუ მისი დამუშავება მაღალ, ინტენსიურ ხარისხზე არ ავიდოდა, და ესეც ამ ვაგლახ მდგომარეობას მხოლოდ ოდნავ თუ შეამსუბუქებდა.

ამას ზედ ერთოდა ნივთიერ მდგომარეობისა გამო გლეხის ვალში ჩავარდნა, მოვახშის ხელში და ეგრედ წოდებული „სოფლის წურბელების“ მწუწნავთა დაუზოგველ მოქმედებას ფართო ასპარეზი ჰქონდა. მათ წინააღმდეგ გალაშქრებამ დიდი გასავალი მოიპოვა, — და მათ ებრძოდენ, როგორც კაპიტალიზმის წარმომადგენლებს და უკავშირებდენ საერთო ბრძოლას კაპიტალიზმის წინააღმდეგ; თუმცა მევახშეებს კაპიტალიზმთან არავითარი კავშირი არა აქვთ და კაცობრიობის გრძელ გზაზე ისინი მუდამ არსებობდენ.

გადასახადების მოსპობისა და მიწის მოპოების დაპირება, ბრძოლა ვაჭრებთან და მევახშეებთან, ბრძოლა არსებულ თვითმპყრობელურ რეჟიმთან, — აი ყველაფერი ის, რამაც გლეხობა „გაასოციალისტა“. ეს, რასაკვირველია, იმას არ ნიშნავდა, რომ გლეხი, ვინაიდან იგი გაჰყვა სოც. დემ. პარტიას ამიტომ გასოციალისტდა და პროლეტარიატში თავისი ბელადი დაინახა, რომელიც მას „ალთქმის ქვეყანაში“ შეიყვანდა, — სულაც არა! მიწის განაწილებისა და მიღების იმედი ამოძრავებდა გლეხს და მისი სოციალიზმიც ეს იყო!

**
*

მაშასადამე, ის ელემენტები, რომელნიც სოციალდემოკრატიულ პარტიას მიჰყვებოდენ, შემდეგი იყვენ: — მუშა, მუშა-გლეხი, ხელო-

სანი, გლეხი, მოსამსახურე, ნოქარი და საერთოდ ყველა პროტესტანტი.

მაგრამ ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ აგრეთვე ერთი ელემენტი, რომელმაც ამ მოძრაობაში მცირე როლი არ ითამაშა. ესაა გაღატაკებული აზნაურობა, რომელიც სულს ძლივს იბრუნებდა, და ახალი სამეურნეო წესწყობილებით გაბოროტებული, მთელი თავისი ენერგიით გადავიდა ბრძოლაზე მარქსიზმის და საერთოდ სოციალიზმის (სხვა პარტიებთანაც) დროშის ქვეშ კაპიტალიზმის წინააღმდეგ და სოციალიზმის მომხრედ. ეს ღატაკი აზნაურობა არსებულ სამეურნეო ასპარეზზე უკვე აღარაფერს ჰკარგავდა და სოციალიზმისაგან კი ბევრს გამოელოდა.

არ დავივიწყოთ არც ჩვენი ნახევრად-ინტელიგენცია, სწავლადაუსრულებელი ხალხი და თვით ნასწავლნიც, რომელთაც თავისი უნარისა და ცოდნის გამოყენება ჯერ კიდევ განუვითარებელ სამეურნეო ცხოვრებაში არ შეეძლოთ. აი, ეს ელემენტები: — მუშა, მუშა-გლეხი, ხელოსანი, გლეხი, გაღატაკებული აზნაური და უსაქმო ნასწავლი და თითქმის ყველა უკმაყოფილო სოც დემ. პარტიას მიეკედლა და ამნაირად შეიქმნა ის დიდი არმია, რომელზეც პარტიის ხელმძღვანელობა ეყრდნობოდა. ამ ჯარის შექმნამ და სიძლიერემ პარტიის ბელადები ისე გაიტაცა, რომ მდგომარეობა სისწორით ვეღარ დააფასეს და თავისი თავი მართლა სოციალისტური მოძრაობის მეთაურებად წარმოიდგინეს. ამ მოვლენამ განსაკუთრებით თავი იჩინა უკანასკნელი რევოლუციის დროს, როდესაც სოც.დემ. პარტიამ სავსებით და სრულად სოციალიზმის პროგრამა მინიმუმი განახორციელა და თვით სოციალიზმისაკენაც გაქანდა. ეს იყო 1917 წ, და შემდეგ, მაგრამ უფრო ადრე ნ. ჟორდანია იმით იყო შეწუხებული, რომ სოც.დემ. პარტიას ხალხი აედევნა და ილუპება მისი წმინდა პრინციპებიო.

1905 წელში ნ. ჟორდანია სწერდა: —

„საკვირველია ის ,რომ ჩვენში, რუსეთში, სადაც მსხვილი კაპიტალის განუვითარებლობით წვრილი კაპიტალი დიდ როლს თამაშობს, წვრილი ბურჟუაზია მაგარი, მრავალი და თავაღებულია, მისი პარტიები კი სუსტი და უძლურია. მუშათა პარტიამ წინ გაუსწრო მათ და ბრძოლის ველს დაეპატრონა. ნაციონალისტები, სოციალრევოლუციონერები და სხვა დემოკრატიული პარტიები უჯარო სარდალთა გროვაა. მათი ჯარი კი მუშათა პარტიას ეხმარება; გლეხობა და ქალაქის წვრილი ბურჟუაზია სოციალდემოკრატიის ხელმძღვანელობას სცნობს და პარტიაში შემოდის, და ეს განსაკუთრებით ჩვენში, კავკასიაში,... წვრილი ბურჟუაზიული კლასები თავის

30663

პარტიაში ვერ გამაგრდენ, სამაგიეროდ ისინი მაგრდებიან ჩვენს პარტიაში. ამით ბურჟუაზიულმა აზროვნებამ შემოხეთქა სოციალდემოკრატიის კედლები და მას ემუქრებიან შიგნიდან".

აი, სად ყოფილა თურმე სოც.დემ. პრინციპების სიწმინდის შელახვის საფრთხე, — იქ, რომ „გლეხობა და ქალაქის წვრილი ბურჟუაზია სოციალდემოკრატიის ხელმძღვანელობას სცნობს და პარტიაში შემოდის"! ზემოდ კი ნ. ჟორდანია გვასწავლიდა: გლეხობა ჩვენს მხარეზე უნდა გადმოვიყვანოთ და გავასოციალისტოთო! თურმე ეს გლეხობა კი არ გასოციალისტებულა, არამედ, პირიქით, მას მოუნდომებია მარქსიზმის პრინციპების გადათელა.!

„ესენი", სწერს ნ. ჟორდანია, — „პარტიაში შემოდიან როგორც დემოკრატები, მათთვის ჩვენ უბრალო დემოკრატები ვართ და სურთ ჩვენი პარტია მოიხმარონ თავისი მიზნის მისაღწევათ. ისინი კი არ არიან ჩვენი იარაღი, ისინი კი არ ითვისებენ ჩვენს პროგრამას, პირიქით, ჩვენ ვართ მათი იარაღი და ვიბრძვით მათ სასარგებლოთ ბურჟუაზიული თავისუფლების დასამყარებლათ. ჩვენ რომ ჩვენი საკუთარი პოლიტიკა გვეწარმოებია, ჩვენი სოციალისტური სახე აშკარათ გამოგვეჩინა, მათ ეს დაენახათ, უეჭველია, ჩვენსკენ არ წამოვიდოდენ და ჩვენი დროშის ქვეშ არ დადგებოდენ. მათთვის ჩვენი წითელი დროშა ნიშნავს არა კერძო საკუთრების მოსპობას, არამედ კერძო საკუთრების გადიდებას და გამრავლებას, და ამიტომ ასე აღტაცებით აფრიალებენ მას წარამარა".

ასე სწერდა ნ. ჟორდანია ერთი წლის შემდეგ, 1905 წ., როდესაც რევოლუციის ტალღების ამოძრავებით, ერთობის პარტია საქართველოში პირველ პარტიად გარდაიქცა. რასაკვირველია, სოც.დემ. პარტიას „სოციალისტური სახე" არ დაუმალავს, — მან იგი ოღონდაც აშკარად გამოაჩინა, მაგრამ საქართველოში ეს სოციალიზმი სხვაგვარად არავის შეეძლო გაეგო და ნ. ჟორდანიას დახასიათება: — რომ წითელი დროშა კერძო საკუთრების გამრავლებას ნიშნავდაო, — სრული ჭეშმარიტებაა, გარნა ორტოდოქს მარქსისტს ეს მოვლენა მართლა აწუხებდა... ასეთი გაგება სოციალიზმისა კი, როგორც ზემოდ მოგახსენეთ, სრული ბუნებრივი იყო.

**
*

თუ მარქსიზმმა როგორც იდეოლოგიამ უარყოფითი როლი ითამაშა ქართველი ერის ცხოვრებაში და მას ზიანიც მიაყენა, სამაგიეროდ სოც.დემ. პარტიის პოლიტიკურმა ლოზუნგებმა დიდი რევოლუციური გაქანება და ბრძოლა განიცადა. მისი პოლიტიკური დროშის ქვეშ, მოძრაობის განვითარების დროს, ხალხის დიდმა ნაწილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი მოიყარა, ვინაიდან ამ დროშაზე გარკვევით და სითამამით იყო აღნიშნული ბრძოლის სიტყვა და საქმე თვითმთყრობელობის წინააღმდეგ. თვითმპყრობელობასთან ბრძოლაში დად.ჰუნჭ ზე დაკავშირებული იყო ხალხისათვის პოლიტიკური თავისუფლების მოპოება და მოქალაქის იმ უბრალო უფლებათა განხორციელება, რომელიც დასავლეთ ევროპაში უკვე ისტორიას წარმოადგენდა; პარლამენტი, ადგილობრივი თვითმართველობა, სინიდისის, სიტყვის, ბეჭდვის, კრების და სხ. თავისუფლება და სხ. სხ., საერთოდ დემოკრატიული წესების დამკვიდრება. ყველა ამ მოთხოვნილებათა გარდა, აკტუალურ და განსაკუთრებულ როლს თამაშობდა ბრძოლა სახელმწიფო მძიმე გადასახადების წინააღმდეგ. ყველა უკმაყოფილო და პროტესტანტი სოც.დემ. დროშის ქვეშ თავს იყრიდა და დარაზმული, ბრძოლისაკენ მიიწევდა. ამ ბრძოლის ორგანიზაციაში სოც. დემ. დიდი უნარი და ენერგია გამოიჩინა და მტკიცე ორგანიზაციული დისციპლინაც დაამყარა, მაგრამ არც ის არის დასავიწყებელი, რომ ამ პოლიტიკურ ბრძოლაში ერთგვარი როლი აგრეთვე დამბაჩასა და ნაგანას მიუძღოდა.

ჩვენ აქ პოლიტიკურ ბრძოლაზე არ შევჩერდებით; ვიტყვით მხოლოდ, რომ ქართველი ხალხის ამ ასპარეზზე მასიურად გამოყვანა საქართველოს სოციალდემოკრატიული პარტიის დამსახურებაა. დიდი მსხვერპლი და ბრძოლის ჟინი ათეული წლების მანძილზე იმის თავდები უნდა ყოფილიყო, რომ მომავალში ამ პარტიას ხალხი შესაფერისი ნდობით მოეკიდებოდა და მას გაჰყვებოდა; ეს ასეც მოხდა, ხოლო სამწუხაროდ, ეს ნდობა და გაყოლა პარტიის ხელმძღვანელებმა რევოლუციის ხანაში ცუდათ გამოიყენეს, როცა მათ ხელისუფლება ჩაბარდათ. რევოლუცია ასერთოდ ორგანიზმის ავადმყოფობის გამოხატულებაა და მისი ბედის ქანაობა სნეულის სიცხის აწევდაწევას მოგვაგონებს; ხელმძღვანელობამ მოძრაობას შესაფერი დიაგნოზი ვერ დაუსვა და ან როგორ შეეძლო, როცა თვითონ 41-გრადუსიან სიცხეს განიცდიდა, პარტიულ პროგრამა-მინიმუმს ასი პროცენტით ანხორციელებდა და პირდაპირ სოციალიზმისაკენ მიექანებოდა!

სოციალდემოკრატიული მეთაურობა აცხადებდა: — ისტორიამ ჩვენ დაგვაკისრა მძიმე მოვალეობა: ჩვენ სოციალისტებმა ბურჟუაზიული საქმე უნდა ვაკეთოთო, მაგრამ ამ „ბურჟუაზიული საქმის" კეთებას სარჩულად დაედო ისეთი მაღალი და რთული დემოკრატიის შექმნა, რომელიც უნდა ყოფილიყო არა მარტო უბრალოდ პოლიტიკური დემოკრატია, არამედ ეკონომიური დემოკრატიაც, რაც საქართველოს პირობებში, თუ სიგიჟე არა, ოცნება მაინც იყო. აქ ხდე-

ბოდა შეჯახება სინამდვილესა და თეორიებს შორის, მაგრამ საგარეო უბედურებამ ხელოვნურად შესწყვიტა ეს დავა. და თვით ამ საგარეო უბედურების დროს გამოირკვა ისიც, რომ ხელმძღვანელობა უფრო თეორიებზე ოცნებობდა და დოქტრინებს მისდევდა, ვინემ სინამდვილესა და ფაქტებს. აქ გამოირკვა, რომ მას თავდაცვის მოწყობის უნარიც არ გამოუჩენია და თეორიებს ერი გადააყოლა.

და მენშევიკური ხემძღვანელობის მაგიერად ქართველი ერის სათავეში ბოლშევიკები აღმოჩნდენ, გამაგრებული და გარშემორტყმული რუსული ხიშტებითა და ზარბაზნებით.

მენშევიკური მეთაურობის სოციალიზმის პროგრამა-მინიმუმმა ბოლშევიკები არ დააკმაყოფილა და საქართველოში ასპროცენტიანი სოციალიზმის დასამყარებლად რუსულ წითელ ჯარებს შემოუძღვენ, ერის წინაშე უდიდესი ღალატი ჩაიდინეს.

ცხადია, აქ რუსული იმპერიალისტური პოლიტიკა თავის მიზანს ისახავდა, მაგრამ ქართველი ბოლშევიკების მიერ თავის მართლება იმ საბუთით, რომ საქართველოში მენშევიკური მთავრობა სოციალ-შოღალატენი და ბურჟუაზიის კუდში მიმდევრები არიან, და ჩვენ კი გვსურს ნამდვილი სოციალიზმი დავამყაროთო, — და ამიტომ წითელი ჯარი მოიყვანეს, — ამ საბუთით თავის გამართლება გამომდინარეობს იმ პარტიული თეორიული დებულებიდან, რომ ეროვნული საკითხი სოციალურს ექვემდებარება და თუ სოციალური საკითხი ეროვნულზე მაღლა სდგას, რასაკვირველია, ისინი თავს გაიმართლებენ მარქსისტული სახარებით. მაგრამ ჩვენთვის ეს თავის მართლება მისაღები არაა და ჩვენთვის, ისე როგორც ქართველი ერისათვის მათი მოქმედება მხოლოდ ღალატია.

ამგვარად, მარქსიზმის „კარგად" გამგებ მენშევიზმისა და „ცუდათ" გამგებ ბოლშევიზმისათვის ქართველი ერი სოციალური გამოცდების ასპარეზად გადაიქცა და თვით ქართველი ერი ამ სოციალური დოქტრინების მსხვერპლი შეიქმნა.

***

აშკარაა, უცხოელებისათვის განსაცვიფრებელი იყო სოციალისტური მთავრობის არსებობა და მარქსის ბატონობა საქართველოში. მათ, რომელნიც საქართველოს ისტორიის კერძო პირობებს არ იცნობდენ და არც მასალები ჰქონდა ისინი შეესწავლათ, არ შეეძლოთ სათანადოთ ეს უცნაური მოვლენა აეხსნათ, — მაგრამ ჩვენ, ვინც ამ პირობებში გავიზარდეთ, მოვალე ვართ ეს წარსული გავსინჯოთ.

ჩვენ დავინახეთ, რომ ქართული პირობებისათვის მარქსიზმი სრულიად შეუფერებელი და მავნე იდეოლოგია იყო, და თუ იგი ხელ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მძღვანელობამ ასე იოლად ჩვენში შემოიტანა, — ამაში მხოლოდ ძას ედება ბრალი. ჩვენ არ გვინდა დავივიწყოთ ის მწარე სიტყვები, რომელიც ერთმა დიდმა სოც.დემ. მოღვაწემ საქართველოს განსაცდელის ჟამს თვალცრემლიანმა გვითხრა: —

კარგია, მეტად კარგია ქართველი ხალხი, ხოლო ჩვენ, მისი ხელმძღვანელები არ ვარგოდით, არ ვარგივართ და იგი დავღუპეთ-ო!.

***

პარტია, როგორც საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენა, ორგანიზაციებსა და წევრებს გულისხმობს, იმ იდეოლოგიურ მიმართულების გარდა, რომელიც მის მიზანს შეიცავს. ეს იდეოლოგიური მიმართულება სოც.დემ. უცხოეთიდან მზად მოტანილი ჰქონდა; აზრთა შემოქმედების ტანჯვაში არ შობილა იგი ჩვენში!

ამ იდეოლოგიის გავრცელებისათვის, როგორც ყველგან, პარტიის ხელმძღვანელობა მიმართავდა ბეჭდვით და ზეპირ სიტყვას; პირველი, მართალია, ცენზურას ექვემდებარებოდა, მაგრამ რუსული მეფობის ხანაში იგი მაინც ოდნავ შესაძლებელი იყო; მეორე იყო მალული, ფარულ კრებებზე ნათქვამი. ლეგალური პრესა და არალეგალური სიტყვა საკმაო იარაღი არაა პოლიტიკური პარტიის მოქმედებისათვის, რომლის ხერხემალს მისი ორგანიზაციები შეადგენენ. და მთავარი ყურადღება ამ ახალმა დასმა სწორედ ამ ორგანიზაციების შედგენას მიაქცია. ამ მუშაობის შედეგად მივიღეთ სოციალდემოკრატიული ორგანიზაციები თავისი საოლქო კომიტეტით, შესული რუსეთის სოციალდემოკრატიული მუშათა პარტის წყობაში.

სიმართლე უნდა ითქვას, სოციადემოკრატიული პარტია საქართველოში არ ყოფილა პირველი პარტია საერთოდ, რომელიც დაარსდა, თუმცა ამას ზოგიერთი რიხით აცხადებს. პირველი პარტია, ისე როგორც პირველი სოციალისტური ქადაგება, ქართველმა ნაროდნიკებმა წამოიწყეს. 1870 წლებში საქართველოს ბევრ კუთხეში მათ დააარსეს ორგანიზაციები და 1876 წ. პარტიული ყრილობაც კი მოიწვიეს, მაგრამ შემდეგ თითქმის ყველა მეთაური დაჭერილ იქმნა და ამით ყველაფერი ჩაიშალა. ეს სხვათა შორის.

არალეგალურ პირობებში სოც.დემ. ორგანიზაციები არ შეიძლება ღია და ფართო ყოფილიყვენ, ამიტომ მათი მოქმედების არეც შეზღუდული იყო. ფაქტიურად ეს ორგანიზაციები მხოლოდ მათი ხელმძღვანელების ხელში იმყოფებოდენ და საკითხების გაღაწყვეტაში პირველი სიტყვა ამ ხელმძღვანელებს ეკითხებოდათ. და თუ გაიხსენებთ, რომ ეს ადგილობრივი ხელმძღვანელები განუსაზღვრელი ნდობითა და უკრიტიკოდ უფროს ხელმძღვანელობას მიჰყვებოდენ, სი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნამდვილეში ისე გამოდიოდა, რომ მთელ პარტიას რამოდენიმე პირი განაგებდა და პარტიაში თავიდანვე ამ რამოდენიმე პირს მონოპოლური მდგომარეობა შეექმნა. ეს იმითაც აიხსნება, რომ მხოლოდ ეს რამოდენიმე პირი იყო პარტიის უდავო თეორეტიკოსად აღიარებული. ამ მოვლენამ ისე მაგრად გაიდგა ფესვები, რომ სოც.დემ. პარტიის ორგანიზაციული წყობა უფრო ჯარის წყობას მოგვაგონებდა, და მართალი იყო ის ჭიათურელი რვა მუშა, რომელთაც ამ „ღენერლობიას" წინააღმდეგ გაილაშქრეს. არალეგალურ პირობებში ღენერლობიას და თვითნებობას ყოველთვის ფართო გასაქანი ეძლევა, მაგრამ როდესაც იგი გადატანილ იქმნა აგრეთვე იდეოლოგიურ დარგზე, მაშინ, რასაკვირველია, მან პარტიას დიდი ზიანი მიაყენა. ყველამ კარგად იცის, რომ ჩვენში მარქსიზმი ორტოდოქსალურ იყო და მისი შეხება - გაკრიტიკებით თამამი მხოლოდ რისხვას დაიმსახურებდა. ამისი შესახები მაგალითები ბევრია.

1917 წ. სოც.დემ. პარტია ღია ასპარეზზე გამოვიდა, მაგრამ მას ძველი ორგანიზაციული წესი შერჩა და კიდევ უარესი, პარტიის პატრონები სახელწიფოსაც დაეპატრონენ. ის მოვლენა, რომ ცენტრალური კომიტეტი მთავრობას ბრძანებლობდა; რომ მთავრობის წევრები ცეკას წევრები იყვენ, ჩვენთვის მომაკვდინებელი იყო და გასაგებია ის პროტესტის ხმა, რომელიც „სხივის" ბანაკიდან გაისმა; მით უმეტეს, რომ არა მართლა დემოკრატია იყო მმართველი და პატრონი პარტიისა და საქმისა, არამედ პარტიის ხელმძღვანელობა, რომელიც როგორც პარტიას, ისე სახელმწიფოს თავზე აჯდა. რასაკვირველია, ეს იმისი შედეგია, რომ დემოკრატია საქართველოში არ იყო და რამოდენიმე ათეულ წელს უნდა გაევლო რომ იგი შექმნილიყო; ვინაიდან დემოკრატია მარტო კენჭობია არ არის, არამედ ცივილიზაციისა და კულტურის განვითარებაც, და იგი დეკრეტებით არ ხორციელდება.

ჩვენ აქ სოციალდემოკრატიული პარტიის ისტორიას არა ვწერთ, — ეს მეტად რთული საქმეა. ორმოცი წლის მანძილზე წარმოებული ფართო მოძრაობა ამ ვიწრო ნარკვევში არ დაეტეოდა. ჩვენ გვსურდა მხოლოდ მარქსისტული იდეოლოგიის საქართველოს ჩამორჩენილ ნიადაგზე და პირობებში გავლენის მიზეზები აგვეხსნა და დასაწყისში წარმოდგენილ საკითხისათვის ზოგადი პასუხი გაგვეცა.

ჩვენ ვნახეთ : მარქსისტული იდეოლოგია, ეს პროლეტარიატის ფილოსოფია, საქართველოს პირობებისათვის არა თუ მარტო შეუსაბამო, შეუფერებელი იყო, არამედ მავნებელიც; რომ ამ მარქსისტულმა იდეოლოგიამ საქართველოს პირობებში მიიღო რეაქციონური

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხასიათი, ვინაიდან იგი ის იარაღი გახდა, რომლითაც კაპიტალიზმის მოწინააღმდეგე ძალები მის, კაპიტალიზმის დამკვიდრებას ებრძოდენ. ხოლო სოციალიზმი გასაღებულ და შეთვისებულ იქმნა პრიმიტიულად, როგორც ქონების შეძენისა და გამდიდრების წყარო. ჩვენ დავინახეთ, რომ სოციალიზმის საკითხი, ჯერ კიდევ წინაკაპიტალისტურ ხანაში, არ უნდა მდგარიყო და უნდა ითქვას, არც დღეს სდგას.

მომავალ საქართველოში, რომლის განთავისუფლება ჩვენ ღრმად გვწამს, და სხვაგვარად ჩვენს მსჯელობას აზრიც არ ექნებოდა, — უუდიდესი საკითხია სწორედ ქართული სახალხო მეურნეობის აღდგენა, გადაჯგუფება და არსებული ვითარებისათვის შესაფერი გეზის მიცემა, რომელსაც მთლიანად მთელი ერის ინტერესების სამსახური უნდა ჰქონდეს მიზნად აღებული. მთელმა ერმა, თვითეულმა ქართველმა , მთელი თავისი ფიზიკური და გონებრივი უნარი, მთელი თავისი სულიერი და ზნეობრივი ძალები უმძაფრესად უნდა დასჭიმოს, რათა ეკონომიური და კულტურული ორძილის ანუ აღორძინებისა და აღმშენებლობის ხანას სათანადოთ გაუძღვეს.

თუ სინამდვილეში როგორი იქნება აღმშენებლობის ეს გეზი, ჩვენ ამაზე მხოლოდ ეგებისობის ფარგლებში შეგვიძლია ვიმსჯელოთ და საჭირბოროტო საკითხებიც საეგებიოდ გადავსჭრათ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ეს გადაჭრა და გადაწყვეტილება დოგმად უნდა გახდეს, რომლის შექანება და შეცვლა ცოდვად იქნება გამოცხადებული

**
*

ჯერ კი ჩვენს წინ დგას მხოლოდ ერთი საკითხი არსებითად: — ერის განთავისუფლების საკითხი და ამისათვის ვამბობთ; — რომ ჩვენ პირველ რიგში ერს ვაყენებთ; რომ ერის თავისუფლებისათვის ბრძოლაში ჩვენ მზად ვართ ყველა ძალა გამოვიყენოთ; რომ ჩვენ მივიღებთ ყოველგვარ საქართველოს, ხოლო საქართველოს თავისუფალსა და დამოუკიდებელს; და განთავისუფლებულ საქართველოში ჩვენი უპირველესი ამოცანა და მიზანი იქნება ისეთი წესწყობილების შექმნა, რომელიც ქართველ ერს საშუალებას მისცემს თავისი ნივთიერი და სულიერი ცხოვრება თავისუფლად განავითაროს ეროვნული წარმატების გზაზე. ამ მიზნის გარშემო თავს მოიყრის და დაირაზმება მთელი ქართველი ერი, და ჩვენი მოვალეობაა იმ ერთობას ვემსახუროთ, რომელიც ამ ნიადაგზე უნდა დამკვიდრდეს და განმტკიცდეს.

ვიკ. ნოზაძე

პარიზი, თებერვალი, 1934 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული სინამდვილე და სოციალდემოკრატია

„... თავის თავში დაეჭვებული მებრძოლი ქვეყანას ვერ დაიცავს. ქართველმა ვერ დაიცვა კიდეც. ბოროტება აქაა, ამ ეჭვში და არსად სხვაგან...

„ქართველობით ყველა ვქართველობდით. ვამაყობდით კიდეც ჩვენი ქართველობით, როდესაც სხვას ვუსახელებდით ჩვენს ეროვნებას. გულში კი ჩვენ თვით არ გვწამდა ჩვენი თავი. ეს ჩვენი ამაყობაც ყალბი იყო. ამისი მიზეზი ჩვენს აღზრდაშია. ქართულს, ეროვნულს ჩვენ ინსტიქტით ვინახავდით; ბავშობიდან კი ამის შესახებ არავინ არაფერს გვეუბნებოდა. თვით პატრიოტულად განწყობილი ახალგაზრდობაც ვერ ასცდა რუსულ გავლენას, რადგანაც რუსულ აღზრდას სკოლაში, ჩვენ ჩვენი აღზრდა ვერ დავუპირისპირეთ ოჯახში. ეხლა უკან მოვიხედეთ. ქართულ ნიადაგზე გვსურს დავდგეთ. ეხლა თითქოს ყველა ქართველმა თავისი ქართველობა შეიგნო. რადგან ეს ასეა, თითქოს ერიც, ეროვნული მეობაც უზრუნველყოფილია. მაგრამ ჯერ კიდევ შორს ვართ; შინაგანი ჭია — ეჭვი — კიდევ ძლიერია. ამოცანა ამ ჟამად იმაში უნდა იყოს, რომ ეს ჭია საბოლოდ იქნას განადგურებული. თვითეულმა ქართველმა, ქართველმა ხალხმა მთლიანად, ჯერ თავისი თავი უნდა იცნოს, თვით უნდა გახდეს საკუთარ რწმენაში **სუვერენი** და განიმტკიცოს ეს რწმენა. ესაა ხალხის ფაქტიური სუვერენობა . ამის შემდეგ ფორმალური სუვერენობა დაზღვეულია ერისთვის. დღეს არა ,ხვალ იქნება. ეს ისტორიის ჩარხის ტრიალის საკითხია. არ შეიძლება, ადრე თუ გვიან, ჩვენს სასარგებლოდ არ დატრიალდეს ეს ჩარხი. მაგრამ მის გამოყენებას, ფორმალური სუვერენობის მოპოებას და ამ სუვერენობის შენარჩუნებას მხოლოდ იმ შემთხვევაში შევსძლებთ, თუ წინასწარ, ქართველი ხალხის ეროვნული ნებისყოფა, ესე იგი მისი ფაქტიური სუვერენობა შემზადებული იქნება. სწორედ ამ მიმართულებით გვმართებს ეხლა მუშაობა...

„ქართველს ბავშობიდან უნდა ჩავუნერგოთ ერის სიყვარული, მისთვის თავდადების მაღალი სურვილი. მხოლოდ ამგვარი აღზრდით, ახალგაზრდობისაგან უნდა ველოდეთ ერის განთავისუფლებას, ერის დაცვას. თითო-ოროლა შემთხვევა გმირობის, თავდადების, საქმეს

ვერ უშველის. ქვეყნის განსათავისუფლებლად, მის დასაცავად, მთელი ხალხი გმირად უნდა იქცეს.

„ჩვენ კი ასე არ **გვზრდიდენ**, ასე არ გვასწავლიდენ“...

ასე მეუბნებოდი შენ, ძვირფასო მეგობარო, და ხელში „ქართული მწერლობა“ გეკავა. მივხვდი, შიგ ნიკოლო მიწიშვილის ცნობილი წერილი იყო — საქართველოზე გამოთქმული ეჭვები — ასე რომ ააღელვა მაშინ მთელი ქართული საზოგადოება. შენი აღელვება კი უფრო სხვა ფიქრებით იყო გამოწვეული. მიწიშვილი მხოლოდ საბაბი იყო. მე სულითა და გულით შენთან ვიყავი ამ აზრებში. თუმცა არ შემიძლია ვსთქვა, რომ მაშინ ყოველივე ეს ისე მესმოდა, როგორც შენ... მას შემდეგ თითქმის რვა წელმა განვლო და ვშიშობ: იქნებ ვერც გადმოვეცი შენი აზრები სწორად.

დიახ, თქვენ ასე არ ზრდიდით ახალგაზრდებს, ასე არ ასწავლიდით მათ! პირიქით, თუ რომელიმე პატრიოტი სამშობლოზე, საქართველოზე დაიწყებდა ლაპარაკს, სასაცილოდ აიღებდით, „საცოდავ მამულიშვილს“, „ბატონყმობის მომხრეს“ უწოდებდით. სიტყვები: „სამშობლო“, „საქართველო“ ამოშლილი იყო ლექსიკონიდან. ასეთის თქმა სიცილს იწვევდა: „რა ჩამორჩენილობაა ,რა უვიცობაა! ეს ნაციონალისტები ორასი წლით უკან არიან ცხოვრებაზე. ვერაფერი გაუგეს ცხოვრებას, ახალ იდეებს, ახალ შუქს. რისი საქართველო, რისი ტერიტორია“! არ იყო ასე? არ გავიხსენოთ ეს ამბები? არ გავიხსენოთ დედაქალაქის საკითხი?.. — აკი სომხებია უმრავლესობა! მაშასადამე. მოსახლეობის რეალური პრინციპის თანახმად, ტფილისი სომხებს ეკუთვნის! ასე ფიქრობდა, ასე ამბობდა ის პარტია, რომელსაც საქართველოს საზოგადოებრივი, პოლიტიკური ცხოვრების საჭე ხელთ ეპყრა. როდესაც ილია ჭავჭავაძე ტფილისის საკითხს ისტორიულად იხილავდა, როდესაც ის თავგამოდებით იცავდა ტფილისს, სომხებს არწმუნებდა ქართული თეზის სიმართლეში, ვის მხარეზე იყავით მაშინ? არ ვსთქვათ, არ გავიხსენოთ, არ დავარქვათ ამას თავისი სახელი?.. როდესაც ლ. დარჩიაშვილმა ამ ეროვნული ნიჰილიზმის წინააღმდეგ გაილაშქრა, როგორ მოეპყრენ მას? — ჯვარს აცვეს! და შემდეგ, როდესაც დარჩიაშვილის აზრები სავსებით გაამართლა ცხოვრებამ, აკი არ ეყოთ გამბედაობა სოც.-დემ. პარტიის მეთაურებს აღეარებინათ თავისი შეცდომა; აკი ვერ გამოიჩინეს გამბედაობა — ქედი მოეხარათ მისი ხსოვნის, ამ უსამართლოდ წამებულ ქართველ მოღვაწე-მოაზროვნეს წინაშე! ლ. დარჩიაშვილი ეხლაც განდევნილია, ეხლაც არა ჰყავს მას ჭირისუფალი, მის უპატრონო საფ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლავს დამტირებელი. ის ხომ სხვა პარტიის არ იყო, სხვა ქართული პოლიტიკური პარტია ხომ ვერ მიიღებს ეხლა ლადოს სახელს თავის წიაღში. ვისი მოვალეობა იყო მისი სახელის წინაშე მუხლი მოეყარა? კარგად ესმით იმათ, ვისი მოვალეობაც ეს არს! მაგრამ მოიხდიან ოდესმე ამ მოვალეობას? არა! ქედმაღლობა მათ ამის ნებას არ მისცემს. არ ვსთქვათ ესეც? არ ვასახელებთ სხვა ფაქტებს. ეს ფაქტები ყველამ იცის; ყველაზე უკედ კიდევ სოც.-დემ.-ბმა იციან.

გუშინ ერს უარვყოფდი, დღეს მისი მეთაური ხარ... როგორ გაუგოს ხალხმა ასეთ აბრუნდს, ან შიგნით, საქართველოში, ან გარედ უცხოეთში! და თუ ხალხი გარკვეული არ არის როგორც საჭიროა ბრძოლის მიზნებში, შეიძლება დადებითი შედეგი ჰქონდეს ასეთ ბრძოლას? არა, და ათასჯერ არა! ამიტომ, თუ ეროვნულ საკითხში გადაფასებას ჰქონდა ადგილი, ეს ღიად, საჯაროდ უნდა თქმულიყო. ამ დარგში რას ფიქრობდი, რას აკეთებდი უნდა გადმოლაგებულიყო, დღის სინათლეზე გამოტანილიყო; რაც მისაღები აღარ შეიქმნა, ის ერთხელ და სამუდამოდ, სრულებით უორაზროვნოდ დაგმობილიყო. ამას კიდევ გაიგებდა ხალხი. პატარა საკითხთან ხომ არ გვაქვს საქმე, „იაჩეიკების ჩაწყობის“ ამბავთან, რომ ცოტა საკონფუზო რაიმე მოგვსლოდეს და, მიაფუჩეჩო! ეს საკითხი, ერის არსებობის საკითხია; მისი სინათლეზე გამოტანა, ერისთვის, მისი მომავალისათვის, ახალ თაობათა სახელმძღვანელოდ, საჭიროა, აუცილებელი. სწორედ იმისთვის, რომ გავიგოთ: „რანი ვიყავით“ გუშინ, რანი ვართ დღეს, და რანი უნდა ვიყოთ შემდეგში.

არ არის ერი, რომელსაც უცხო ბატონობისაგან თავი დაეხსნას, თუ მისი ეროვნული ნების ყოფა წინასწარ არ გაჭედილა ამისათვის. არ არის შესაძლებელი იმ ერმა, რომელშიდაც ასი წლის ფიზიკურმა სიმშვიდემ და პოლიტიკურმა მონობამ მიაძინა ეროვნული გრძნობა, დააჩლუნგა ის, — გამოიღვიძოს სავსებით, აღტყინდეს ერთის გრძნობით, ერთის სულით, ერთის ეროვნული აზრით იაზროვნოს, ერთის მაჯისცემით იცოცხლოს, თავგანწირულებით იბრძოლოს ეროვნული არსებობისათვის, არავის დაუთმოს თავისი უფლებები, იმ პარტიის ხელმძღვანელობის ქვეშ, რომლის ეროვნული წარსული ნეგატიურია და ეროვნული აწმყო გაორებული..

ის გარემოება, რომ საქართველომ სოც. დემოკრატიის ხელში მიიღო დამოუკიდებლობა, საკითხს პრინციპში არა სცვლის. ჩვენ კარგად ვიცით, თუ როგორი ბოდიშით გამოცხადდა დამოუკიდებლობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და როგორი სამარცხვინო დასაბუთება წარუმძღვარეს დამოუკიდებ-
ლობის აქტს *) : —

„მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს ყოველი მხრით მტრისაგან შევიწროებული საქართველო თავისი ნებით შეუერთდა რუსეთს იმ პირობით, რომ რუსეთი ვალდებული იყო საქართველო გარეშე მტრისაგან დაეცვა.

„რუსეთის დიდი რევოლუციის მსვლელობამ რუსეთში ისეთი შინაგანი წყობილება შეჰქმნა, რომ მთელი საომარი ფრონტი სრულიად დაიშალა და რუსის ჯარმაც დასტოვა ამიერ-კავკასია.

„დარჩნენ რა თავისი ძალღონის ამარად, საქართველომ და მასთან ამიერ-კავკასიამ თვით იდვეს თავს საკუთარი საქმეების გაძღოლა...“

ამ ტექსტის მიხედვით გამოდით, რომ საქართველო შეუერთდა რუსეთს უპირობოდ, ერთის გამონაკლისით: რომ რუსეთი დაიცავდა საქართველოს გარეშე მტრისაგან. რუსეთმა პირობა შესანიშნავად შეასრულა. რევოლუციამდე ყოველივე რიგზე იყო. მხოლოდ ბოლშევიკებმა ისეთი რეჟიმი შეჰქმნეს რუსეთში, რომ ეს გახდა მიზეზი რუსეთ-საქართველოს პირობის დარღვევისა: რუსის ჯარმა დასტოვა საქართველო, რამაც გვაიძულა დამოუკიდებლობა გამოგვეცხადებია.

როგორ მოგწონთ ეს ამბავი? თუ საქართველო ასე უბრალოდ შეუერთდა რუსეთს, მაშინ საქართველო, როგორც სახელმწიფო არ იარსებებდა... მაშ რაღა პირობა იყო საჭირო მისი „გარეშე მტრისაგან დაცვისა“? გუბერნიას რომელი გარეშე მტერი შეიძლება ეყოლოს. რუსეთი, როგორც ყველა სახელმწიფო, თავის ტერიტორიას ამ პირობის გარეშეც იცავდა. დიდი უაზრობა გამოდის, იმიტომ, რომ ისტორია მეტად ყალბადაა გადმოცემული.

დაგვისახელეთ: სად, რომელ ხელშეკრულებაში არის ასეთი შეერთების ამბავი რუსეთთან, რომელ ხელშეკრულებაშია საქართველოს სამეფოს გაუქმების, ტახტის მოსპობის, საქართველოს გუბერნიებად ქცევის თანხმობა? ალექსანდრე პირველის მანიფესტს, წაკითხულს სიონის ტაძარში, ხალხმა რომ ვერაფერი გაუგო, ნებით შეერთება ჰქვია? იმ დროს ხომ რუსის ჯარი მზად იყო; მოსალოდნელი გამოსვლების ჩასაქრობად შესაფერი ბრძანებაც ჰქონდა მიღებული. მეფე გიორგის სიკვდილით სამეფო ტახტი ძალით გაუქმდა — შეიარაღებულმა ძალამ მემკვიდრე ტახტზე არ აუშვა. სამეფო სახლი

---

*) ამ საკითხის შესახებ მოთავსებული იქნება განსაკუთრებული წერილი. რედაქცია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსეთში გადაასახლეს. ვინც გადასახლებას გადარჩა, აჯანყების დროშა ააფრიალა რუსულ ბატონობის წინააღმდეგ. რამდენი იყო ასეთი აჯანყება და სანამ გასტანა მან.... ამას ჰქვია ნებით შეერთება?

ვაი სირცხვილო! ეს ხომ რუსული თვითმპყრობელობის ვერსია არის საქართველოს რუსეთთან „ნებით შეერთებაზე"!? და ეს რუსული ვერსია საქართველოს დამოუკიდებლობის აქტში!!!

შემდეგ სად ნახულა, ერი სუვერენობას იდგენდეს და ბოდიშს იხდიდეს ვიღაცას წინაშე; ამბობდეს: დავიღუპე, რუსის ჯარმა დამტოვა, თორემ ჩემი რუსეთისადმი ერთგულებაში ვის გეპარება ეჭვიო! ამგვარი რაიმე კრიტიკის ღირსიც არ არის, არც უნდა შეეხო; მაგრამ უბრალო საგაზეთო წერილთან ხომ არ გვაქვს საქმე? უუდიდესი ისტორიული დოკუმენტია და რა მიეცით ასეთი დოკუმენტით თქვენ შთამომავლობას!? აღფრთოვანდნენ ასეთი დოკუმენტით მომავალი თაობები!??

ვიკითხოთ მაინც, რისთვის არის ეს გაქცეული რუსის ჯარის ამბავი „აქტში" მოყვანილი, როგორც დასაბუთება დამოუკიდებლობისა? საზღვრებს დაცვა სჭირდებოდაო! მაგრამ თუ ეს არის მხოლოდ, რუსეთზე დამოკიდებულ საქართველოსაც შეეძლო მოეწყო თავდაცვა.. ამისათვის დამოუკიდებლობის გამოცხადება სრულებით არ იყო სავალდებულო. თუ თვით ქართველი ხალხი არ ისწრაფოდა დამოუკიდებლობისაკენ, თუ ეს მისი ნებისყოფის შედეგი არ იყო (ამაზე არაფერია „აქტში"), თუ დამოუკიდებლობა საბოდიშო საქმე იყო, ასეთ შემთხვევაში, დიდი რუსეთის სახელითაც და მისი დახმარების მოლოდინში, ხალხი უკედ დაიცავდა საზღვრებს.

რაღაც დიდი უაზრობა გამოდის დამოუკიდებლობის ამგვარ დასაბუთებაში. გამოდის, რომ თუ რუსის ჯარი კვლავ მოვიდა, ის უნდა ხელგაშლილი მიიღო. ხელი შეეშალა უბრალოდ, დაგტოვა, — წელს როცა მოიმაგრებს, მოვა და „ნებით რომ შეუერთდი" ერთ დროს, იმ ხელშეკრულების ძალით კვლავ დაგიცავს გარეშე მტრისაგან...

უდავო აბსურდია, უდიდესი აბსურდი ეროვნული თვალსაზრისით. მაგრამ ახსნა ამ გარემოებას მეორე მხრიდან აქვს, ესე იგი, არა ეროვნული, არამედ სოციალური თვალსაზრისით. ფაქტია, რომ რუსის ჯარი ნამდვილად ცრემლებით არ გაუცილებიათ. პირიქით, განდევნეს, მოიშორეს. როცა ეს ჯარი მოვიდა უკან, ებრძოლეს (როგორ ებრძოლეს, ეს სხვა საკითხია). მაგრამ განდევნეს მაშინ, არა როგორც რუსები, არამედ როგორც ბოლშევიკები. ებრძოლეს არა როგორც რუსებს, არამედ როგორც ბოლშევიკებს. აი, სად არის სა-

კითხის კვანძი, სად ვპოულობთ დამოუკიდებლობის ახსნას. დამოუკიდებლობის საკითხი ეროვნულის მომენტით კი არ განსაზღვრულა, არამედ სოციალურის და ამ უკანასკნელი მომენტის ანარეკლია სწორედ მოცემული დამოუკიდებლობის აქტში...

ამგვარად, სოც.დემ.-იის დამოუკიდებლობის პრინციპზე შედგომა განისაზღვრა სრულებით სხვა, გარეშე პირობებით და არა ეროვნულით, განისაზღვრა მენშევიზმ-ბოლშევიზმის ბრძოლით, მენშევიზმის საქართველოში გადარჩენის სურვილით. ვნ იცის, შეიძლება ერთის მხრივ, სამადლობელიც გვაქვს შესაწირი ღმერთზე: რომ ბოლშევიზმი არ მოსულიყო რუსეთში, იქნებ უბრალო ლაპარაკის ნებაც არავისთვის მიეცათ სოც.დემოკრატებს დამოუკიდებლობაზე. მაშ სად არის აქ მათი დამსახურება? ის გარემოება, რომ მათ მოაწერეს ხელი დამოუკიდებლობის აქტს? რომ მათ ხელში გატარდა დამოუკიდებლობა? ასევე შეიძლება კომუნისტების ხელშიც მოხდეს... მიიღოს საქართველომ დამოუკიდებლობა.. ერთი შეხედვით პარადოქსია... გავსინჯოთ მაინც იგი.

ისტორია ბევრ მოულოდნელ, შეუძლებელ შემთხვევას გამოაგორებს ხოლმე. ჩვენ კი ვუშვებთ უბრალოდ ისტორიის განმორების შემთხვევას: სტალინ-ორჯონიკიძემ არ დაჰყარეს იარაღი მოსკოვში დამარცხების შემდეგ, მოიკალათეს კავკასიაში ან საქართველოში და გამოუცხადეს ბრძოლა მოსკოვში დამყარებულ რეჟიმს დამოუკიდებლობის დროშით. დავუშვათ ასე. რა დაერქმევა მაშინ ამ მოძრაობას? ხომ სავსებით ერთი და იგივე ეტაპები ექნებათ გავლილი ორივე მარქსისტულ პარტიებს: მენშევიკურსა და ბოლშევიკურს:

ეტაპი პირველი: — ეროვნული ნიღილიზმი, საქართველოს უარყოფა. აქ სინი არა თუ ერთი მეორეს ემზგავსებიან, — ერთად იყვნენ და ამ საგანზე ისინი არ იშლებოდენ. **განსხვავება არავითარი.**

ეტაპი მეორე: — ა). ე. წ. ობიექტური პირობები აიძულებს მენშევიკებს მიიღონ დამოუკიდებლობა, რათა გადაარჩინონ თავისი მარქსისტული დოქტრინა რუსულ-ბოლშევიკურ წარღვნისაგან.

ბ). სტალინ-ორჯონიკიძე თავისი დოქტრინის გადასარჩენად — (ისიც მარქსისტულია) გამოჰყოფენ რეაქციონურ რუსეთიდან ამიერკავკასიას ან საქართველოს. **განსხვავება არავითარი.**

ატაპი მესამე. — ერი სმეთაური ეხლა არიან მენშევიკები. მაშინ იქნეებიან ბოლშევიკები. **განსხვავება არავითარი** (გარდა სახელწოდებისა, რომელიც ორივე რუსულია.)

აქ შეძრწუნდება, ასეთი „უწმინდური" შედარებისათვის სოც.დემოკრატიის ყველა ძველი ფილისტერი. იტყვიან: — რატომ უნდა და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრმავდეთ ასე, რომ ერის მოღალატენი, უცხო ძალით საქართველოში შემოჭრილნი, ამ დამოუკიდებლობის მედროშეთ შეადაროთო! ამის საპასუხოდ ჩვენ ვიტყვით: — დიახ, ვადარებთ მიტომ, რომ ჯერ კიდევ არ ვიცით, როგორ მოიქცეოდა საქართველოს სოც.დემ., თუ წარმოვიდგენთ, მეფის ან ფაშისტურ საქართველოზე წამოვიდოდა მეორე ინტერნაციონალის რაზმები ვანდერველდეს ან ბლიუმის მეთაურობით. არც თვით სოც.დემ. იციან — დაიცავდენ ასეთ საქართველოს თუ არა. ობიექტური პირობების მიხედვით გასინჯავენ! ეროვნული საკითხი თუ ტაქტიკის საკითხია, (და რომ სოც.დემ. ასე ესმით, მათ ეს პრაქტიკაში დაამტკიცეს, წარსულში, და ამტკიცებენ ეხლაც თავისი მოქმედებით. ამას კიდევ ქვევით დავინახავთ). მაშ რატომ არ შეიძლება ჩვენ ახალი შესაძლბლობანი, ახალი ვარანტი „ობიქტური პირობბისა" დავუშვათ და ამის მიხედვით დავასკვნათ? აქ შემაძრწუნებელი არაფერია და დასკვნაც ნათელია: ერის მეთაურობას ვერ დაიჩემებს ის პარტია, რომლისთვისაც ერი, ეროვნული საკითხი მეორე რიგში სდგას, სოციალურის შემდეგ, და რომლისთვისაც თვით ერის დამოუკიდებლობის არსებობის ან არ-არსებობის საკითხი უბრალო ტაქტიკის საკითხია.

„კაზიონური" აღელვების მაგივრად, სოც.დემ. მართველი ჯგუფი უკეთესად მოიქცეოდა თუ ჩაუკვიდრდებოდა საქმის ნამდვილ ვითარებას, გამოიჩენდა გაბედულებას და გასჭრიდა ისე კვანძს, ყოველ მათგანს დიდი ხანია რომ აწვალებს. თქვენ ვერ ნახავთ, თუნდაც ჟორდანიას ახლო თანამშრომლებიდან ვერ ერთს, რომელიც არ გრძნობდეს, რომ მათ სამფლობელოში, მათ პროგრამებში ყოველივე რიგზე არ არის. ბ. ჟორდანია კი ყურს არ ათხოვებს. მან იცის, რომ შეკეთებიდან არაფერი გამოვა, სულ გაუმასხარავდება მარქსიზმი და ამჯობინებს რაინდული პოზა დაიჭიროს. სარაინდო მარქსიზმს კი უკვე აღარაფერი შერჩა, მაგრამ ეხლა ასეთი პოზა არის ერთად ერთი გამოსავალი მისთვის.

ბევრჯერ გამიგონია ძველი მარქსისტებისაგან: რით უნდა ავხსნათ მართლაც ჩვენს პრიმიტიულ მეურნეობის ქვეყანაში სოციალიზმის ასე ერთბაშად შემოჭრა-გავრცელება? აკი მარქსისტული გაგებით სოციალისტური ეშგნება ისახება კონცენტრაცია-ქმნილ წარმოებებში. აქ გროვდება პროლეტარული მასსები, რომლეიც ებმიან კოლექტიური ხასიათის შრომაში. ამ შრომის პროცესში და ამ შრომის კოლექტიური ხასიათის გამო მუშავდება პროლეტარიატში კოლექტიური ფსიქოლოგია. ამ უკანასკნელზე შენდება სოციალისტური

ედეოლოგია: კოლექტიური შრომის ნაყოფი ნაწილდება ინდივიდუალურად, მიდის კაპიტალისტების ჯიბეში; წარმოება კოლექტიურია, განაწილება ინდივიდუალური. ეს შეუსაბამობა წარმოებასა და განაწილებაში იწვევს, აუცილებლობის კანონით, კლასთა ბრძოლას. პროლეტარიატი, იდეოლოგიურად შემზადებული, ირაზმება კაპიტალისტთა წინააღმდეგ. სწრაფი პროლეტარიზაცია — კონცენტრაციის გამო — და პროლეტარიატი ძლიერდება რიცხობრივად, ხდება უმრავლესობად, სხვა მისებრ დაჩაგრულ წვრილ კლასებში პროლეტარული იდეოლოგიის გავრცელებით. ეს უმრავლესობა ახდენს უმწვერვალეს დონემდე ასული წარმოების ექსპროპრიაციას, — მყარდება სოციალიზმი, ჰარმონიული სოციალური წყობა, სადაც წარმოებაც კოლექტიურია და განაწილებაც. როგორც ხედავთ, ყოველივე ისეა მოზომილი, მისხლობით აწონილი, როგორც აფთიაქში. მარქსისტულ ევოლუციის ამგვარი გაგებისათვის შეაკლეს თავი ბოლშევიკებს და როცა ამავე გაგებას უყენებენ საქართველოს სინამდვილეს უკანა რიცხვით, ცოტა ფიქრებში ვარდებიან. — საიდან იყო ეს 80 პროცენტი სოციალისტებისა საქართველოშიო.! ეს სოციალიზმი კი არა, რაღაც სხვა იყო ალბად. სად იყო ეს ქარხნები და პროლეტარული მასსები, ფართე კოლექტიური წარმოებით დაკავშირებულნი, კოლექტიური, სოციალისტური ფსიქოლოგია რომ გამომუშავებულყო? სოციალური ისტორიისათვის ხომ არის ანალიზი საჭირო და რომელი ისტორიკოსი მიიღებს ასეთ ახსნას: პროლეტარიატმა საქართველოში უმრავლესობის გზით აიღო ძალა-უფლება ხელში და მარქსისტული „სახალხო მეურნეობის“ შენებას შეუდგაო, ან ხომ არ მიიღებს ამგვარ დასკვნას: რადგან ასეთი ხასიათის მოძრაობა გქონდა, მაშ საქართველო ინდუსტრილი ქვეყანა ყოფილა (ბ. ჟორდანია რომ ასე ასკვნის, ამას ქვევით დავინახავთ). არა, ისტორიკოსი განიხილავს საქართველოს მაშინდელ ეკონომიურ რაობას და ამის მიხედვით „მარქსისტულ მოძრაობასაც“ შესაფერ სახელს მისცემენ — სახელს, რომელიც ამ რაობას შეეფერება*)

ასეთივე ეკონომიური დონე, ასეთივე სამეურნეო ცხოვრების შინაარსი, როგორიც ჰქონდა საქართველოს, ჰქონდა აგრეთვე ათას სხვა ქვეყანას და აკი არსებობდენ ისინი უმარქსიზმოდ? იგივე ეკონომიურმა ვითარებამ აკი არ წარმოშვა სხვაგან ეს სოციალიზმი ასე ერთბაშად ,ასე ანაზდეულად! ბ. ჟორდანიას მიერ მოწოდებული ახსნა ყოველთვის ვარდისფერად არ ეჩვენება ყველა სოც.დემოკრატს.

---

*) ამ საკითხის შესახებ იხ. ვიკ. ნოზაძის წერილი ამავე კრებულში.

ქართველი ხალხი, ყველა თავისი შემადგენელი ნაწილებით, მუდამ რაინდი იყო. გამონაკლისს, სხვა ქვეყნებთან განსხვავებით, არც სასულიერო წოდება შეადგენდა, რისი საბუთიც მრავალია ჩვენს ისტორიაში. ეს რაინდობა, ქართველ ხალხს იმ-თავითვე უგულოდ ხდიდა ფულისადმი, ვაჭრობისადმი. შორეული ისტორიიდან ვიცით, რომ კოლხიდა-იბერია, ეს დიდი სავაჭრო გზა, აღმოსავლეთ-დასავლეთის ხიდი, მუდამ უცხო მოვაჭრეთა ხელში იყო: ბერძნების, ებრაელების და, ბოლოს, სომხების. ეს შემთხვევითი მოვლენა არ არის, ასე მოდის ჩვენი ხანგრძლივი ისტორიის გზაზე — ოქროს ხანამდე და მას შემდეგ, ბოლომდე. ეს ქართველი ხალხის ისტორიულად ნატურალური მეურნეობის ფსიქოლოგიაა, რამაც თავისი გამოხატულება ჰპოვა ქართველი ხალხის უდიდეს სულიერ საგანძურში — ვეფხის ტყაოსანში. შოთა ქართველმა ხალხმა მიტომ შეიყვარა, შოთას იდეებმა მიტომ მოაღწია აქამდე ხელშეუხლებლად, რომ ეს იდეები ქართული იყო, რომ იგი ქართველი ხალხის სული და გული იყო. — „რასაცა გასცემ შენია, რაც არა დაკარგულია“, „სჯობს სახელისა მოხვეჭა, ყოვლისა მოსახვეჭელსა“, „მიეც გლახაკთა საჭურჭე, ათავისუფლე მონები“ და სხვა მრავალი — ქართული რაინდობის დევიზია. ამ იდეების მატარებელ ქართველ ხალხს ფულის სიყვარული, მისი რაინდული გაგებით, მხოლოდ კუდიანს, ეშმაკს, გაიძვერას და სხვა ასეთ ვინმეს შეეძლო. ქართველი, ისედაც ღარიბი, მუდამ გაცემაზე ფიქრობდა და როდესაც გაცემას შესძლებდა, მაშინ იყო ის ბედნიერი.

ქართველი ხალხის ეს თვისება სულ მოკლე დროში გაიგო ცნობილმა მწერალმა და მოგზაურმა, ხალხის ფსიქოლოგიის დიდმა მცოდნე ალექსანდრე დიუმამ. სხვა მრავალ რაინდულ თვისებებთან ერთად, ალ. დიუმა ერთ თვისებას ამჩნევს ქართველ ხალხს: — „ყველა სხვა ხალხებს უყვარს, როდესაც მას რაიმეს აძლევენ. ერთად ერთი ხალხი კი, რომელსაც გაცემა უყვარს — ქართველებია“-ო. განა ეს მართალი არ არის? დღემდე ამას არ ვხედავთ?

აი, ასეთი ფეოდალური ფსიქოლოგიის მატარებელ ხალხში შემოვიდა დაბოლოს სავაჭრო კაპიტალი, ესე იგი, კაპიტალიზმის შესამზადებელი საფეხური. (ამ საფეხურს საქართველო უკანასკნელ ხანამდე არ გასცილებია). სად არ მოუხდენია სოციალურ წყობაში ერთგვარი რევოლუცია ფულს, სავაჭრო კაპიტალს, რომ ჩვენში არ მოეხდინა? სავაჭრო კაპიტალის შემოჭრა საქართველოსთვის ყუმბარის გასკდომა იყო. მას ფული ბუნებით ეზარებოდა, უმისოდ კი ახალ წყობაში არსებობა არ შეიძლებოდა. სიძულვილით აივსო ის რუსული წყობილებისადმი და ახალი ეკონომიური ვთარებისადმი. ნატუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რალური მეურნეობის ოპოზიცია ფულის მეურნეობისადმი, საერთო მოვლენაა (არსებითად რეაქციონური) და საქართველოში ეს ოპოზიცია ხომ ბევრად უფრო მძლავრი უნდ ყოფილიყო. და იყო კიდეც. ქართველი ხალხი სულ უკანასკნელამდე ისევ თავისი ცხოვრებით განაგრძობდა ცხოვრებას, ზიზღით უცქეროდა ფულის ბატონობას და ახალ ეკონომიურ ვითარებას. აქტიურ ბრძოლაშიც გადაიოდა ამ წყობილების წინააღმდეგ: „გადავარდნა", „ფირალობა" ამ ეპოქის ამბავია და ამ „გადავარდნილთა" და „ფირალთა" შესახებ ხალხი გალობდა. — სად იყო აქ რაიმე თეორიები, იდეოლოგია? ხალხი უამისოდაც თავის ტრადიციას, თავისი ცხოვრების ძველ წყობას იცავდა.

ამ ჭიდილში ყოველი ქართველი, პროგრესიულად მოაზრე უნდა ცდილიყო ქართველ ხალხს მიეღო აუცილებლად ახალი სამეურნეო წყობა, გაეხადა იგი თავისად, შესდგომოდა ეკონომიური აღორძინების გზას, ყაირათს, სიმდიდრის შეძენას და დაგროვებას; ამ გზით შეიძლებოდა ქართული ეროვნული ეკონომიკის შექმნა და სწორედ ამ გზას დაადგა ილია ჭავჭავაძე და მისი თაობა. ეს მისია მეტად ძნელი იქნებოდა არა?.. მეტად მძიმე, საპასუხისმგებლო, ხანგრძლივი მუშაობით და რკინის ნერვებით გასატარებელი. და თუ ამ დროს ხალხს ვინმე ეტყოდა: — ფულის დაგროვების მქადაგებელი თქვენი მტერია, თავადაზნაურობის მომხრეა —, როგორ იტყვით?!.. დიდი ენერგია იყო საჭირო, რომ ხალხი ასეთ ხმას გაჰყოლოდა?

და აი, მოვიდა მარქსიზმი... „საკუთრება — ბოროტებაა; ფული — ხალხის გაყვლეფის იარაღია, — ჩემი და შენი არ უნდა არსებობდეს — განაცხადა მან. ხალხი ყოველივე ამას ადრევე ფიქრობდა. რომ მას ეს დოქტრინა მიეღო, ამისთვის არც პროლეტარიატი, არც ინდუსტრია, არც კონცენტრაცია და არც სხვა ეკონომიური ატრიბუტები არ იყო საჭირო. ხალხი რუსული კანონების წინააღმდეგი რომ იყო, ეს ხალხური აჯანყებებით მარქსიზმის მოსვლამდე ბევრად ადრე დამტკიცდა. ამ პოლიტიკურ მომენტს მიმატა ზემოდ-მოყვანილი მარქსიზმის სოციალური პროგრამა და ორივე ერთად ხალხმა — გლეხა, მღვდელმა, ბერმა, — სავსებთ მიიღო, თავისად გაიხადა, რადგან მისი ძველი იდეები მარქსისტებმა მას მომავალის რწმენად, იდეალად, აღთქმის ქვეყანად დაუხატეს. მარქსიზმიც ხალხმა თავისებურად გადახარშა: ტყეში გავარდნილ ხალხს სოციალის-ტერორისტი დაარქვა, ფირალს — ახალთაობის კაცი, მაძიებელ აზნაურს, ძველად შეძლებულ ოჯახებში სასურველ სტუმრად რომ ითვლებოდა, შესანიშნავი მოსაუბრე რომ იყო, ქვეყნის ამბავი რომ იცოდა და თვითეულ ოჯახში თვეობით სტუმრობდა — მოქადაგე, პროპაგანდისტი უწოდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პოლიტიკურად ხალხი იბრძოდა „რუსული კანონის“ წინააღმდეგ საერთოდ, მაშასადამე, რუსეთის წინააღმდეგაც. თვითმწყობელური კანონი იქნებოდა ეს თუ რესპუბლიკური, ვერავითარი რუსული კანონი ხალხს ვერ დააკმაყოფილებდა, ხალხის თქმა: ასეთია რუსული ზაკონიო, მხოლოდ ამას ნიშნავდა. ამ „ზაკონის“ წინააღმდეგ იბრძოდენ მარქსისტებიც. ხალიხი მივიდა მათთან.

ხალხი იცავდა ძველს, მამა-პაპის ადათებს. ეს ბრძოლა კონსერვატიული ხასიათის იყო; ახალ ეკონომიურ ვითარებას შეებრძოლენ მარქსისტები. ხალხი მივიდა მათთან.

მაგრამ აიღო რა ხალხური მოძრაობის ხელმძღვანელობა ხელთ, მესამე დასელებმა ის მარქსისტულ არტახებში მოამწყვდიეს, უცხო დოგმების ყუთში ჩაჭედეს, მოხსნეს მას ეროვნული სამოსელი. ეროვნული დროშით ხომ ბატონყმობის მომხრეები და კაპიტალიზმის მოციქულები გამოდიოდენ... აიკრძალა ავტონომიაზე ლაპარაკი, რადგან „ავტო“ — ბატონს ნიშნავდა და „ნომია“ — ყმას. ხალხმა ამიტომ დაუთმო ეროვნულ საკითხში კოსმოპოლიტებს, ხელი აიღო მასზე გარეგნულად, ბრძოლას კი ძველი შინაარსით განაგრძობდა. ეს ბრძოლა მართლაც თავგანწირული იყო. ქართველი ხალხისათვის აქ სასაჭელო ბევრი რამ არის. მან დაამტკიცა და გაამართლა შოთას სიტყვები: — „სჯობს სახელისა მოხვეჭა, ყოველსა მოსახვეჭელსა“.

როგორც ვსთქვით, ქართველი ხალხი აქ იბრძოდა რუსის წინააღმდეგ. მის თავდადებას, რაინდობას აცხოველებდა შინაგანი მისი პროტესტი უცხოს წინააღმდეგ. სხვა არის, მეთაურებმა რა სახელი დაარქვეს, რა მიმართულება მისცეს, რა კალაპოტში ჩასჭედეს ეს მოძრაობა. განა უფრო ლოგიკური არ იქნებოდა ამ ბრძოლას გარეგნულადაც ეროვნული ხასიათი მისცემოდა და ასე ულაზათოდ არ მიჰკერებოდა, ქართველი მარქსისტების ხელით, რუსულ პროლეტარულ მოძრაობას.? ხომ შესაძლებელი იყო ილიას და მის თაობას გაეწია ქართველი ხალხის ამ მოძრაობისათვის ხელმძღვანელობა. ეს მათ უფრო შეეფერებოდა. ამისთვის საჭირო იყო მათ გაეზიარებიათ ხალხს უარყოფითი განწყობილება ახალი ეკონომიური ვითარებისადმი. ამ შემთხვევაში ილიას ეროვნული პოზიცია უდავოდ ხალხის პოზიციად გადაიქცევოდა. მაგრამ ილია, როგორც ჭეშმარიტი ქართველი, არ წავიდა ამგვარ ნაკლების დაბრკოლების გზაზე, არ გაჰყვა ასეთ იაფფასიან გამარჯვების შესაძლებლობას; მან აირჩია გზა, რომელშიც ის ხედავდა ერის მომავალს, ერის ბედნიერებას. ჩვენ დავინახეთ, თუ რა მზეზით დამარცხდა აქ ილია. ეს მიზეზი კარგად გაიგო ილიას მომ-

დვნო თაობამ — ფედერალისტებმა, რომელთაც მხოლოდ ერი, ეროვნული ინტერესები ჰქონდათ მიზნად აღებული. ქართველი ხალხი კი, მარქსისტების ჩიჩინით, გარეგნულად ეროვნულს უკვე გაურბოდა. ამიტომ სოც.ფედერ.-მა მიიღეს სოციალიზმი, სოც.დემ.-ზე უფრო მემარცხენე; გლეხს საზოგადო მფლობელობა უნდა: მაშ სოც. დამოკრატებს თუ ნაციონალიზაცია და მუნიციპალიზაცია აქვს, ჩვენ „დაუბასე" ვუთხრათ, სოციალიზაცია მივაწოდოთ (საცოდავო საქართველო! სად იყო, სად დაგროვდა ამდენი უვიცობა, ასე უხვად რომ მოგაყარეს! ჩვენი წვრილი სოფლის მეურნეობა თავისი კულტურული დარგებით და ... რამდენი მუნიციპალიზაცია! სოციალიზაციებით სავსე პროგრამები გადადის მის თავზე... თვით სოფლის მეურნეობას კი ვინ სწავლობს? აბა, ერთი სპეციალური ნარკვევი თუ გვაქვს ამ დარგში?). თავის თავად ეს ანგარიში უაზრო არ იყო, მაგრამ ვერ იხეირა ამ პარტიამ, დაგვიანებლი გამოვიდა; სოც.დემ-იას უკვე მაგარი „იაჩეიკებით" ეკავა ხალხის მოძრაობა ხელთ.

ყოველივე ეს წარსულს ეკუთვნის... მაგრამ მომავალში რა ვაკეთოთ? დამოუკიდებელ საქართველოში როგორი პროგრამით მივიდეთ ხალხთან? საქართველოში მარქსიზმის გავრცელების სისწორის ეჭვებს ემატება კიდევ ეჭვები მის ვარგისობაზე მომავალში: როგორ მოხდება მარქსისტულის მიდგომით ჩვენი ქვეყნის გაჩანაგებული მეურნეობის აღდგენა?

ჩვენი ქვეყანა კაპიტალიზმისაგან ხომ არ იჩაგრება, რომ სოციალისტურ მალამოებზე ვილაპარაკოთ კიდევ! პირიქით! უკაპიტალობიდან, უკაპიტალიზმობიდან იღუპება მეურნეობა, ქვეყანა. მაშასადამე, კაპიტალის აღდგენაა საჭირო. თუ მას იკისრებს საზოგადოება, მაშინ სოც.დემოკრატია აქვე არის, სხვა ვინ შეედავება აქ. მაგრამ ჩვენ საზოგადოებას, ცალკეულად და ერთად აღებულს, არაფერი გააჩნია, მშიერ-ტიტველი არის. ამ საზოგადოების ინიციატივაზე, ამიტომ, კრიტიკულად განწყობილი სოც.დემოკრატები, რაღაც უიმედოთ არიან. და ასერთოდაც, საზოგადოებრივმა ინიციატივამ მოიკოჭლა. ყოველ შემთხვევაში პრეცედენტს ვერსად ხედავენ, რომ პრიმიტიული მეურნეობის ქვეყანა, თავისი პრიმიტივობიდან საზოგადოებრივი ინიციატივთ ამოსულიყოს. მაშ გამოსავალი უცხო კაპიტალის მოზიგვაშია (საკუთარზე ლაპარაკი ზედმეტია). აქ კი მარქსიზმისათვის დიდი სიძნელეები იქმნება; კაპიტალის მოსვლისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნაა საჭირო; სოციალისტურ შეზღუდვების რისკში, მით უმეტეს უცხო ქვეყანაში, კაპიტალები არ იმუშავებენ, არ წავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლენ. მაშ მარქსისტებმა გაუხსნან კაპიტალს თავისუფალი გზა, მარ-ქსისტებმა აშენონ კაპიტალიზმი? ეს სრულებთი არაა მათი როლი. რას იტყვიან მათი ძმები ევროპაში, რომლებიც კაპიტალიზმის მოსპობის გეგმებს იმუშავებენ და ამავე დროს მათი ქართული სექცია კაპიტალიზმს აშენებს? ეს რაღა გამოვიდა, რა სოციალისტობა იქნება ეს? მეორე მხრივ, სრულებით არ უნდათ წარმოიდგინონ დამოუკიდებელი აქართველო და მის სათავეში სხვა ვინმე, თუ არა სოციალ-დემოკრატია. რა ჰქნან, რა გამოსავალი ნახონ? ერის მეთაურის როლშიც რომ ღირსეულად წარმოგვიდგენ და თავის ევროპიელ მოძმეთა თვალშიც არ იყონ სასაცილო. მართლაც მეტად საჭოჭმანო საკითხია და ბ. ჟორდანიაც, როგორც ვიცით, დიდ ხანს სდუმდა ამ საკითხზე, და გამოვიდა მისი „დემოკრატია", შემდეგ „სოც.დემ. პროგრამის პროექტი", სადაც ეს საკითხები „გადაჭრილია" შემდეგნაირად: — ჰარმონიული განვითარება კერძო და საზოგადოებრივი ინიციატივის; სოციალიზმიც და კაპიტალიზმიც. არც მწვადი დასწვა, არც შამფური. საკითხი გადაიჭრა მენშევიკურად.

———

„დემოკრატიაში" მოყვანილ აზრებს, მარქსიზმის „ნიუანსების" ურთიერთშორის ბრძოლას ჩვენ სრულებითაც არ შევეხებოდით... ქართველმა ინტელიგენციამ ისედაც ბევრი დრო და ენერგია შეალია ამ წყალის ნაყვას — „კაპიტალის" უაზრო ზეპირობას. საქართველოს, ყველა ამ „ნიუანსებზე", ერთად აღებულზე, განაჩენი უკვე გამოტანილი აქვს, უკვე ეს მისთვის სადავო აღარაა. მაგრამ ეს მარქსიზმი საქართველოს, გარდა დროს და ენერგიის ხარჯვისა, სხვაგვარად კიდევ უფრო ძვირად დაუჯდა, საბედისწერო გახდა მისთვის. ამ „ნიუანსების" ბრძოლის შედეგს ყველა ხედავს. ეხლა კიდევ შიგ, ორტოდოქსალურ-მარქსიზმშიც, აღრევაა. ბ. ჟორდანიას არც ევროპიელი სოციალისტები მოსწონს; ძალზე მემარჯვენენი არიან, ბურჟუაზიული იდეოდოლგია არის მათში შეჭრილი.! საჭროა მეტი მეშარცხენეობა. აი, პარიზის კომუნის მაგალითზე უნდა იქნას დემოკრატია აგებული, ფართე დემოკრატია; ახალი ტერმინიც იქმნა გამოგონილი ამისთვის — „სახალხო დემოკრატია"! მაგრამ განა მარტო ევროპიელი სოციალისტების დარიგებისათვის არის ეს წიგნაკი და მასში განვითარებული „ახალი თეორიები" მოტანილი? ეს კიდევ საქართვლეოსთვის მზადდება საექსპერიმენტოდ. აკი ასეთი ბედი ჰქონია ჩვენს ქვეყანას: საცდელ მინდორად გაჩენილა, სხვა პატრონ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

არავინ აღმოჩენია. ახლაც ასე განუკითხავად უმზადებენ ამ „სახალხო დემოკრატიისა“ და სოციალიზმ-კაპიტალიზმის ჰარმონიულ განვითარების თეორიებს. სწორდე ამას გვსურს შევეხოთ.

„ეს წიგნაკი, დაწერილი განსაკუთრებით ევროპიელი მკითხველისათვის, იბეჭდება ქართულადაც“ — ასე იწყება „დემოკრატია“. არას ვიტყოდით, ევროპიელებმა განსაჯონ, თუ მისაღებია; მაგრამ „ქართულადაც იბეჭდება“ ახალგაზრდობისათვის სახელმძღვანელოდო, „ძველი მიმავალი თაობის გასაცნობათ, გასაგებათ და მის მიერ დაწყებული მუშაობის გასაგრძელებლათ“... თურმე ამ წიგნაკში გამოთქმულ პრინციპებზე იყო საქართველოში რომ „შენდებოდა მორთული და მოკაზმული სახალხო ცხოვრება“, საქართველოს რესპუბლიკა იყო ამ პრინციპების „სახელმწიფოებრივი განხორციელება“.

ჯერ ახალი თეორიების გამოგონება („სახალხო დემოკრატიით“, სინდიკალისტურ სოციალიზმის მაგვარ დოქტრინებით) ევროპიელებისათვის მისაწოდებლად, როგორც ახალი სიტყვისა და შემდეგ კი იმის თქმა, უკანა რიცხვით: ამ თეორიებზე შენდებოდა ჩვენი რესპუბლიკაო, — ეს რა წესია, ვერ გაგვიგია. მაგრამ ვნახოთ, რაა ის დედააზრები, რომლის გაგრძელებას ურჩევს ბ. ჟორდანია ახალ თაობას?!

„პარლამენტარიზმის უარყოფა“ (ბეჭდვითი შეცდომა არ გეგონოთ. სწორედ ასე აქვს ავტორს — საქართველოს რესპუბლიკა შენდებოდა პარლამენტარიზმის უარყოფაზეო. საქართველოს კონსტიტუციის ავტორებს პირველად ესმით ალბად ამგვარი „ინტერპრეტაცია“, აქაც უკანა რიცხვით რომაა ამ კონსტიტუციაზე მოყოლობული)... **საზოგადო ორგანოების ხელში თავის მოყრა საწარმოო და სავაჭრო დარგების, შექმნა ერთი სრული სოციალური ეკონომიის, დაცვა გლეხთა და წვრილ მწარმოებელთა ნაშრომის კაპიტალისტების ექსპლოატაციისაგან, შრომის რესპუბლიკის ბაზად აღიარება** (ესე იგი სოციალისტური რესპუბლიკა და სხვა. მეტს არას ამოვწერთ. ესეც საკმარისი არის, რომ წარმოვიდგინოთ სრული უტოპიზმი ამ პროგრამისა საქართველოსთვის.

მართლაც ასე როგორ უნდა გადავახტეთ ყველა ქვეყნებს თავზე, თითქოს პარლამენტარიზმიც გავლილი გვაქვს, უბრალო დემოკრატიაც, და ვიძლეოდეთ რაღაც სხვას, რაღაც უფრო ახალს, მაღალ ფორმას, რომელიც ჯერ კაცს არ მოსწრებია, რა ხილია, არც ერთ ქვეყანას რომ არ უნახავს!?

„თავის მოყთა წარმოებისა საზოგადოების ხელში“... რომელი წარმოებისა, — ამას არ იკითხავთ ჯერ? რას ვუყრიდით თავს ან ძველად ან მით უმეტეს ეხლა? კიცალიერეს? ამ „თავის მოყრის“ მაგივრად,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ის აჯობებდა, რომ ახალ თაობას წარმოების შექმნის, მეურნეობის აღორძინების გეგმებს აძლევდეთ! მაგრამ ასეთი დადებითი გეგმები ზეპირად არ იწერება,—უარყოფითი და მაღალი „ფილოსოფიური“ კი!

ყველა ამ საკითხის გარჩევა ჩვენ მოგვიხდება ,როცა სოც.დემ. პროგრამის პროექტს შევეხებით; აქ კი გვინდა ერთ თეზისზე შევჩერდეთ: — „დაცვა წვრილი წარმოებისა კაპიტალიზმის ექსპლოატაციისაგან“. ჯერ რატომ ვუსწრებთ მოვლენებს წინ, სად გვაქვს ეს კაპიტალიზმი? შემდეგ, ვსთქვათ ეს კაპიტალიზმი შემოვა, ამგვარი თეზა თავის თავად რეაქციონური არ ხდება? დემაგოგიური არ არის? ჩვენი ქვეყანა მეტად ჩამორჩენილი, თითქმის პრიმიტიული სასოფლო მეურნეობის ქვეყანაა. ჩვენი გლეხი ეხლაც ისეთივე იარაღებით ამუშავებს მიწას, როგორც ეს სტრაბონის დროს იყო. იმ დროს მიწის დამუშავების დარგში, საქართველო სამაგალითო ქვეყანა იყო, მაგრამ შემდეგში ის ამ დონეს თითქმის არც კი გასცილებია. ჩვენი მრეწველობაც არქაიულ დონეზე არის დღესაც.

საკითხი ამიტომ ასე უნდა დადგეს: — ვფიქრობთ, თავისუფალი კარი გვუხსნათ ამ პრიმიტიული მეურნეობის ქვეყანაში კაპიტალს, მივსცეთ მას ფართო ასპარეზი, რათა მთელი საუკუნეებით ჩამორჩენი მოკლე დროში გავასწოროთ, თუ დავიცვათ წვრილი წარმოებას იმ პრიმიტივლი სახით, როგორითაც ის ეხლაც არსებობს, დავიცავთ ძველს?

მაგრამ დახედეთ ქადაგების უკიდურესთა შესაძლებლობებს: — სულ ახალი იდეები... აღთქმის ქვეყანა... მოკლედ, ყოველივე ის, რასაც ჩვენში ჰქონდა ადგილი. ეს „ახალი“ იდეები თანასწორობა-ძმობის თავისუფლების თავის თავად უკვე იმოდენა ძალაა, რომ მათი სახელით მასსები თვით ცას შეიძლება შეატაკო. მომავალის ამგვარ ბუნდოვან იდეებით დაძრული მასსები უდიდესი საფრთხეა, რადგან ის შემომქმედი არასდროს არ შეიძლება იყოს (შემოქმედებისათვის წყნარი მშრომელია საჭირო და არა აღფრთოვანებაში მოსული ადამიანი), არამედ უდიდესი განმანადგურებელი, რადგან ამ მასსების ბრძოლა შეტევითი ხასიათისაა; ეს ანთებული მასსები უდიდესი საფრთხეა, რომელსაც ერთბაშად შეუძლია ისტორიის ჩარხი სულ უკუღმა შეატრიაოს... არაოდეს ასეთივე ეფექტი არ შეიძლება ექნეს კონსერვატორულ იდეებით გამოსულ ხალხს, რადგან მათი ბრძოლა მხოლოდ თავდაცვითი, მოგერებითი ხასიათისაა.

აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველოში, არც ერთი თავადაზნაურული, ფეოდალური ოპოზიცია არ შეიძლებოდა ყოფილიყო იმოდენა მავნე **ეკონომიური პროგრესისათვის**, რამდენად თა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვისუფლება-ბედნიერების მოციქულთა მოძრაობა. ამ დებულების გაშლა, განმეორება მიტომ გვიხდება, რომ ამგვარი მოძრაობათა საშიშროება ანრც შემდეგში გვაქვს აცილებული, რადგან თუ ოდნავ რომელიმე ჯგუფი ან პარტია კი იქნება ეროვნულად იმდენად უპასუხისმგებლო, რომ ხელოსნებს, მაგალითად, მოუწოდებს მისი კონკურენტ ფაბრიკანტის წინააღმდეგ, — ხელოსან წვრილ-მწარმოებელთა მასსა უდავოდ მისკენ წავა. ერის ინტერესები მოითხოვს, რომ ასეთი უპასუხისმგებლო დემაგოგიური ჯგუფები არ არსებობდეს, თორემ ისეთი ხელოსნები, რომელნიც ასეთ ხმას აჰყვებიან, ან მუშები, რომელნიც ქარხანას სრულებით დააკეტვინებენ მწარმოებელს, ყოველთვის აღმოჩნდებიან. (ხომ იყო კიდეც ჩვენში ბევრი ასეთი შემთხვევა?). ასეთი პარტია არ უნდა არსებობდეს, რადგან ეს „კლასობრივი" იდეები უბრალოდ რეაქციონურ იდეებად ტყდება საქართველოში; არ უნდა არსებობდეს, რადგან ეს იდეები მავნეა ქყეყანისათვის. თუ გნებავთ, ეს იდეები არც კლასობრივია, უბრალოდ დემაგოგიურია..

ამიტომ, ბოდიში, მაგრამ ახალმა თაობამ არ გვგონია რომ მიიღოს მარქსისტული ექსპერიმენტის ეს მესამე ვარიანტი. თუ ევროპაში მარქსიზმი გაკოტრდა, სადაც ის დიდი ზომიერებით მუდგა ცხოვრებას, იმ ცხოვრებას, რომელმაც იგი თვით წარმოშვა, საქართველოზე რა უნდა ვსთქვათ... იქ ხომ ხატზე ყავთ გადაცემული ყველა „ნიუანსის" მარქსიზმები. ჩვენი ხალხის გაგებაში დღეს: ქვეყნის საწარმოო ძალთა სრული განადგურება, კოლექტივიზაცია, შიმშილი, სიტიტვლე, გაუგონარი ტეროორი, ღალატი ოჯახში, ღალატი ქვეყნის, ერის, და ... რამდენი სხვა უბედურება უნდა ჩამოითვალოს, — ყოველივე ეს — ერთის მხრივ და კლასთა ბრძოლის თეორია, მეორე მხრივ, სრული სინონიმები არიან.

ჩვენი სოციალდემოკრატები არაფერში მიიჩნევემ ყველა ამ პროცესებს, რომელნიც ხდებიან საქართველოში, და გარედ, ევროპაშიც; მუდამ თავის თავის ერთგულნი რჩებიან და სოციალიზმებს, ზოგს სულ ძველებურს, ზოგს კიდევ ძველს, მაგრამ ახლად შეკაზმულს, უმერთოდ გვაყრიან...

სოც.დემ. პარტიის „პროგრამის პროექტი" (იხ. ბრძ.ხმა ნომ. 38) არქივიდან ამოღებულ მათ ძველ პროგრამას მოგაგონებთ. ბევრ ადგილს ამ პროგრამიდან პირდაპირ განცვიფრებაში მოყავხარ, ასე გგონიათ, ეს ოცდაათი წელი თითქო ძილში გაეტარებიოთ. სულ ძველებური ცნებები შრომა და კაპიტალის, ექსლოატაციის... ისევე იმე-

ორებენ, ისევ ასაბუთებენ ისტორიულად, ფილოსოფიურად, კაპიტალისტური საზოგადოების უკულმართობებს. ამ ზოგადი ანალიზის განმეორება ზედმეტია. თუ რომელიმე ბროშურა კი შეგხვედრიათ სოც.დემოკრატიული, იქ აუცილებლად ნახავდით ამ „მამაო ჩვენოს“. არაფერი შეცვლილა და არც მოსწყინდათ ეს ტრაფარეტები!

ჩვენ ისევ მხოლოდ მათი საქართველოზე მიდგომა გვაინტერესებს. მოვუსმინოთ: —

„ქართველი ხალხი დიდი ხანია **ჩადგა** ამ ასერთაშორისო ეკონომიურ ფერხულში, **ამოევლო** კაპიტალისტურ ემბაზში, **გააგრძელა** თავისი ნათესაობა ევროპიულ საზოგადოების სტრუქტურასთან და **ჩადგა** სავსებით მის ფარგალში“ გაზი ჩვენია). აი როგორი რახარუხითა, ერთი ხელის მოსმითაა ყოველივე დადგენილი — ჩადგა, ამოევლო, გააგრძელა და კვლავ ჩადგა.... ესეც ხომ რეზოლუცია არ არის: გამოუტანე საქართველოს: ასე იყავიო, და გათავდა. ასე ახასიათებენ ჩვენს სინამდვილეს: ამოვლებული იყო სხვა და სხვა კაპიტალისტურ ემბაზშიო. სად, როდის იყო აე? აბა, ასე ზეპირად საკითხის გადაწყვეტა შეიძლება? გვიჩვენეთ ერთი ეკონომისტის აზრი, რომ ასე იყო მართლაც! თუ ჩვენ არ გვყავდენ ეკონომისტები, უცხოელები ხომ ბევრი ყოფილა ჩვენში! დაუწერიათ კიდეც თავისი აზრი ამ საგანზე. სად, ვინ მოგვცა ამგვარი დახასიათება ჩვენი ქვეყნის? მარტო სათაური კაუცკის წიგნისა „გლეხთა სოციალდემოკრატიული რესპუბლიკა“ უკვე კაპიტალისტური ემბაზის წინააღმდეგ არ ლაპარაკობს? გასაგებია, რატომ არ მოეწონათ ეს სახელწოდება!

თუ მაინც იცავთ ამ დებულებას, მაშინ დაასაბუთოთ უნდა! და აქ ციფრების მეტი არაფერი უშველის საქმეს ,მარტო ფრაზა არ იკმარებს. თუ კაპიტელიზმი იმას ჰქვია, რომ ფულის მეურნეობა დაიწყო ჩვენში, ვაჭრობა გაჩაღდა, — ასეთ რაიმეს საშუალო საუკუნეებშიც სხვა. მაგრამ ვის მოსვლია თავში იმისი მტკიცება, რომ იქ კაპიტალიზმი იყო. ან ამ ჟამად, მაგალითად, ზულუსების ქვეყანაშიც სწარმოდა კიდევ ადრე ჰქონდა ადგილი. გუვვიხსენოთ ვენეტიკი, გენოა, და ებს ვაჭრობა: უცხოელები ყიდულობენ ადგილობრივ ნედლ მასალას და ჰყიდიან მოსახლეობაზე უცხო მრეწველობის საგნებს. აქაც კაპიტალისტური წყობილება დამკვიდრებულა!? ამგვარ შედარებაში ჩვენ ოდნავ რომ არ ვაჭარბებთ, რადგან კაპიტალიზმი, როგორც სოციალურ-ეკონომიური მოვლენა და წყობა თავის ნიშანდობლივ თვისებებს მხოლოდ სამრეწველო, ინდუსტრიულ ფორმების მიღების შემდეგ გვაძლევს; ისიც არა მრეწველობის ჩანასახში, როდესაც ასეთი ჩანასახი საერთო ეკონომიურ წყობის დიდ ცვლილებას ვერ იძლევა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

არამედ მაშინ, როდესაც ინდუსტრიული პროდუქცია საერთო ნაციონალურ ეკონომიის პროდუქციაში მნიშვნელოვანს, დიდ წონას იკავებს. ამის მიხედვით შეგვიძლია თვალი გადავავლოთ ჩვენს „ინდუსტრიასაც“.

ჩვენში იყო ხუთი-ექვსი პატარა თამბაქოს ქარხანა, რამოდენიმე ხის სახერხი ქარხანა, ერთი ტყავის, ერთი საპნის და სხვა დანარჩენი კი უფრო სახელოსნოებს ჰგავდა, ვიდრე ქარხანას. მაღაროები: ჭიათურა, ტყვიბული. სამრეწველო პროლეტარიატი, ევროპიული გაგებით, ჩვენ სრულებით არ გვაყავდა. დასახელებულ წარმოებებში მომუშავენი (ნავსადგურის და რკინიგზის მუშების ჩათვლით) გლეხები იყვენ, უმეტეს შემთხვევაში, ასე ვსთქვათ, გასავალ სარეწაოზე წასულნი — თავის სოფლის მეურნეობასთან ეკონომიურად უფრო დაკავშირებული, ვიდრე მრეწველობასთან. ასეთი მუშების რიცხვიც 15.000-ს თუ აღწევდა. გამოვიყვანოთ აქედან მუშების პროცენტი მთელი მოსახლეობის მიმართ? ჯერ ეს პროცენტი იმდენად მცირეა, და სასაცილო გამოდის, რომ მოსახლეობის სოციალურ განაწილებაში შეიძლება ის მხედველობაში არც მიიღო. მაგრამ ამ პროცენტის ძებნაც არ არის სწორი მეთოდოლოგიურად, ვინაიდან მუშების ამ რიცხვს არ შეიძლება დაერქვას არც სამრეწველო პროლეტარიატი და არ ცუბრალოდ პროლეტარიატი. აი საქმის ნამდვილი ვითარება. თუ საჭირო გახდება, ამის კიდევ მეტი დასაბუთება (საერთოდ არა თუ საჭირო, აუცილებელიცაა) ამაზე დავაში ჩვენ ბოლომდე გამოგყვებით, რადგან ეს საქართველოს საკითხია და ზანზიბარის.

ამგვარ აშკარად ყალბ დებულებას თუ დავუდებთ ანალიზს საფუძვლად, მაშინ, რასაც კი მოისურვებ, ყველაფრის დამტკიცება შესაძლებელი გახდება. მაინც დავუგდოთ ყური, რისი დამტკიცება სურთ ამით, რისთვისაა საჭირო საქართველოს ამგვარად დახატვა? : —

„ამ საერთაშორისო ეკონომიური მოვლენის ჩვენში ამუშავებას ბუნებრივი აუცილებლობით მოყვა, (რატომ სხვაგან არ მოყვა ასეთივე ბუნებრივი აუცილებლობით? ე. პ.) მისი საერთაშორისო მუშური გაგება, მის დაფასება და საქართველოს მშრომელთა მასების სოც. ინტერ. ასპარეზზე გამოსვლა“.

აი რისი დამტკიცება სურდათ! აი როგორ ხდება წინასწარ აღებული აზრისათვის სინამდვილის ასე უხეშად გამრუდება! შეიძლება ერთი შეხედვით არ აღელდე ადამიანი, გვერდი აუარო ასეთ რამეს: რა მნიშვნელობა აქვს, შეცდომაა, მაგრამ არც ისეთი... არა, აქ შეგნებული გადამახინჯებაა, გადაყირავებაა ყოველივესი, საქართველოს სინამდვილის გაწირვაა რაღაც თავქარიან იდეებისათვის. სინამდვი-

ლის, ფაქტების ამგვარ „ჩაწყობას“ უუდიდესი ვნება შეუძლია ქვეყანას მოუტანოს და მოუტანა კიდეც. ამგვარ კარდინალურ საკითხზე **ერთხელ** მიღებული ყალბი დებულება, შემდეგში მთელი ქვეყნის ეკონომიურ პოლიტიკას ყალბად წარმართავს.

ერთი მარგალიტი კიდევ საქართველოსთვის: —

„დასავლეთში საკითხი სდგას ბურჟუაზიული წყობილების სოციალისტური წყობილებათ გარდაქმნის, **საქართველოში კი** ბოლშევიკურ, ე. ი. არა ბურჟუაზიულ, არამედ **სახელმწიფო კაპიტალისტურ წყობილების სოციალისტურად დაბოლავების**“ (ხაზი ჩვენია, ე. პ.).

ხომ ვსთქვით, რომ მესამე ტიპის მარქსიზმ-სოციალიზმი მზადდება საქართველოსთვის-თქო. ეს საერთო იდეოლოგიურ კონცეპციად კი არ არის მოცემული; „დემოკრატიაში“ კიდევ ასე იფიქრებდა კაცი! არა! ამას უშუალო სამოქმედო პროგრამად გვაწვდიან!

თქვე დალოცვილებო! თუ ქვეყნის არაფერი გჯერათ, თუ ქართველი ხალხის ეხლანდელი უბედურება არაფერს გეუბნებათ, მარქსს მაინც დაუჯერეთ: — კაპიტალიზმი აუცილებელი წინასწარი პირობა არის სოციალიზმში გადასასვლელადო. და ცოტა ხნით მაინც მოგვასვენეთ ამდენი სოციალიზმებისაგან. აცალეთ ხალხს თავისი მეურნეობა აღადგინოს, თავის კერას მიხედოს, სახლი გადახუროს, ტანი დაიბანოს! კიდევ კლასობრივ ბრძოლაში მიგყავთ? მაინც რომელი კლასები გსურთ ერთმენეთს შეატაკოთ? „ბოლშევიზმიდან სოციალიზმში გადასვლა“ ... (ე. ი. ბოლშევიკებს შესანიშნავად შეუმზადებიათ ნიადაგი ამისთვის. მაშ, რას უსაყვედურებდით: დაგვღუპეს, სოციალიზმს დაგვაშორესო!)

„და იბადება საკითხი: განთავისუფლებული გლეხობა რანაირ საწარმოვო ურთიერთობაში უნდა ჩაებას, რომ თავი დაახწიოს როგორც სახელმწიფო, ისე კერძო კაპიტალის გაყვლეფისაგან“...

ხომ ხედავთ, უშუალოდ მოდის კლასთა შეხეთქების პრობლემა! მაინც სადაა ეს კერძო კაპიტალი და მისი საშინელებანი? რატომ გსურთ წინასწარ დაითხაროს გლეხმა თვალები და შეძვრეს მიწაში თხუნელასავით?

„ამ მძიმე პრობლემას სწყვეტს“, განაგრძობს პროექტი, „სხვილი და წვრილი წარმოების ახალი არა კაპიტალისტური ურთიერთობის შექმნა და ორივე დარგის თანასწორი უფლებით აღჭურვა“...

ვილაცის უფლებით აღჭურვაზეა ლაპარაკი, სხვილის და წვრილის. სწორედ ეს „ვილაცა“ გვაკლია, მაგრამ არა უშავს... არსად არც ერთი სიტყვა იმის შესახებ, თუ როგორია გეგმა თვით ამ მეურნეობის აღდგენისა, როგორია ამ დიდ, ვმძიმეს და უმთავრეს პრობლე-

მაზე მათი მიდგომა, მათი პროგრამა. არა, ეს საკითხი მათთვის არ არსებობს. ისე, როგორც საქართველოს ეკონომიკას კაპიტალისტურად ნათლავდენ წინედ და საჭირო დასკვნებიც მისით მოდიოდა, ეხაც ისევე: — სახელმწიფო კაპიტალიზმი გვაქვს საქართველოში და სოციალიზმში გადასასვლელად საჭიროა „ახალი არა კაპიტალისტური ურთიერთობის შექმნა", „სხვილი და წვრილი წარმოების თანასწორი უფლებით აღჭურვა". ამით მძიმე საკითხიც გადაჭრილია. თვით პროცესი საკითხის გადაჭრისა, შემდეგნაირია: — ხალხი ახდენს ექსპროპრიაციას სახელმწიფო ქონებისას და ამით სპობს საბჭოთა სახელმწიფოს კაპიტალიზმს; შემდეგ წვრილ ქონებას უბრუნებს ძველ მეპატრონეთ და მსხვილ წარმოებას კი ხალხი თავისთვის იტოვებს, როგორც ბაზას სახალხო ეკონომიის ასაგებად. ამ მსხვილ წარმოების გაძღოლას თავს იდებს სახელმწიფო, თემი, ერობა, კოოპერატივი, საამხანაგო საზოგადოება და სხვა. ამათი და წვრილ მეურნეობათა ურთიერთობა თანასწორ უფლების პრინციპზეა აგებული, რითაც იქმნება ჰარმონიული განვითარება კერძო და საზოგადო წარმოების, იქმნება ე. წ. სახალხო ეკონომია, რომელიც „სახალხო დემოკრატიით" გამაგრებული, უმტკივნეულოდ გადავა სოციალისტურ ეკონომიკაში.

ასეთი ჰარმონიები მარქსს, მაგალითად, არასოდეს არ მოუცია. ჩვენი ქვეყნისთვის იყო უდიდესი გაუგებრობა მარქსიზმი, თორემ ევროპის ეკონომიკის საკითხებში მარქსი უტოპისტი არ იყო. ის, ასე თუ ისე, არსებულ ეკონომიურ ურთიერთობათა ანალიზით მიდიოდა მომავალის დასკვნებში. სოციალიზმს აღიარებდა მომავალს საქმედ, მაგრამ ყოველივეს, რაც ხელს უშლიდა კაპიტალიზმის განვითარებას, რაც მას გზას უხშობდა, რაც კვეცავდა თავისუფალ კონკურენციას, ის გმობდა, რეაქციონურს უწოდებდა. მარქსს არასოდეს არ დაუსვამს კითხვა: თვით კაპიტალიზმის შენების პროცესში როგორ შევაპაროთ სოციალიზმის ელემენტებიო, როგორ შევანელოთ კაპიტალიზმის საშინელებანი, როგორ უნდა ვიზრუნოთ „უმტკივნეულოთ გადასვლაზე"-ო. თვით ასეთი კითხვის დასმაც მისთვის უდიდეს უტოპიზმს მოასწავებდა. ამ მხრივ ბოლშევიკები მარქსის მიმართ ბევრად უფრო პირნათლად არიან. მათ მიიღეს დებულება, რომ კაპიტალიზმი უკვე უაღრესადაა განვითარებული, შეუდგენ მის მოსპობას და მოსპეს კიდეც. სოც.დემ. პროგრამის პროექტი კი გვიმტკიცებს, რომ ეს სახელმწიფო კაპიტალიზმია; ის სოციალიზმად უნდა ვაქციოთ, წინასწარ ჰარმონიული სახალხო ეკონომიის შექმნი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თო. — პროექტი გამოდის რა ყველა ამ დებულებიდან „მოითხოვს შემდეგ ცვლილებებს“: —

„1. ნაციონალურ სფეროში.

„1. საქართველოს დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკის აღდგენა.“

ასე ღაღადებს პირველი მუხლი. ჩვენ შესანიშნავად ვიცით, რომ თუ დემოკრატიული რესპუბლიკა არ იქნა — სახალხო დემოკრატიით და სხვა თქვენ პროექტში მოყვანილ დებულებებით აშენებული — სხვაგვარი დამოუკიდებლობა თქვენთვის მიუღებელია. ამიტომაც არის აქ, პირველ პუნქტშივე, დამოუკიდებლობისა და პოლიტიკური რეჟიმის საკითხი ერთი მეორეზე ასე სასტიკად დაკავშირებული. აქ ახსნაში ორი აზრი შეუძლებელია. მაგრამ გარეგნული ლოგიკა მაინც რომ დაგეცვათ, უკეთესი იქნებოდა... „ნაციონალურ სფეროში“ — დემოკრატიული რესპუბლიკა — რაღაც არ ეწყობა. ასე მეტად ღიად სჩანს ამ თეზისის ანტიეროვნულობა.

ქვევით — **„პოლიტიკურ სფეროში,** ხომ გაქვთ ეს საკითხი განმეორებული„ სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის“ მოთხოვნილება. მაშ ზევით არ იკმარებდა უბრალოდ? : საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა? თქვენ ამ წესით არც „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს“ ეთანხმებით, სადაც პირველ პუნქტად მოყვანილია მხოლოდ დამოუკიდებლობის-სუვერენობის მომენტი! მეორე პუ**ნქტი კი პოლიტიკური** რეჟიმის საკითხს განსაზღვრავს: —

„2. დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკური ფორმა — დემოკრატიული რესპუბლიკაა“. იქნებ უბრალოდაა ეს ორი მომენტი „აქტში“ ერთი მეორეზე დაცილებული და ამ საკითხს პრინციპიალური ხასიათი არა აქვს? არა, ეს თქვენ ჩვენზე უკეთ იცით: — დამოუკიდებელი საქართველო — დამოუკიდებელი ცნებაა. ეს უბრალო გაუგებრობით არ აიხსნება, მაგრამ ისიც ვიცით, რომ თქვენ თავს აქაც ვერ უღალატებდით.

„2. სოციალურ სფეროში“: — რეფერენდუმი, სიტყვის, ბეჭდვის, სინიდისის და სხვა თავისუფლებანი (ყველა კარგი რამე... რომელიც სწორედ მათ აკლიათ!) და მე-11 მუხლი: — „ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამოყოფა“. ამ ცვლილებასაც მოითხოვს პროექტი, ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამოყოფას. ხომ ვამბობდით: — პირდაპირ ძველი პროგრამიდან არის გადმოწერილი-თქო! მაგრამ ეხლა რომელ გამოყოფაზე ლაპარაკობთ? თუ იმაზე უნდა ვიზრუნოთ, რომ მორწმუნე ქართველს (იქნებ ფიქრობთ, რომ თქვენსა და ბოლშევიკების შემდეგ ასეთი აღარავინ დარჩა?) როგორ უნდა აღვუდგინოთ დან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრეული სამლოცველო. იცით თქვენ, რად აქციეს ეკლესიები წითელმა ველურებმა? იცით, რად აქციეს ჩვენი მამა-პაპათა სასაფლაოები. მიწასთან გაასწორეს მოატიტვლეს! სასაფლაოს ქვები გიჟური ხუთწლიანი გეგმის განსახორციელებლად გამოიყენეს... თითქო გზის გასაკეთებლად... და თქვენ ნახავთ სოფლის თხრილებს, ზედ ამ ქვებს, ხიდად გადებულს, წარწერით: — „აქ განისვენებს"... ამგვარად შერყვნილ და შეგინებულ რწმენას, კულტს, წარსულს აღდგენა არ უნდა? თქვენი პროგრამა კი რას ამბობს ამის შესახებ?!!

მუხლი 13: — ხალხის საყოველთაო შეიარაღება, რესპუბლიკის თავდაცვის მიზნით"

მუდმივი, რეგულიარული ჯარი არც ეხლაა საჭირო? კიდევ გვარდიებს და სახალხო მილიციებს შევქმნით? სოციალიზმში ხომ ყველას ვჯობნიო; ეხლა ჯარისა და თავდაცვის საქმეც ჩვენ უნდა ვასწავლოთ ევროპას... არა? ესეც ფილოსოფიური ვარჯიშობა ხომ არ არის? რომელ სახელმწიფოს აქვს ასეთი რაიმე, გვაჩვენეთ; აი, თუნდაც ახლად განთავისუფლებულ ერებს, ათასი გარანტიებით და ერთა ლიგით უზრუნველყოფილთ აქვთ რაიმე ამგვარი? ფაქტები ასე არ ამბობენ, მით უარესი ფაქტებისათვის; ჩვენი სოციალდემოკრატია როგორ გაბედავს სხვა პრინციპი წამოაყენოს? მაშ შეეწიროს კიდევ ამ „ხალხის საყოველთაო შეიარაღების" პრინციპს საქართველო? არაფერი გამოცვლილა თქვენს აზროვნებაში! ბრმაც ხედავს, რომ მიუღებელია ეს, თქვენც კარგად ხედავთ, მაგრამ როდესაც ორში ერთია ასარჩევი ,თქვენ ყოველთვის სოციალურს წინ აყენებთ ეროვნულზე. აი საკითხის გული, აი საქართველოს ტრაგედია თქვენს ხელში.

3. **შრომის სფეროში.** სოციალური დაზღვევა, ბავშთა და ქალთა შრომის განსაკუთრებული მფარველობა და სხვა.

ყოველივე ეს და კიდევ უკეთესიც ბოლშევიკებმა დააკანონეს კიდეც. ნაწერს თუ მნიშვნელობა აქვს, მათ შრომის კანონმდებლობას მართლაც ნაკლს ვერ მოუნახავთ. მერმე რა?! მშიერ მუშას რომ შვებულებაში დასასვენებლად გაუშვებ, ეს ვერაფერი ნუგეშია მისთვის. მაშასადამე, სოც.კანონმდებლობაში და პროგრამებში სრულებით არ ყოფილა საქმე. მთავარი: საწარმოო ძალთა განვითარებაში არის ისევ. ამის შესახებ კი ბევრ სანუგეშოს ვერას გვეუბნებით. თქვენ ამბობთ: მოვითხოვთ ცვლილებებსო. ამ დარგში შესაცვლელი რომ არაფერი გაქვთ? თქვენი პროგრამა უცვლელად, უკლებლად დაგხვდებათ გატარებული, თუ ესაა საკითხი!

სოციალურ სფეროში. ზემოდ ვნახეთ ზოგიერთი რამ, რასაც

პროექტი მოითხოვს აქ; კერძო და საზოგადო წარმოების საკითხები, „სახალხო ეკონომიის“ გაგება და სხვა. აქ ჩვენ გვაინტერესებს ამ ჟამად **გლეხისა და მისი მეურნეობის საკითხი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროექტი შესდგება სამოცდარვა მუხლიდან. ამათში მხოლოდ 6 მუხლია, რომელიც ჩვენი ქვეყნის ამ ძირითად საკითხს შეეხება. ძირითადის თქმა არ კმარა... ჩვენთვის ეს საკითხი ყველაფერია. ყალბია, უაღრესად ყალბი ის დებულება ,რომ, თუ ფულის მეურნეობა შემოვიდა, სიმძიმის ცენტრი ფინანსიურ საკითხებში გადადისო. ამას კიდევ გავიგებდით, რომ ბანკების და საერთოდ ფინანსიური სისტემა ისეთ ქსელს გვაძლევდეს, რომ თითოული უჯრედი სახალხო მეურნეობისა მასზედ იყოს დაკავშირებული. მაგრამ ჩვენში ერთად - ერთი შემომქმედი, ნაციონალური პროდუქციის შემქმნელი — გლეხობაა. პროლეტარიატი, დავინახეთ, სუსტადაა; მცირეზე მცირე პროცენტია მწარმოებელ ხელოსანთა ოდენობა. დანარჩენი ფენები მწარმოებელი არაა. მაშასადამე, საქართველოს სახელმწიფოს ვინ უნდა ჰყავდეს ზრუნვის საგნად ამორჩეული და მით უმეტეს, ბოლშევიკებისაგან ახლად განთავისუფლებულ საქართველოს?! გლეხი, გლეხი და კიდევ გლეხი!

ვნახოთ ეხლა, რომელია ის ექვსი მუხლი გლეხსა და მიწას რომ უძღვნეს. იმ განსაკუთრებული მნიშვნეობისა გამო, რომელიც ამ საკითხს აქვს ჩვენი ღრმა რწენით, მოგვყავს სავსებით ეს მუხლები.

აი სოფლის მეურნეობაზე პირველი მუხლი; აი საიდან იწყება პროექტი; — **მუხლი 41:** — „წვრილი მიწათმფლობელობის განსაზოგადოება და მიწის საამხანაგოდ დამუშავება ხდება ნებაყოფლობით ყველა მონაწილეთა ერთსულოვანი დადგენილებით“ . **მუხლი 44:** — „მიწა არის ბაზა საქართველოს ხალხის მოსახლეობის და ის უნდა იქნეს დაცული კანონით. ამიტომ სოფლის მიწაზე თავისუფალი ვაჭრობა შეზღუდულია იმ წესით, რომ უპირატესობა გასაყიდ მიწის შეძენაში ენიჭება თემს, ერობას, სახელმწიფოს ან და შესაფერ სოციალურ ეკონომიის კავშირს არსებულ მაზანდაში.“

(„მიწა ეს არის ბაზა საქართველოს ხალხის მოსახლეობის“... ჯერ გვსურს ვიკითხოთ: „ხალხის მოსახუეობა“ რას ნიშნავს? ესეც „სახალხო დემოკრატია“-სებურ ახალ ტერმინს წარმოადგენს, თუ მართლაც არსებობს ასეთი გამოთქმა ქართულად? შემდეგ გვსურს ვიკითხოთ: რომელი „ხალხის მოსახლეობის“ ბაზა არ არის მიწა? სანამ ჰაერში ცხოვრების წესი არ გამოუგონიათ, მანამდე მიწაზე ვცხოვრობთ , ესაა ჩვენი ბაზა. არც ეს გვესმის ამით რა უნდა ეთქვათ?).

მუხლი 45: — „ამ წესით შეძენილი მიწა იხმარება შემყიდველის მიერ

და თუ მას არ ესაჭიროება, ის გადაეცემა უმიწაწყლო ან მცირე მიწის პატრონ გლეხს გრძელვადიანი სესხით". **მუხლი 46:** — „სამყოფი სახლი და მისთვის მიუცელებელი ეზო არას შემთხვევაში არ გაიყიშიდება". **მუხლი 47:** — მემკვიდრეობა თავისუფალია იმ შეკვეცით, რომ მიწის მესაკუთრეს არ აქვს უფლება დასტოვოს უმიწოდ და უსახლკაროდ თავისი ვაჟი და გაუთხოვარი ქალი". **მუხლი 48:** — „მიწა დაუმუშავებლათ დატოვებული თანასთან რამდენიმე წელს, ჩამოერთმევა მეპატრონეს და გადაეცემა თემს".

ეს არის სასოფლო-სამეურნეო „პროგრამა"; ექვსი მუხლი ... და როგორი... მჭლე, როგორი სიცალიერე შიგ. ისაც სულ ძველებური მიდგომით, როცა საკუთრებაც იყო, მეურნეობაც და როცა ამ საკუთრების შეზღუდვაზე ლაპარაკობდენ. ეხლაც სწორედ ასეთივე შეზკუდვებს ვხედავთ მხოლოდ აქ, მეტს არაფერს: რამოდენიმე წელს დაუმუშავებლი მიწა ჩამოერთმევა... მემკვიდრეობა თავისუფალია... მაგრამ შეზღუდული..., სამყოფი სახლი და ეზო არ გაიყიდება... სოფლის მიწაზე ვაჭრობა შეზღუდულია... ერთად ერთი შეუზღუდველი რამ, მიწის განსაზოგადოებაა. მაგრამ ვფიქრობთ, რომ, თუ დასჭირდათ, აქ სხვაგვარ შეზღუდვას ექნება ადგილი: ხალხის სურვილის შეზღუდვას „ერთსულოვანი ნებაყოფლობითი დადგენილების" მისაღებად, ვინაიდან, საერთოდ, მიწის განსაზოგადოებას „ნებაყოფლობით" ჭკუათმყოფელი გლეხი არსად არ მოახდენს. ამ ექვსი მუხლის უბრალო გარჩევაც შეუძლებელია აქ... თუ მიწის კანონმდებლობას გავყვებით, არც აქ იძლევა ეს ექვსი მუხლი ბევრ რაიმეს, რადგან ქალიშვილის უმემკვიდროდ დატოვების გარდა, სხვა ათასი საკითხი არსებობს (ერთად ერთი მისაღები პუნქტი ამ მხრივ ამ პროექტში, მართლაც ვაჟისა და ქალის მემკვიდრეობის საკითხია); საპროგრამოს კი აქ ვერაფერს ვხედავთ. აი, რას გვაძლევს "პროექტი", იმის მაგივრად, რომ განხილულიყო: — რას წარმოადგენს ამ ჟამად ჩვენი სოფლის მეურნეობა, რა მდგომარეობაში არის გლეხი და როგორია ის მატერიალური, იურიდიული თუ სულიერი წყობა, რომელიც უნდა დამკვიდრდეს ეხლანდელის ადგილს; როგორია ის პიროვნები, რომელიც გლეხს დაუბრუნებს სურვილს, დაინტერესებას და მისცემს სწრაფ იმპულსს, უკანმოუხედავად, დამოუკიდებლობის აღდგენის მეორე დღესვე შეუდგეს მუშაობას, დღე და ღამე გაასწოროს, მომაგრდეს და ერი მოამაგროს. დიახ, ერი მოამაგროს, რადგან თუ გლხს ხერხემალი მაგარი ექნება, მომავალი საქართველოც ხერხემლიანი იქნება; ერის მომავალი, მატერიალურად და სულიერად, გლეხის ხერხემალზე აშენდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გლეხი და მისი მეურნეობა არის ის უჯრედი, რომლისაგანაც შესდგება ქართველი ერი. გლეხი ნაწილია, ერი მთელი. ასე იყო, ასე იქნება. ათას დამახინჯებათა მიუხედავად, ქართველი ერის არსებობა გლეხმა მოგვიტანა აქამდე, მან შეგვინახა ენა, ადათი, ერის სხვა სულიერი საგანძური, მან შეგვინახა ეროვნული სული და სხეული. ამიტომ ჩვენ ვამბობთ; — **გლეხია ერის დასაყრდენი, ბურჯი, გლეხის ოჯახია — ჭეშმარიტი ქართული ოჯახი, გლეხის ოჯახში იზრდება და ინახება ქართული სული, ამ ოჯახში იჭედება ქართველი ერის ჯანმთელი სხეული, აქ უნდა გამოიჭედოს ქართველი ერის ბრწყინვალე მომავალი.** (სიტყვა გლეხს ჩვენ აქ ვხმარობთ სიტყვა სოფლის მეურნის მაგივრად, და ვგულისხმობთ: მიწათმოქმედს, მიწის დამმუშავებელს). რომ ეგრეთ წოდებულ ინტელიგენციაზე ან მით უმეტეს, მარტო ბრწყინვალე წოდებაზე ყოფილიყო მიტოვებული ჩვენი ბედი, ერის სახეობა, — ქვეყანა აქამდე გადაგვარებული იქნებოდა; ქართველი ერის ისტორიის არქივებში იქნებოდა უკვე საძებნელი! ამ „ინტელიგენციამ" ათასი უცხო აზრებით გამოუჭედა გლეხს თავი, მაგრამ გლეხი იჯდა მიწაზე, ქართულ მიწაზე და ის თავის ბუნებით ათასჯერ უკეთესი დარაჯი გამოდგა ამ მიწის, ვიდრე ჩვენი ე.წ. მოწინავე საზოგადოება. სოფლის მეურნემ თავისი მიწით, თავისი ოჯახით — ქართული ოჯახით, მეტად ჯიუტი გამოდგა ეროვნული მეობის დათმობის საკითხში. — რა უყო ამ ერის ბურჯს რუსულ-მარქსისტულმა ოკუპაციამ? რაც მეფის რუსეთმა ასი წლის განმავლობაში ვერ შესძლო, ის შესძლო მარქსისტულმა რუსეთმა რამოდენიმე წელში; გასტეხა ეს ბურჯი — ეროვნული მეურნეობის საფუძველი, ერის დასაყრდენი: — მოსპო საკუთრება მიწაზე, მოუშალა გლეხს თავისი კერა, ამოაგდო იგი თავისი ბუდიდან, და შერეკა იგი საერთო საზოგადო წარმოებაში — „სოვხოზ-კოლხოზებში". მთელი ეს სოვხოზ-კოლხოზები მონური ორგანიზაციაა კომუნისტებმა რომ თავის ხუთწლიან გეგმებს დაუმორჩილეს. გლეხმა-მონამ უნდა სთესოს და ამზადოს ის კულტურები, რომელნიც მოსკოვის გაჩანაგებულ მრეწველობას სჭირდება ნედლ მასალად, ან კრემლის მბრძანებლებს, ექსპორტის საგნად, ვალიუტის შესაძენად. გლეხს კი ადგილზე მისი საკვები პროდუქტების მოყვანა აკრძალული აქვს; ცენტრში გადაგზავნილ მისი ნაშრომის საფასურად მხოლოდ პურის წიგნაკს ღებულობს და პურს კი მაშინ მიიღებს, როცა საექსპორტო ნორმაზე და პრივილეგიურ ჩეკისტურ-კომუნისტურ კლასის მოხმარებაზე ზედმეტი დარჩება. სასოწარკვეთილ გლეხს, მშიერს, ტიტევლს, რა მუშაობა შეეძლება? სიკვდილის ნატვრაშია და სამუშაოს წინ ხელი უვარდება!

ეს კი საბოტაჟად ცხადდება და რეპრესიები რეპრესიებზე მოდის. ასეთი სურათია დღეს საქართველოში და ეს საკმარისია იმისათვის, რომ წარმოიდგინოთ, თუ რა დარჩებოდა ჩვენი ღარიბი გლეხის მეურნეობიდან. ხორბლეულობის კულტურასთან ერთად, მეაბრეშუმეობა, მესაქონლეობა არარაობამდე არის დაყვანილი. ჩვენი სიმდიდრე — ვენახი, ბაღი, განსაზოგადოებულ წარმოებას როგორ გადაურჩებოდა! გლეხს მუშა-საქონელი სრულებით არა ჰყავს, სამუშაო იარაღები არა აქვს (ან რად უნდა, მსხვილ „კოლმეურნეობაში" მსხვილ იარაღებით — ტრაქტორებით მუშაობენ). ხვალ, როდესაც გლეხი თავის კერას უნდა დაუბრუნდეს, როგორ აღადგინოს მეურნეობა, როგორ იმუშაოს, ხელით მოფოფხოს მიწა? (სადაა ეს საკითხი, რატომ არსად ვხედავთ, არც „პროექტში", არც სხვაგან? პატარა საკითხია ექნებ? ჰო! მსოფლიოს გაბედნიერების თვალსაზრისით, რასაკვირველია, პატარა საკითხია და ალბად სოც.დემ. ამაზე ამიტომ არ იწუხებს თავს).

გლეხის სულიერი საუნჯენი? მოსრისეს, წაბილწეს! სარწმუნოების ნაცვლად მარქსიზმს აწვდიან; ეროვნული დღესასწაულები, ის დღესასწაულები, რომლებიც ხალხის სული იყო, ქართული იყო, ქართველს რომ ქართველობას არ ავიწყებდა, აკრძალეს... და მის ნაცვლად გლეხს მარქს-ლენინის და „კოლმეურნეობათა დღესასწაულებს" აძალებენ.

ოჯახი? ქართველი ხალხის ეს წმიდათა წმიდა? აღარ არის! შერყვნილია, გადათელილია რუსული ბინძური ჩექმებით. სად, რომელ ურდოთა შემოსევას მიუყენებია საქართველოსთვის ამოდენა უბედურება, რუსულ-მარქსისტულ შემოსევას რომ მოჰყვა? ჩემი და შენი არ არსებობს, ჩემი და შენი ოჯახიც არაა, ყველა ერთია...

ყველა ამ ნანგრევებს აღდგენა უნდა, ოჯახს აღდგენა უნდა! ის, განსაკუთრებით ამიერიდან, ხელი-ხელ საგოგმანებელი უნდა იყოს თვითეული ქართველისათვის. თუ ქართული ოჯახი არსებობს, იქ ქართულ სულიც იზრდება, ქართველი ერიც არსებობს, მისი ეროვნული რაობა უზრუნველყოფილია. რუსული ოკუპაცია ასე ევლურად მოეპყრო ოჯახს, მაგრამ თქვენ რატომ წაიყრუეთ ყური ბატონებო? რატომ არაფერს ამბობთ ამის შესახებ? ერის ამ დანგრეული საფუძველის აღდგენაზე? ...

ჩვენ აქ გვსურს ვუპასუხოთ ზოგიერთ ჩვენ მიერ დასმულ საკითხებზე. რა გზით შეიძლება ჩვენი გაჩანაგებული სოფლის მეურნეობისა და საერთოდ ნაციონალური მეურნეობის აღდგენა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს მეურნეობაში არავითარი რესურსები არ

-ვება, როგორც ვიცით, საამისოდ. ქვეყანაში არავითარი სიმდიდრე აღარაა. არსად, არც ერთ კუნჭულში, არც ერთ სკივრში, ან ბალიშში, არაფერია შენახული. წარმოების დასაწყებად არც გლეხს, არც ვაჭარს, არც მრეწველს და ხელოსანს საშუალება არ გააჩნია. **საკითხი აქ არის** და არა იმაში, თუ ვის ხელში გადავა საკუთრება. გაკოტრებულ სახელმწიფოსაგან გაკოტრებულ მუნიციპალიტეტზე ან ერობაზე წარმოების გადაცემა, როგორი გადაჭრაა საკითხის, არ გვესმის; ან კიდევ, კოოპერაციულად შეკავშირებულ გლეხებზე ან წვრილ მწარმოებლებზე გადაცემა! წვრილი მწარმოებელი ან გლეხი თავისი სამეურნეო საშუალებებით ნულს წარმოადგენს. ამათი ამხანაგობა უბრალოდ ნულთა ჯამი გამოვა! რა პრობლემა გვიდგას და რა პასუხია..

საკუთრების საკითხი (მუნიციპალიტეტი თუ კერძო პირი) უნდა გადაწყდეს იმის მიხედვით, თუ ვის შეუძლია აამუშაოს წარმოება, ე. ი. ჯერ თვით მეურნეობის აღდგენის საკითხი, რესსურსების საკითხია და შემდეგ, ამის მიხედვით, საკუთრების საკითხიც თავის თავად წყდება. პირველს ექვემდებარება მეორე. სხვაგვარი მიდგომა არც შეიძლება არსებობდეს. როდესაც საქმის დასაწყებად საშალებები არ არის, მაშინ სხვას მიმართავენ ხოლმე, გარედ ეძებენ მას. ვერ იშოვი რესურსებს? საქმესაც ვერ დაიწყებ! **ვის უნდა მივმართოთ ჩვენ? ცხადია,** უცხო კაპიტალს; უცხო კაპიტალი უნდა მოვიდეს ამა თუ იმ გზით. აქ და მხოლოდ აქაა გამოსავალი. თუ სხვა არსებობს, ამას დასახელება უნდა! კაპიტალისათვის კი კერძო საკუთრების პრინციპი წმიდა პრინციპია; ამ პრინციპს ხელშეუხლებლობა მთავარ და აუცილებელი პირობაა კაპიტალის მუშაობის. მაგრამ ისეთი „სახალხო ეკონომიის" პირობებში, როდესაც ყოველივე შეზღუდულია და როდის აპირებ სოციალიზმში გადასვლას „უმტკივნეულოდ", არავინ იცის, — არც ერთი ჭკუათმყოფელი კაპიტალისტი არ მოვა. კონცესიების პოლიტიკაო, — გვეტყვიან! ესეც უნდა იყოს, ცხადია. მაგრამ ამისათვისაც შესაფერი ევროპიული კანონმდებლობა არის საჭირო. ბოლშევიკებმაც სცადეს კონცესიების პოლიტიკით საქმის წარმოთვა, — არ გამოვიდა... კაპიტალს მარტო ხელშეკრულება, და ამ ხელშეკრულების თუნდაც საუკეთესო პირობები, არ აკმაყოფილებს. ან ვიკითხოთ: — რატომ ამ კანონმდებლობის გარეშე ევროპიული კაპიტალი არ ადგამს ფეხს არსად? ამიტომ ორში ერთი უნდა ავირჩიოთ (საშუალო არაფერს იძლევა): — ან თავისუფალი გზა კაპიტალს, შესაფერი კაპიტალისტური „ექსპლოატაციის" კანონებით, ან სიბნელე, სიღარიბეში ჩახრჩობა ქართველი ხალხის.

ეხლა საქართველო პირველ გზას აირჩევს: კაპიტალს მსხვერლს მიაროვნული სცემს და მისგან რაც მისაღებია, მიიღებს. ნუ შეშფოთდებით! ასევე უვლია სხვა დაწინაურებულ ერებს, ასევე უნდა ვიაროთ ჩვენც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქედან საკუთრების საკითხიც ბუნებრივად სწყდება. საკუთრება კერძო, ხელუხლებელი და კანონით მუდმივი. ყოველ შემთხვევაში — გლეხი, მისი ოჯახის, მისი მეურნეობის აღსადგენად ვერავითარ შეზღუდვებს ევრ მოითმენს. ინტენსიური მეურნეობის მომავალის მქონე ჩვენს ქვეყანაში, გლეხის მეურნეობა ვერავითარ შეზღუდვას ვერ აიტანს. გლეხს გარედან უნდა დახმარება, ხელის შეწყობა, გრძელ ვადიანი სესხი, მისი ანგარიშის შეუკვეცელად, შეუზღუდველად, აბსოლუტურად თავისუფალ განკარგულებაში მისთვის დახმარების მიწოდებით. სხვა წყარო არაა, ესეც უცხო წყაროებით უნდა მოვიდეს.

გლეხს უნდა საკუთრებად დაუბრუნდეს მიწა. (რომელ ფარგლებში, ეს ცალკე საკითხია, საფუძვლიანად შესასწავლი). ეს საკუთრება უნდა იყოს მასზე მუდმივი, ყიდვა-გაყიდვის სრული თავისუფლებით მინიჭებული. ამ დიდ ცვლილებების ეპოქაში, საქართველოსათვის მაინც ნაცადი პრინციპია მისაღები, ვინაიდან შეზღუდვა შეიძლება მხოლოდ იქ, სადაც ამისათვის შესაზღუდველი ობიექტი არის. იგივე ეხება მრეწველობას; მისი შეზღუდვა შესაძლებელია მხოლოდ იქ, სადაც უაღრესად განვითარებული მრეწველობა არის. ჩვენში კი კაპიტალმა თავისი საქმე უნდა გააკეთოს და ახალი თაობის მოვალეობად ჩვენ მიგვაჩნია: — ამ ფონზე გაშალოს თავისი მოღვაწეობა, თავისი მუშაობა. ევროპასთან ამგვარ შეხებაში, ქართველმა ხალხმა უნდა ისწავლოს, უნდა შეიძინოს დოვლათი და ქართულ მიწაზე ქართული წარმოება შეჰქმნას, ევროპიული ქართულად აქციოს. ამ პროცესში გლეხი უუდიდესი ეროვნულ-ეკონომიური ელემენტია.. მასზე ზრუნვა, მისი გამაგრება ნიშნავს უცხო კაპიტალის ერონვულად გადაქცევას, წმიდა ნაციონალურ ეკონომიის შექმნას. და ეს უნდა მოხდეს ქართველი ხალხის თავისუფალი შემოქმედებითი მუშაობის შედეგად, მის თავისუფალ კულტურულ ჭიდილში, უცხოს ეროვნულად გადაქცევით. ხანგრძლივი პროცესია, ძნელი, შეიძლება უსწორო ჭიდილიც, მაგრამ ქართველ ხალხში იმდენი პოტენცია არის, ძველი კულტურით გამაგრებული, რომ თავის მიწაზე აუცილებლად ქართველი გამოვა გამარჯვებული, გადახარშავს რა ქართულ ქვაბში ყოველივე უცხოს.

მარქსიზმის დოქტრინების გარშემო უკანასკნელად გახშირდა სხვა და სხვა მწვალებლობა; იგი დღეს უდიდეს კრიზისს განიცდის. ბ.-ნი ჟორდანია ამ კრიზისის მიზეზად ჭაშმარიტი მარქსიზმის დავიწყებას

ასახელებს და კრიზისიდან გამოსავალს იევ პირველყოფილ მარქსიზ-
მში ხედავს. თვით ბ. ჟორდანია კიდევ ერთს ახალ მწვალებლურ თე-
ორიას გვაწვდის. და გვაწვდის ახალ თაობათა სახელმძღვანელოდ.

იდეა, რომელსაც მისი შემქმნელი თაობა ვერ ანხორციელებს, ამ
თაობის შემდეგ მხოლოდ სიტყვად რჩება და რამდენადაც შორს მიდის
ახალ და ახალ თაობაში, იმდენად მეტად მახინჯდება. ასეთი იდეის
მცხოველმყოფელობის უკვე სერიოზულად აღარავის სჯერა; ის მხო-
ლოდ საფრთხობელაა. თვით იდეა კი მკვდრი.

თვითეულ თაობას, მისი მოღვაწეობის ბალანსი თვით უნდა გამო-
ჰქონდეს და ამისი მსჯავრი მის სიცოცხლეშივე დაედოს. ამ გეგმაზე
აგებული პროგრამა დაზღვეულია ყოველგვარ უცნობა „ფენომენები-
დან". მხოლოდ ამ წესით შეიძლება **რეალური პოლიტიკის** გათვალის-
წინება. რეალური პოლიტიკის კეთება უნდა რეალური საგნებითვე
განისაზღვროს. რა არის ჩვენი პრობლემა და როგორია ნაცნობი სა-
გნები, რომითაც ეს პრობემა უნდა გადაიჭრას? საქართველოს წარ-
სული — ნაცნობია; საქართველოს აწმყო — ნაცნობია; ევროპის სი-
ნამდვილე — ნაცნობია. აი ის სამი ნაცნობი ელემანტი, რეალი საგ-
ნები, რომლითაც უნდა გადაიჭრეს ამოცანა — უცნობი: — საქართ-
ველოს მომავალი. აი, რეალი პოლიტიკის სქემა. მათემატიკის ელემენ-
ტარული კანონია: უცნობს ნაცნობი ელემენტებით პოულობენ. უც-
ნობით უცნობი არასოდეს მონახულა. მთელი მარქსისტული პროგრა-
მები კი, ჩვენში, მუდამ უცნობებით „სწყვეტდა" საკითხებს. ეს ზე-
მოდ დავინახეთ. მარქსისტულ „წმინდა გონების" ამგვარ ვარჯიშო-
ბას და სოციალიზმში „უმტკივნეულოდ" გადასვლის თეორიას, ჩვენ
გვინდა უბრალოდ ვუპასუხოთ: — **უცხო დოქტრინებს, ევროპის მო-
მავალისათვის რომ არის ნავარჯიშევი, უარვყოფთ ყველას ერთბაშად**

**ქართული რეალი პოლიტიკის მთავარი საკითხი უნდა იყოს: —
როგორ უნდა მოხდეს ევროპიული კულტურა - ეკონომიკის ჩვენს
ქვეყანაში ვადმონერგვა და რაც შეიძლება „უმტკივნეულოდ".**

ამიტომ, ამ თავითვე ახალი თაობის მუშაობა უნდა გასაერთიანე-
ბლად, ერთ მთლიან ეროვნულ რაზმში თავმოსაყრელად, სწარმოებ-
დეს; ამ თავითვე ახალი თაობის მუშაობ აუნდა გაიშალოს: ჩვენი
წარსულის, ჩვენი აწმყოსა და ევროპის სინამდვილის შესასწავლად.

მხოლოდ ამ სამი ელემენტის შედუღებით გაკეთდება დიდი წმი-
და საქმე ეროვნული აღორძინებისა, რომლის პირითადი სახელმძღვა-
ნელო პრინციპები უნდა იყოს: — **თვითეული ქართველი, ქართული
ოჯახი, ქართული სული, მთლიანად ქართველი ერი.**

ედ. პაპავა

სპარსეთი, თებერვალი, 1934 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩვენი ხაზი

წერილი პირველი

> იმ სიყვარულში, რომელიც ჩვენ გვასაზრდოებს სამშობლოს მიმართ, არის რაღაც ბზარი. რაბ. თაგორე.

არ კმარა ერის ტკივილები გაწუხებდეს, მის მომავალში დაეჭვებული არ იყო. მისი დაკარგული თავისუფლების დაბრუნება გინდოდეს. საჭიროა ყველა ამისათვის შინაგანი სიძლიერე გქონდეს, მშობლიური ნიადაგის ნოყიერი რძით იყო გაზრდილი. მისი ცხოველმყოფელი დუღაბით შეკრული. მისი სატკივრი უნდა გტეხდეს, როგორც საკუთარი. განსაცდელის ჟამს მისი ძახილი უნდა გესმოდეს, როგორც მშობელი დედის ძახილი უფსკრულის პირზე რომ სდგას სახე გაფითრებული და ხელებ-გამოწვდილი.

როცა მ სტრიქონებს ვწერ, საქართველოს უკანასკნელი ათეული წლების ისტორიას ვუცქერი თვალებში. შეცდომებით და მარცხით სავსეა ეს მანძილი, ხელმძღვანელობის უთავობითა და უუნრობით. ვფიქრობ იმ სიყვარულში, რომელიც მათ ასაზრდოებდაო, ჩვენი ქვეყნის მიმართ იყო რაღაც ბზარი და ჩვენი ეროვნული ტრაგედია სწორედ აქაა...

ამ მარცხის და შეცდომების ძირი უნდა მოინახოს; იგი უნდა ამოიჭრას ეროვნული ტანის ჯანმთელობაზე თუ გვინდა ვიზრუნოთ... ჩვენ ბედში მყოფ ხალხს სხვა საზრუნავი არ უნდა ჰქონდეს, სხვა ფიქრი არ უნდა უმძიმებდეს თავს, სხვა ამოცანა არ უნდა ჰქონდეს გადასაწყვეტი. სწორედ ამიტომ ვსთქვით ჩვენ პირველი სიტყვა საკმაოდ თამამი და გარკვეული, მაგრამ ამ თქმასთან დაკავშირებული საკითხვების გარკვევა დღემდე შესრულებული არაა. ეს გარმოება ალბად აღელვებს, აწუხებს ჩვენი ამხანაგების უმრავლესობას, როგორც აქ, ისე საქართველოში. მაგრამ ვინემ ამ საკითხების გრკვევას შევუდგებოდეთ, მანამ საჭიროს ზოგი რამ გაისინჯოს. ამ ზოგის რამის გასინჯვამ იყო ჩვენ ღირებულებათა გადაფასებმდე რომ მიგვიყვნა და სოც.დემ. პარტიის იდეოლოგიას გარკვეულად რომ გავემიჯნეთ.

+

ეროვნული ბიბლიოთეკა

. მსოფლიო ომამდე არსებული პერიოდი ე. ი. მთელი მე-19 და მე-20 საუკ. დასაწყისი — ესაა კაპიტალიზმის უაღრესად განვითარების ხანა. კაპიტალიზმმა ამოსწურა თუ მთელი შესაძლებლობა არა, უმთარესი მაინც და იგი დღეს ქრონიკულ კრიზისს გნიცდის. ამავე დროს, ამ ხნის განმავლობაში წარმოშობილი სოციალისტური თეორიები და მუშათა მოძრაობის განვითარება, რომელიც კაპიტალიზმის ზრდას ფეხდაფეხ მისდევდა და მის მესაფლავედ უნდა გამხდარიყო, დღეს ეს მუშათა მოძრაობა და მისი თეორიები იმავე კრიზისს განიცდის, როგორც კაპიტალიზმი. რატომ მოხდა აგრე? რატომ ვერ შეხვდა მუშათა კლასი დარაზმული ორგანიზაციულად და იდეურად ამ მოვლენას? ამისი მთავარი მიზეზი იმაშია, რომ, რამდენად კაპიტალიზმის განვითარება ერთაშორისო ხასიათს იღებდა, რამდენად იგი გადაიქცა პლანეტარულ მოვლენად, რამდენად მისი ფორმები უსაზღვრო გავრცობით მოარული შეიქმნა, ამდენადვე მუშათა მოძრაობის განვითარება მასთან დპირისპირებული ამ გვარი ფორმებით ხასიათდებოდა. თითოული ქვეყნის მუშათა მოძრაობის და სოც. პარტიების ერთაშორისო გაეთიანებაში შეკავშირება (ინტერნაციონალი) ყველა ქვეყნის სოც. პარტიების და მუშათა კლასის განუყრელ ძმებად აღიარება იყო ის მთავარი პრინციპი, რითაც ხასიათდებოდა ეს მოძრაობა. ომამდე სოციალიზმის თეორეტიკოსები და მოქადაგენი მსოფლიოს ორ სამკვდრო-სასიცოცხლო დაპირისპირებულ ბანაკად წარმოიდგენდენ: — ბურჟუაზია და პროლეტარიატი. ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესები ამ დაპირისპირებიდან გამორიცხული იყო. ეს დიდი სოციალური და პოლიტიკური ბრძოლა პროლეტარიატის გამარჯვებით უნდა დასრულებულიყო. ამ ნიადაგზე დაიბადა ის მრავალი სოც. თეორიები, რომელიც აყენებდა მსოფლიოს მოწყობის აუცილებლობას, თავისუფლებისა და სამართლიანობის პრინციპზე. აქედან წარმოდგა ის ყალბი და მახინჯი წარმოდგენა-ცნება სახელმწიფოზე; ეს უკანასკნელი ბურჟუაზიულ კომიტეტად იქმნა გამოცხადებული და ეს ბრუჟუზიული კომიტეტი ე. ი. სახელმწიფო პროლეტარიატს უნდა მოესპო სოციალიზმის დამყარებით.

ამგვარად, წასული საუკუნის სოც. აზროვნება ხელმძღვანელობდა რა დაჩაგრული კლასის ინტერესებით და სამართლიანობის პრინციპით, ფიქრობდა დაეძლია ის დიდი სოციალური ბოროტება და პოლიტიკური უსამართლობა, რაც კაპიტალიზმის უსამართლობამ დაამკვიდრა. ომის დროს მთელი ეს აზროვნება საპნის ბუშტივით გასკდა; მისი თხელი კანი გარეგნულად რომ მასსიურ შთაბეჭდილებას

ახდენდა, სივრცეში გაიფანტა. ბარიკადების ერთ მხარეზე დადგა კაიზერი და შაიდემნი, მეორეზე გედი და პუანკარე, ალბერტ 1-ლი და ვანდერველდე, მიკოლოზ მეორე, პლეხანოვი და ჟორდანია (პლეხანოვი კი, მაგრამ ჟორდანია რატომ?). რა მოხდა? რამ დააპირისპირა ერთმანეთს დაძმობილებული სხვა და სხვა ქვეყნის სოც. პარტიები და მუშათა კლასი? სად დაიკარგა ეს კოსმოპოლიტიზმამდე ასული პაციფიზმი და ერთაშორისო დამოკიდებულებათა მოგვარების კეთილი სურვილები? რა იყო ის უჩინარი ძალა, მანამდე სრულიად ანგარიშში რომ არ იყო მიღებული? და ამ საშინელი განსაცდელის ჟამს გუშინდელმა შინაურმა მტრებმა ერთი ნიადაგი მონახეს, ერთ სანგრებში გამაგრდენ? ეს იყო სამშობლოს დაცვის საკითხი, ეროვნული კულტურის და სახელმწიფოებრივი სუვერენობის გადარჩენის საქმე. როცა ჩვენ თვალს გადავავლებთ ომამდე არსებულ განვითარებას, დავინახავთ, რომ ამ ეპოქის აზროვნება ერთ ძირითად გარკვეულ ხაზზე მოხდა. ეს იყო კაპიტალიზმის და მისი კულტურის განვითარება. სრულიად ბუნებრივია ის შედეგი, რომელიც აქედან მივიღეთ: კაპიტალიზმის კრიზისს თან მოჰყვა სოციალიზმის კრიზისი და ორივე მხარე თავის პოლტკურ დოგმებთ და ეკონომური დოქტრინებით წინ გადაეღობა ომის შემდგომ ახალ ვითარებებს, რომლის დასაწყისები სრულიად ახალ მსოფქმხედველობას და მოქმედების ხაზს ითხოვს. ეს ახალი სოფლმხედველობა და მოქმედების ხზი უნდა დაეყრდნოს საგნებისა და მოვლენების რეალ გასინჯვას და არა წარსული საუკუნის მოაზროვნეთა საწერ მაგიდაზე შემუშავებულ და დღეს დაობებულ აზრებს, ვარაუდებს, შეხედულებებს. ამოცანა, რომელსაც დღევანდელი ვითარება აყენებს გადასაწყვეტად, ეხება ეროვნულ და ერთა შორისო ორგანიზაციის საკითხებს და ეს საკითხები უნდა იქმნეს გადაწყვეტილი არა იმის მიხედვთ, თუ რაა სასურველი, საუკეთესო ერთი სოციალური ჯგუფის ან კლასის ინტერესებისათვის, არამედ რაა შესაძლებელი და ეროვნული განვითრების სასიცოცხლო ინტერესები რა უცილობელ პირობებს ითხოვენ როგორც შინაგან, ისე ერთა შორისო წინააღმდეგობათა დაძლევის საქმეში.

ჩვენ ვცხოვრობთ უაღრესად რთულ ეპოქაში. ჩვენ მონაწილე ვართ მისი და არსებით ანალიზის მოხდენა თუ ჯერ კიდევ ძნელია, ზოგი რამის დადგენა შესაძლებელია იმ ფაქტების მიხედვით, რომლის მოწამე ჩვენ ვართ.

ოთხი მაგალითია ჩვენს წინ: — რუსეთის, იტალიის, გერმანიის და ამერიკის. რუსეთში მოხდა ომამდე არსებული სოციალიზმის კონცეპციის გატარება. მართალია საშინელი ტეროორით, სისხლით, ძალ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დატანებით, მაგრამ ცივი ისტორიული ანალიზისთვის ეს არცაა საინტერესო, — ხომ გაატარეს. ფაქტი თვალწინ გვაქვს. თუ ეს სოციალიზმია ან გარდამავალი ხანა სოციალიზმისკენ (ჩვენ კარგად ვიცით, რომ არც ერთია და არც მეორე), მაშინ ეს ყოფილა უდიდესი ბოროტება, რომელსაც კაცობრიობამ ყოველგვარი ღონისძიებით უნდა ებრძოლოს, მაგრამ ევროპის ერთაშორისო სოც. გაერთიანება (მე-2 ინტერნაციონალი) დღემდე იმის ცდაშია საბჭოებთან სერთო ენა გამონახოს და სისხლითა და საშინელი ძალმომრეობით დამყარებულ მონობაში სოციალიზმის ნამსხვრევები აღმოაჩინოს; აქაა კრიზისი სოციალიზმის; კიდევ მეტი: აქაა უბადრუკობა და სყალბე მთელი იმ მამარცხენე აზროვნების, რაც ომამდე არსებობდა... ამ აზროვნების ძირითადი თეზა იყო: პროლეტარიატი უნდა გახდეს მომავალი საზოგადოების ბატონ-პატრონი, ბურჟუაზია ბარიკადებით უნდა იქნეს დამორჩილებული, დანარჩენი სოციალური ფენები პროლეტარიტს უნდა გაჰყვეს ძალაუნებურად; ქონებრივი უთანასწორობა უნდა მოისპოს, დამყარდეს სოციალიზმი — უკლასო საზოგდოება. რუსეთის გარდა ვერც ერთი ევროპის ქვეყანა ამ უცნაურ ოპერაციას ვერ აიტანდა. ჯერ კიდე საკითხია, რსეთი აიტანუს თუ არა... ომსა და კაპიტალიზმის კრიზისს დიდი სოციალური ძვრები რომ მოყჰვა, და მუშათა კლასი პირისპირ დადგა პრაქტიკული მოქმედების ასპარეზზე, „მეცნიერული სოციალიზმიდან“ მხოლოდ რუსული საბჭოები დაიბადა. ევროპის საზოგადოებრივი აზრის შებრუნებაში მას ჰქონდა უაღრესად დიდი მნიშვნელობა.

ომის ნანგრევებმა და კაპიტალიზმის კრიზისმა პირდაპირ დააყენა გადასაჭრელად მთელი რიგი სოციალ-პოლიტიკური კითხვების ისე მწვავედ, რომ მისი არ-გადაჭრა იწვევს საშინელ არევდარევას, რაც საფრთხეში აგდებს არა მარტო ერთ რომელიმე კლასს, მის ქონებრივ და უფლებრივ მდგომარეობას, არამედ ყველა ეროვნულ სასიცოცხლო ძალებს, მთელ სახალხო მეურნეობას, კულტურულ ღირებულებებს და მოსახლეობის ფიზიკურ არსებობას. საკითხი ეხება ერთაშორისო კაპიტალისტურ ეკონომიკის ეროვნულ ფარგალში მოქცევას, რაც იწვევს გადაჯგუფებას საზოგადოებრივ წყობაში. აქ ეპირისპირება ერთმანეთს საშუალო კლასები, სუფთა პროლეტარული ფენა ერთაშორისო კაპიტალისტურ ფორმებს, მის მკვრივ და მაგარ ფინანსიურ ქსელს. საშუალო კლასები ყველაზე ძლიერი და მრავალრიცხოვანია; ამ დაპირისპირებაში იგია ეხლანდელ ეროვნულ სახელმწიფოებრივი შენობის მყარე საფუძველი. მათი საარსებო ინტერესები მოითხოვენ სახელმწიფო ფუნქციების გაფართოებას ყვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლა სფეროშ; ისინი აყენებენ გარკვეულ მოთხოვნილებას: — მაგარი ხელისუფლება ეროვნების დაცვა. აქ დაიბადა ფაშიზმი და ამ საშუალო კლასების დროშას დაეუფლა იგი. ფაშიზმი ომის ნანგრევებსა და კაპიტალიზმის კრიზისში დაბადებული სოფლმხედველობაა. იგი რეაქციაა კაპიტალიზმის წინააღმდეგ. მისი ამოცანა მძიმე ოპერაციაა დღევანდელ საზოგადოებრივ აგებულობის რთულ ბუნებაში. ამ მოძრაობას სხვა და სხვა წრის ხალხი მისდევს როგორც ბურჟუაზიიდან ისე კომუნიზმიდან დამფთხალი. სადაც ასეთი საფრთხე საკმაო სიდიდით არსებობს, იქ იმარჯვებს ეს მესამე ძალა. იტალია დ გერმანია ამის საუკეთესო მაგალითს წარმოდგენს. მაშასადამე, ეს მოძრაობა მოდის სოციალურ და პოლიტიკურ დაავადების ასპარეზზე. იგი პოულობს ნოყიერ ნიადაგს შინაგან ე. ი. ეროვნულ და ერთაშორის წინააღმდეგობათა სიძნელეებში. ეს სიძნელენი დღეს იმდენად დიდია ღრმა და მწვავე. რომ კაცობრიობის ისტორიასებ,მქუებ ეჩ--დიდულ რომ დღევანდელი საზოგ. ცხოვრება, როგორც ეროვნული, ისე ერთაშორისო, უაღრესად რთულია, მრავალმხრივი. ეს მრავალმხრივობა და სირთულე არის მიზეზი ამ დიდი ძვრების, ძველი ღირებულებების უარყოფის, ახალის გამონახვის შინაგან და საგარეო კრიზისის დასაძლევად. საქმე იმაში კი არაა, რომელი სოფლმხედველობა არის მისაღები, რომელი პოლიტიკური თეორია და ეკონომიური დოქტრინა არის კარგად დასაბუთებული, არამედ დღის წესრიგში დასმულ საკითხების ნორმალური გადაჭრისათვის რაა უფრო მაგარი, რადიკალური, არებითი. დღევანდელი ცხოვრება ითხოვს არა თეორიებს, დოქტრინებს, მისი სიწმინდის დაცვას, არამედ მოქმედებას, გაბედულ ნაბიჯს, გარკვეულ პოლიტიკას, პოლიტიკას, რომელიც დღევანდელობას ძირამდე სწვდება, დაინტერესებული მხოლოდ ერთით: — მის გასაჯანსაღებლად. ევროპის დემოკრატიის კლასიკური ქვეყნები: — ინგლისი და საფრანგეთი ამ უდიდესი გამოცდის წინაშე სდგანან. თუ მათ ვერ შესძლეს არსებული სიძნელეების მოგვარება, მაშინ სრულიად ახალ და მეტად საშიშ საფრთხის წინაშე დადგება მთელი ევროპა... დღეს ლაყბობის და გრძელი რეზოლუციების წერის დრო არ არის, არამედ გარკვეული მოქმედების. ეს გარკვეული მოქმედება ითხოვს მთელი ეროვნული სასიცოცხლო ძლების თანამშრომლობას იმ აუცილებელი პრინციპის აღიარებით, რომ ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ყველა ღირებულებაზე მაღალია. თუ მომქმედი ეროვნული ძალები ამ ნიადაგზე ვერ ნახულობენ საერთო ენას, არ უთმობენ ერთმანეთს, აი სწორედ აქ იბადება ეს მესამე ძალა და ამ ნებაყოფლობით შეუთანხმებლობას პირდაპირ ატარებს. ამ ძალის გამარჯვება

ეროვნული ბიბლიოთეკა

არჩევებით ხდება, და არა ბარიკადების ამართვით, სისხლის ღვრით და სამოქალაქო ომით. შინაგან ბრძოლის ერთ-ერთ იარაღად უნდა ბიულეტენი ჩაითვალოს უთუოდ, რადგან თანამედროვე ტეხნიკის მიღწევები სპობს ყველა იმ ბრძოლის საშუალებებს, რითაც დღემდე სოციალური ძვრები თუ რევოლუციები ხდებოდა. ავსტრიის სისხლიანმა დღეებმა ყველასათვის ნათელი გახადა, რომ დღეს არც ერთ კლასს თუ პოლიტიკურ პარტიას შინაგანი კონფლიქტის გადაჭრა იარაღით არ შეუძლია. როცა შენ სხვის დიქტატურას ებრძვი, საკუთარის დამყარებაც არ უნდა გინდოდეს სისხლითა და ტყვიით. რადგან პარტიული კლასიური დიქტატურა ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ორგანიზაციის საქმეში ერთნაირი ბოროტებაა, ვინც არ უნდა ანხორციელებდეს მას. სახელმწიფო შედეგია ინტერესთა კომპრომისის და არა ძალადობის; და არც ერთი ძალადობა არ შეიძლება გამართლებულ იქნას, თუ გინდ ის დაჩაგრული კლასის ინტერესებიდან გამოდიოდეს. ძალადობის იდეურ პოლიტიკური სხვაობა, მის ხარისხსა, ღირებულებასა და შინაგან ბუნებას სრულიად არა სცვლის.

ძველად, როცა მუშათა კლასი ბურჟუაზიას ეპირისპირებოდა და ებრძოდა კლასობრივი დროშით, ეს გასაგებია და ბუნებრივი, მაგრამ როცა დღევანდელი მდგომარეობა ითხოვს მუშათა კლასმა პირდაპირი მონაწილეობა მიიღოს სახელმწიფოებრივ აღმშენებლობაში, და თუ ამ აღმშენებლობით იგი გულწრფელად დაინტერესებულია და არა მხოლოდ საკუთარი ბატონობით, იგი ვალდებულია ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესები პირველ რიგში დააყენოს, ერის სასიცოცხლო ძალებთან საერთო ენა მონახოს, მოქმედების საერთო პროგრამა და კლასობრივი ბატონობის ძველის ძველ პრინციპს ხელი გაუშვას. ამ გზით და მხოლოდ ამ გზით შეიძლება მუშათა კლასის პოლიტიკური და მორალური ღირებულება ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ძალთა ხვედრითი წონაში მნიშვნელოვანი გახდეს და სხვა ძალებთან ერთად იგი შესძლებს რეაქციას გზა გადაუკეტოს...

ამ შემთხვევაში ამერიკის მაგალითი ყველაზე საინტერესოა. აქ ხომ დიდი უმრავლესობის მაგარი ნებისყოფით ღრმა სოციალური გარდაქმნა ხდება: ბანკების კონტროლი, სამუშაო საათების შემცირება ხელფასის მინიმუმის შენახვით, საბაჟო სისტემის გადასინჯვა, ნაციონალური ეკონომიკის ინტერესების მიხედვით. ამის გულისათვის არც ერთი კაცი არ ჩამოუკიდათ, არც ერთი ყუმბარა არ გაუსვრიათ და არც კონსტიტუცია მოუსპიათ. ქვეყანამ იგრძნო რეალური პოლიტიკის საჭიროება და მის გამტარებელს გვერდში უდგას. მაშასადამე, დღევანდელი ვითარება ითხოვს გარკვეულ პოლიტიკას,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მყარე ხელისუფლების დაფუძნებას და მის სამოქმედო ასპარეზის გაფართოებას. სახელმწიფო შეუძლებელია დღეს მხოლოდ შინაგან და საგარეო მყუდროებაზე ზრუნავდეს, თუ იგი ერთგვარად არ აწესრიგებს შინაგან სოციალურ პრობლემებს, თუ იგი არ ზღუდავს სახალხო მეურნეობის სისტემაში ძველ-დრო-გადასულ ლიბერალურ პრინციპებს, და ამა თუ იმ კლასის იმგვარ თავისუფლებას, რომელიც საბოლოო ჯამში ბოროტმოქმედებად ხდება მთელი ეროვნული ინტერესებისათვის.

მართალია, სხვა და სხვა ქვეყნებში სხვა და სხვა ნაირად ხდება ამ პროცესის განვითარება, იმის მიხედვით, თუ რანაირ საშინაო და საგარეო კრიზისს განიცდის ესა თუ ის ქვეყანა, რანაირ კულტურულ დონეზე სდგას მისი განვითარება, მაგრამ არც ერთ ქვეყანაში მომხდარ ცვლილებებს საბჭოების მაგალითი არ შეიძლება შეადაროთ. იგი სდგას ცალკე ათეული მილიონი ადამიანის სისხლში ამოსვრილი, მთელი სახალხო მეურნეობის მონურ შრომით ახალის ცდაში გაჩხირული.

+

ეხლა ჩვენი ქვეყნის ნიადგს დავუბრუნდეთ. გვაქვს ჩვენ რაიმე ნათესაობა ევროპის სოციალ-პოლიტიკურ და ეკონომიურ ვითარებასთან? კაპიტალიზმის მტაცებლობა ან ფინანსიური ქსელი გვაწუხებს? ჭარბი სიმდიდრის არა წესიერი განაწილებით იჩაგრება ჩვენი ხალხი? კლასებისა და სოციალური ფენების ღრმა ან რაიმე დაპირისპირებაა ჩვენში? აქ სამტკიცებელიც არაფერია. პასუხ ერთია: — არა!

ჩვენში პოლიტიკური ზომებით გაანადგურეს ხომ ყველაფერი: საკუთრება, კერძო თუ საზოგადო; პიროვნული თუ საზოგადოებრივი თავისუფლება და გაანადგურა ეს საგარეო ძალამ. ჩვენი ხალხი დღეს უცხო ბატონობით იჩაგრება, რომელმაც სულიდან ხორცამდე ყველაფერი წაართვა მას. (ამის საფასურში რამოდენიმე ელექტროს სადგური და დაბალი ხარისხის ქარხნები ააგო მოსკოვმა). და ასეთ პირობებში გვაქვს ჩვენ უფლება სოციალიზმის ან ფაშიზმის ან სხვა რომელიმე სოციალ - პოლიტიკური დოქტრინა შევთავაზოთ ჩვენს ხალხს, როგორც მისი გადარჩენის და თავის დახსნის უებარი წამალი? რასაკვირველია — არა. ამ ანბანურ ჭეშმარიტებას სოც.დემ. ხელმძღვანელობა არავითარ ანგარიშს არ უწევს. მათ კიდევ ევროპის მდგომარეობიდან გამოაქვს გაყვითლებული თამასუქები, ათასჯერ გადანაღეჭი ევროპის სოციალიზმის მოქადაგეთა დებულებები: კაპიტალიზმი კვდება, სოციალიზმის მშობიარობის პროცესში ვართ და მოუწოდებენ საშინელ უბედურებაში ჩავარდნილ ქართველ ერს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელსაც ეს უბედურება რუსული სოციალიზმის სახელით ერთხელ თავს დაატყდა, ეხლა ევროპის ფერხულში ჩაებას და ნამდვილი ევროპიული სოციალიზმის დასამყარებლად საჭირო ზომებს მიმართოს. ამ ხელმძღვანელობას იმდენი გამბედაობა კიდევ შერჩა, იმის მაგივრად რომ უკან მიიხედოს, ჩვენი ხალხის ცხოვრებას და გაჭირვებას, ჩვენი ქვეყნის უბედურებას ჩაუფიქრდეს, — ისევ ძვე ლზღაპრებს იმეორებს, და მსოფლიო ბედნიერებაზე ოცნება რეალ პოლიტიკად მიაქვს ქართველ ხალხთან. ჩვენ ვამბობთ გარკვევით: — ამას ბოლო უნდა მოეღოს... იმ ხალხს, რომელსაც სხვისი აზრები აუკვიატებია მთელი 30 წლის განმავლობაში და მუდამ იმის ცდაშია, ამ აკვიატებული აზრებით შექმნილი ილიუზიები ქართველ ერს თავზე მოახვიოს, ქართულ პოლიტიკას უნდა მოსცილდეს... ამას ვამბობთ ქართველი ერის ინტერესების დაცვის, მისი კულტურის გადარჩენის, მისი სახელმწიფოებრივი აღდგენის გულისათვის.

ეს არის ჩვენთვის ყველა ძვირფასზე უფრო ძვირფასი; ყველა სიმდიდრეზე უფრო დიდი; ყველა ინტერესებზე უფრო მაღალი. ეს არის ჩვენთვის ერთად ერთი საზრუნავი, ერთად ერთი საფიქრალი, ერთად ერთი სამეცადინო და მთელი ჩვენი ეროვნული ენერგიის მარაგი ამას უნდა შევალიოთ. რაში გვჭირია ჩვენ ევროპის პროლეტარული მოძრაობას ჩავაცივდეთ, იგი ვაღიაროთ ერთად ერთ მხსნელ ძალად (რომ იყოს მხსნელი, მაშინ კიდევ ამას აზრიც ექნებოდა) და ამ მოძრაობის ძველი დაობებული თეორიები დღეს ხელახლა მეათასეჯერ კიდევ გადმოვალაგოთ, მასზე ავაგოთ ხვალინდელი დღის სამოქმედო გეგმა და ეს გეგმა ქართველ ახლხს პირში ჩავაჩრათ... როცა ამ აზრების ნაადრევად თავზე მოხვევით იგი უკვე ერთხელ უმოწყალოდ დაისაჯა... როცა ეს გეგმები და თეორიები დღეს ევროპაში, სადაც იგი ერთგვარად უდგებოდა ცხოვრებას, უკვე უვარგისი და ეროვნული ძალების დამშლელი შეიქმნა. სად არის ჩვენში ან ჭარბი კაპიტალი ან მკვრივი ფინანსიური ქსელი ან ღრმა სოციალური უსწორ-მასწორობა, რომ სოციალიზმზე ვიფიქროთ და ეკონომიური უთანასწორობის მოსასპობი ზომები ვიანგარიშოთ. თუ საბჭოთა კოოპერატივის და სახელმწიფო სავაჭრო დუქნების ცარიელი თაროები და რამოდენიმე ახლად აშენებული ქარხნების უმოძრაო დაზგებით შეიძლება იმ აღთქმის ქვეყანაში ეშსვლა, რომელსაც ისინი სოციალიზმს ეძახიან? ჩვენ ერს დღეს სხვა სატკივარი აქვს, სხვა უბედურება, სხვა გასაჭირი. მთელი მისი ფიზიკური ძალა იჭყლიტება, მისი არსებობა განსაცდელშა, მისი სულიერი და ნივთიერი კულტურა ყოველდღიურ მსხვრევას განიცდის, მისი დამოუკიდებლობის დროშა რუსის ხი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შტზეა ჩამოხეული. ქართველი ადამიანის პიროვნული და მოქალაქეობრივი თავის უფლება აღკვეთილია, მას ყოველ დღე სულში აფურთხებენ, მის პიროვნულ და მოქალაქეობრივ უფლებას ფეხქვეშ თელავენ... ახალი თაობა გადაგვარების საშინელი საფრთხის წინაშე სდგას და ძველი თაობის უკანასკნელ გუნდებს, საცრემლე ამომშრალთ და ძარღვებ გაშეშებულთ, სამარეში თან მიაქვს ეს საშინელი ტრაგედია, 13 წლის მანძილზე იგი ყოველდღიურად რომ განიცდიდა, და ჩვენმა აქაურმა ხელმძღვანელობამ კი გაგონილი და მოყოლილი ამბებით რომ იცის... როგორ უნდა დაბრმავდეს ქართველი ადამიანი ყველაფერ ამას არ დაუფიქრდეს, ამან არ ააღელვოს და ყველა ამ უბედურებასთან საბრძოლელად რაიმე საღ საშუალებებზე არ იფიქროს? სად დაიკარგა ქართული პოლიტიკის ისტორიული სიბრძნე, საუკუნეთა ხვეულებში დიდ განსაცდელთაგან სიკვდილს რომ გადაგვარჩინა? როგორ მოუტრიალდა ამ ხელმძღვანელობას თავი ისე, რომ იმის მაგივრად, საკუთარ უბედურებაზე იფიქრონ, ერთაშორისო მუშათა მოძრაობის ხელმძღვანელთა ჭკუის დამრიგებელად გამოდიან (ნ. ჟორდანიას ორი უკანასკნელი წიგნი მხოლოდ ამ საკითხებს ეხება: დიფიკულტე სოსიალისტ, დემოკრატია).

ქართული პოლიტიკის ანგარიშიდან უნდა ამოვარდეს ყველა ის: ვინც — ქართული მიწის სიყვარულს გულით არ ატარებს, როგორც უძვირფასეს და განუყრელ სამკაულს; ვინც საკუთარ უბედურებას სხვის ბედნიერებასთან აკავშირებს; ვინც ევროპის სატახტო ქალაქებში, ძველ თუ ახალ გამომცხვარ თეორიებს დიდის ამბით საქართველოსაკენ ეზიდება და ჩვენი ქვეყნისთვის ამ ყალბ მარგალიტებს უხვად არიგებს.

ჩვენ ქვეყანას არ სჭირდება მემარცხენობის და მემარჯვენობის უკიდურესობანი, უცხო სოფლმხედველობათა პრინციპების ქართული სამურავით მოკაზმვა, უსარგებლო კეთილი სურვილები და უნიადაგო მოარული აზრები.

ჩვენ დაგვჭირდება ახალი პარტია, რომელიც ერთ და იმავე დროს თავის არსებაში მოათავსებს, როგორც ნაციონალურ, ისე სოციალ-ეკონომიურ საკითხების, საღ, რეალ გადაწყვეტას, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ქართული და კავკასიურ ინტერესების რაობიდან გამოვა, რომელიც ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ინტერესებს ყველა ღირებულებაზე მაღლა დააყენებს, რომელიც უზრუნველყოფს პიროვნებისა და მოქალაქის თავისუფლების მინიმუმს, რომელიც სახალხო მეურნეობის აღდგენასა და სახელმწიფოებრივ თავდაცვის ორგანიზაციის მოწყობის საკითხზე იზრუნებს... ჩვენ არ დაგვჭირ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დება ამ შემთხვევაში ძველ მემარჯვენე და მემარცხენე ელემენტების თავმოყრა და ამისათვის ჩვენ შეხედულებათა ძირითად ხაზში რაიმე განხრა მოვახდინოთ. არა. ვიწრო ჯგუფურ თუ კლასობრივ მიბჯნილობით დაავადმყოფებული ხალხი ამ ახალ მომქმედ თავმოყრაში ფიზიკურად ვერ მოთავსდება. სრულიად სხვა ფაქტორმა უნდა შთაბეროს სული ამ ახალ მოძრაობას. ეს ფაქტორი ახალი თაობაა სხვა და სხვა ფრთაზე შემთხვევით მიდენილი. ახალ თაობას და მხოლოდ ახალ თაობას შეუძლია შექმნას მყარე, მაგარი, მებრძოლი გაერთიანება, გაერთიანება, რომლის მიმზიდველი ძალა ძარღვიანი, მკვეთრი და გაუხრელი იქნება....

+

ამგვარად, ჩვენი აზროვნების ახალი თაური მოდის ორი დიდი მოვლენის რეალი გასინჯვიდან: — საქართველოს არსებული სინამდვილე, მისი ხვალინდელი ბედი, მეორე — ევროპის დღევანდელობა. ჩვენი ქვეყნის დღევანდელი ვითარება არ უკავშირდება ევროპის განვითარებას, მის კრიზისს, მის უკვე დაწყებულ სოციალ-პოლიტიკურ და აზროვნების ტრანსფორმაციას. საქართველო მთელი ამ ნიადაგის მილმაა: გეოგრაფიულად, სოციალ-პოლიტიკურად, იდეურად. აქ სამრეწველო და ფინანსიური კაპიტალის კრიზისია, მისი განვითარების ერთგვარი დასრულების, და მასთან დაკავშრებით, მთელი მისი იურიდიულ-პოლიტიკური შენობის, აზროვნების ზნეობის; — ჩვენში კი პირიქით: — ამ განვითარების დასაწყისი (კაპიტალისტური) გაანადგურეს იარაღით, სისხლით, საგარეო სამხედრო შემოჭრით. ამ განადგურებაში მოჰყვა არამც თუ საშუალო კლასები, არამედ მთელი საზოგადოების ქონებრივი შეძლება და პიროვნული თავისუფლება. როგორ, რა საშუალებებით ვფიქრობთ ჩვენ ამ ურთიერთობის გარდაქმნას; ვაკანონებთ თუ არა კერძო საკუთრებას? ვაძლევთ თუ არა კერძო ინიციატივას თავისუფალ გასაქანს? ვეცდებით თუ არა აღვადგინოთ გლეხის მეურნეობა, დანგრეული და შეგინებული ოჯახი? გარდავქმნით თუ არა ქართულ სკოლას, სამეცნიერო და ხელოვნების ტაძრებს? შევუქმნით თუ არა ნორმალურ განვითარების პირობებს, თუ ახალგაზრდობას კრიმინალების და მკვლელების ბიოგრაფიებით დავუტენით თავს კიდევ? ყველა ეს საკითხი წინასწარ ითხოვს პრინციპიალ, გდაწყვეტას. აქ მიკიბულ-მოკიბული პასუხი შეუძლებელია; აქ უნდა ითქვას პირდაპირ ან ჰო ან არა. და არა ისე, როგორც ამას სოც.დემ. ხელმძღვანელობის პროგრამის პროექტი ითვალისწინებს (ამ საკითხზე იხილეთ საგანგებოდ ედ. პაპავას წერილი ამავე რვეულში); მაგრამ როგორ უნდა გატარდეს ეს. —

ამაზე დაწვრილებით გეგმების შედგენა დღეს (ისიც უცგოეთში), როცა არ ვიცით, რამაირ მემკვიდრეობას მიიღებს ჩვენი ხალხი საბ-ოჭების დაცემის შემდეგ, ნაადრევია.

ჩვენ მიგვაჩნია ბოროტებად, დანაშაულობად, ჩვენი ეროვნული ეკონომიკის იმგვარად წარმართვა, რომელიც საბოლოო ჯამში რომელიმე კერძო პირის ან ჯგუფის ან კლასის ან პარტიის რაღაც წინასწარ აღებულ გეგმებს თუ სურვილებს უნდა დაუქვემდებარდეს. პირიქით, ყველა ამ საკითხის პრაქტიკული გადაწყვეტა უნდა მოხდეს მხოლოდ და მხოლოდ ეროვნული ეკონომიკის, ჩვენი სახალხო მეურნეობის აღორძინების, მისი სწრაფი განვითარების ინტერესების მიხედვით. ამ შემთხვევაში არაა მხედველობაში მისაღები არც ერთი ქვეყნის სოციალისტური თა არა-სოციალისტური პარტიის სამოქმედო პროგრამა, არამედ ქართული პირობები, მისი ინტერესები, ჩვენი შინაგან და საგარეო ვითარების სწორი გათვალისწინება. მანამდე კი ჩვენი მოქმედების ხაზი ორ ძირითად კითხვას უნდა შეეცავდეს — ჩვენი განმათავისუფლებელი მოძრაობის სიძნელეთა სწორი გათვალისწინება, მის ნაღდ დასაძლევ საშუალებებზე ფიქრი და მუშაობა. მეორე — ამ განთავისუფლების დამაგრება, როგორც საქართველოში, ისე კავკასიონში.

ი. მანწკავა

1934 წ. პარიზი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ახალი გზით

თუ ჩვენ ვერ შევსძელით ბრძოლა ჩვენი დამოუკიდებლობისათვის, თუ გვაკლდა უნარი თავგანწირვისათვის, — ამის მიზეზი უნდა ვეძიოთ იმ ცბიერ აზროვნებაში, რომელიც გამეფებული იყო ჩვენი ქვეყნის თითქმის ყველა კუთხეში. საერთოდ სუსტი ეროვნული აღზრდა და ქართულ სხეულზე ხელოვნურად დამყნილი მარქსიზმი და მის ორ შტოს შუა გამარული ჯიბრი — მენშევიზმსა და ბოლშევიზმს შორის — ხალხისათვის ბედნიერების დაპირებებში — აი ის მოვლენა, რამაც ჩვენი ქვეყანა მერყევ და ორჭოფ გზაზე შეაყენა.

ქართველმა ხალხმა თვალები დახუჭა სიკვდილის საშიშროების წინ 1921 წელს, როდესაც მას საგარეო საფრთხე დაუდგა, — და ამაში იგი ნაკლებად დამნაშავეა: არავის არ მოუმზადებია იგი თავისი ეროვნული და სახელმწიფოებრივი თავისუფლების დაცვისათვის და თავგანწირვისათვის.

სამაგიეროდ იმავე ხალხმა, როდესაც იგრძნო თავისი საკუთარი თავი, უცნაური ენერგიითა და გამბედაობით, მთელი თავისი ეროვნული ძალებით აგვისტოს **აჯანყების დღეებში სტიქიურად გამოხატა ახალი ეროვნული სული, რომელიც დაეფუძნა მთლიან და გაერთიანებულ საქართველოზე.** ამ შავ დღეებში საქართველოსათვის ჰკვდებოდენ ქართველი გლეხები, ქართველი მუშები, ქართველი თავადები, ქართველი აზნაურები, ქართველი მღვდლები, ქართველი მრეწველ-ვაჭარნი და ქართველი ინტელიგენტები. ყველა ერთი მიზნისათვის: — სამშობლოს თავისუფლებისათვის!

საქართველომ წააგო ეს ბრძოლა, მაგრამ სულიერად და მორალურად მარცხი არ მოსვლია, — პირიქით: — აქ გამოკაჟდა აჯანყების ბრძოლებიდან გამოტანილ, დაფლეთილ დროშაზე წარწერილი ახალი დევიზი, რომელიც ახალ ნებასა და ახალ მისწრაფებას გამოხატავს: — დიახ ჩვენ გვიყვარს ჩვენი სამშობლო; ჩვენ ვიბრძვით მისი თავისუფლებისათვის; **ჩვენ ყველა!**

15 წლის უკან, ჩვენ ახალგაზრდა მარქსისტები, რომ გვეგონა — მსოფლიოსაც ვაბედნიერებდით! — დღეს კი მწარე სინამდვილე და და გაბზარული რწმენა, დაღუპული იმედები; საკუთარი ტრაღედია ჩვენი თაობის, კატასტროფა ჩვენი იდეოლოგიის! აი ბალანსი ჩვენი ძველი ანდერძის და ახალი აღთქმის დასაწყისი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ყველა თაობას აქვს თავისი დრო და ვადა, — ყველა სიკვდილის შვილია და დეე ძველმა თაობამ თან წარიღოს ძველი იდეოლოგია, — ახალი თაობანი, რომელნიც გაჭყეტილი თვალებით უცქერიან სინამდვილეს, მოდიან შემოქმედების ახალი ენერგიითა და ახალი სტილით. და ეს ახალია ერთობლივი და მთლიანი საქართველო, მისი ბედნიერება პირველად ყოვლისა! და ჩვენი აღთქმა ეკუთვნის ამ ეროვნულ საქართველოს. გაბედული, გამიჯნული ნაბიჯით, ურყევი რწმენით და ეროვნული კულტით მივდივართ აქეთ — ამ აღთქმისაკენ! აი ჩვენი მიზანი! აი ჩვენი გზა!

ვლასა იმნაძე

ეროვნული ბრძოლისათვის

რუსეთმა ორჯერ დაურღვია ხელშეკრულება საქართველოს და ორივეჯერ სამხედრო ძალით გაანადგურა იგი. არც ერთჯერ საქართველო ამას არ შერიგებია და ორივე შემთხვევაში უბრძოლელად არაფერი დაუთმია. ქართველი ხალხის ბრალი არ არის, თუ უკანასკნელად, 1921 წ., სათანადო ბრძოლა ვერ მისცა შემოსეულ ვერაგ მტერს, — ამისათვის არც მისი ხელმძღვანელობა და არც ამ ხელმძღვანელობის მიერ შექმნილი ორგანიზაცია არ გამოდგა და რესპუბლიკამ რამოდენიმე კვირაში სული დალია. ასე იოლად წაგებული ბრძოლით ქართველი ხალხის ვაჟკაცობა შეურაცყოფილი დარჩა და თავისი მორალის განსაწმენდათ აჯანყებით უპასუხა ჯერ სვანეთში და მერმე ხევსურეთში. 1924 წ. აჯანყებაში ამ შეურაცყოფილმა და გათელილმა გრძნობამ პროტესტის ბუნებრივი გამოხატულება ჰპოვა. დამოუკიდებლობის დაბრუნება და ამის გულისათვის ყველა ძალების ერთად დარაზმვა — ეს არ იყო პარტიების მიერ გამომუშავებული გეგმა, არამედ თვით მებრძოლი ხალხის გულის თქმიდან აღმოხეთქილი წადილი. ყველა ანტიკომუნისტური ძალები განურჩევლად მიმართულებისა, ერთად იყრიდა თავს ეროვნული განმათავისუფლებელი ბრძოლის მოედანზე. პარტიების ხელმძღვანელთ კიდევ ჰქონდათ შერჩენილი თავისი პროგრამები, მაგრამ თვით ხალხი ამ პროგრამებს არ დაგიდევდა, და საერი პოლიტიკური გრძნობით გაჟღენთილი ყველა ერთად იბრძოდა.

ამ ეროვნულ ბრძოლათა შედეგად უცხოეთში გაჩნდა ქართული

ემიგრაცია, რომელიც სიმბოლიურად ქართულ ეროვნულ დროშას ატარებს და მარტო თავის აქ-ყოფნით ღაღადებს, რომ იგი საქართველოს ოკუპანტებს არ ურიგდება. მაშინ როცა ემიგრაციაში არ არსებობს ისეთი მცირე დაჯგუფებაც კი, რომელიც საქართველოს დამოუკიდებობას უარს ჰყოფდეს და მზად არ იყოს მისთვის იბრძოლოს — ეს ემიგრაცია რაღაც მანქანებით დაშლილია, დაყოფილი. ჩვენ გვსურს ეს მანქანება მოვნახოთ და მასზე ყურადღება მივაქციოთ.

საქართველოს ეროვნული მთავრობა, რომელიც თითქმის მთლიანად შედის საქართველოს სოციალდემოკრატიულ მუშათა პარტიის საზღვარგარეთელ ბიუროში და ორივე ორგანიზაციის თავჯდომარე კი ბ-ნი ნ. ჟორდანიაა, მატარებელია, ფორმალურად მაინც, საქართველოს ეროვნული სუვერენული ემბლემის, მაგრამ უბედურება ის არის, რომ იგი ამ ეროვნული ემბლემის სიმაღლემდე ვერ ასულა და პარტიის ფარგლებს ვერ გაშორებია. უცხოეთშიაც გრძელდება ის სენი, რომელიც ქართულ სახელმწიფოებრივ ორგანიზაციას თან დაჰყვა, და რომელმაც მის დაღუპვაში მცირე როლი არ ითამაშა. ესაა სოც.დემ. პრინციპებისა და დოქტრინების ეროვნულ სახელმწიფოებრივ ინტერესებზე ბატონობა; ესაა ხელმძღვანელობა პარტიული დოგმებით. რასაკვირველია, ასეთ მდგომარეობაში, როცა მთავრობასა და სოც.დემ. ბიუროს ერთი მეორესაგან ვერ არჩევ, როგორ შეუძლია ეროვნულ მთავრობას თავის გარშემო შემოიკრიბოს ყველა ძალები. იქნებ არც აინტერესებთ? ეს ეროვნული მთავრობა უკუნითი უკუნისამდე ვალდებულია აღებული ჭაპანი ატაროს და ემიგრაცია კი შემთხვევითი ხალხია, — არა? დღეს აქ არს, ხვალ ვინ იცის სად იქნება?! შეიძლება იგი ხვალ მთლიანად დაბრუნდეს შინ, — მთავრობას კი ამისი უფლება არა აქვს— არა? მაგრამ კიდეც რომ წარმოვიდგინოთ, ემიგრაცია ხვალ ერთბაშად შინ დაბრუნდეს — ამ შემთხვევისათვის როგორი უნდა იყოს მთავრობის მისდამი დამოკიდებულება? ნუ თუ მის მოვალეობას არ შეადგენს ამ ემიგრაციაში შეინახოს დამოუკიდებლობის სული, აღვივოს ცეცხლი და ამზადოს იგი მომავალი ბრძოლებისათვის? მაგრამ ცხადია, ემიგრაციას მთლიანად შინ დაბრუნება არ შეუძლია, არც დაბრუნდება, და ეროვნული მთავრობა თუ არ სცდილობდა მის დარზმვას — ამისი მიზეზი ვიცით, ხოლო მისი დაძლევა ჩვენზე არაა დამოკიდებული. ესაა, როგორც ვსთქვით, ის გარემოება, რომ ეროვნული მთავრობის ხელმძღვანელები ვერ ამაღლებულან ეროვნულ დონემდე და პარტიულ არტახებში გამოკრულნი, პარტიულ სოც.დემ. დოქტრინებზე დაქვემდებარებულნი, ცხადია, ვერავის ვერ იკარებენ და

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პარტიებთან საერთო ენას ვერ პოულობენ. როგორ არა! დიდი ხანია უცხოეთში მყოფმა პარტიათა წარმომადგენლებმა ნახეს საერთო ენა და ამისი გამომხატველია პარტიათა წარმომადგენლების ცენტრი თუ ეროვნული ფრონტი! ღმერთმა ჰქნას ეს ასე იყოს, მაგრამ ეს მეტად საეჭვო ამბავია ,და ამ ეჭვებს ის უეჭვო ამბავი კიდევ უფრო გვიძლიერებს, რომ ამ „ეროვნულ ფრონტზე" დიდი ოთურმაა გამართული. არავინ იცის, თუ რა ნიადაგზე და რა პირობებზეა შექმნილი ეს ეგრედ წოდებული ეროვნული ფრონტი, მაგრამ ის კი ყველამ იცის, რომ იქ წარმომადგენელთა ხშირი შესვლა-გამოსვლაა და აქეთ-იქით გაჯავრებული სეირნობა! მაგრამ ესეც რომ არ იყოს, — ეს ფრონტი მართლა წარმოადგენს მთლიან ეროვნულ ფრონტს? თუ იგი დატეხილია და განგებ შეკოწიწებული? რა საშუალებით? — პრინციპებით, მიმართულებით, გეგმებით, ბრძოლით თუ სხვა რაიმეთი? ეს „რაიმე" ყველაზე უფრო სჩანს, მაგრამ ეს პრინციპები და ეს ბრძოლა არსად გამოხატულა. გამოხატული კი სხვა რამ დაგვინახავს: ესაა ბრძოლა მათ წინააღმდეგ, ვინც მთავრობის თავჯდომარეს არ მოსწონს. ჩვენ აქ არ ვგულისხმობთ პირებს ემიგრაციაში, რომელნიც მას შეიძლება არ მოეწონოს, — ჩვენ მხედველობაში გვყავს სხვა და სხვა ევროპიულ სახელმწიფოთა ხელმძღვანელები, რომელთაც ჩვენი თავჯდომარე ან რაიმეს უწუნებს ან ჭკუას ასწავლის.

ჩვენ ემიგრაციის ცენტრებისაგან შორს მყოფნი განსაკუთრებული მწუხარებით ვუყურებთ იმ არეულობას, დაქსაქსულობას და დაშლას, რომელშიც ეროვნული ემიგრაციაა ჩავარდნილი და დღეს, როცა ჩვენ საშუალება გვეძლევა ამით გამოწვეული ჩვენი საკუთარი ტკივილების შესახებ ვილაპარაკოთ, — უნდა ხმამაღლა ვსქვათ: — დრო არის ეროვნული მთავრობა დასდგეს თავის სიმაღლეზე! დროა ატაროს მან თავისი საკუთარი ეროვნული სახე და აღარ იყოს პარტიული ბიუროს მონა! დროა ამ მთავრობამ ჩამოიშოროს პარტიული დოქტრინები და დოგმები! თორემ იგი დარჩება იმ ხელოვნურად გაბერილ ტიკინად, როგორათაც დღემდე იყო; და ასეთ შემთხვევაში არამც თუ დადებითი მუშაობის წარმოება არ შეუძლია, არამედ გადაიქცევა იგი მხოლოდ ზიანის მომტანად და უბედურების თავზე დამტეხად, როგორც ეს არა ერთჯერ მომხდარა.

შალვა მაღლაკელიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ემიგრაციის მოვალეობა

ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოზე თავდასხმას და მის ოკუპაციას შედეგად მოჰყვა მრავალი ქართველი პოლიტიკური მოღვაწის უცხოეთში გამოხიზვნა. ამ პოლიტიკურ მოღვაწეთა მთავარი დანიშნულება იყო, აქ, უცხოეთში, ჩვენი საქმის გახმაურება, ჩვენი სამართლიანი მოთხოვნილებისადმი სიმპატია და თანაგრძნობის მოპოება თუ განმტკიცება.

ჩვენი ხალხი იქ აწარმოებს ბრძოლას ეროვნული განთავისუფლებისათვის, — ემიგრაცია კი აქ პოლიტიკურ მუშაობას. იქაც და აქაც ბრძოლა სწარმოებს ერის სუვერენობის აღსადგენად. სხვა საკითხი ემიგრაციისათვის არ არსებობს. მაშასადამე, ჩვენი გადმოხვეწილი ემიგრაცია არ არის პარტიულ-პოლიტიკური ემიგრაცია (მაგალითად როგორც რუსეთის), არამედ ნაციონალური ემიგრაცია. ჩვენი ემიგრაცია დაჯგუფებული სხვა და სხვა პოლიტიკურ პარტიებად მხოლოდ ისტორიული მოდგმისაა; მათ პარტიულ პროგრამებს აქვთ მხოლოდ თეორიული, აკადემიური ხასიათი. რაც შეეხება მათ სოციალურ-პოლიტიკურ მხარეს, ეს მხოლოდ ჰაერში გამოკიდებული ცნებანია ამ უცხოეთში, ვინაიდან ყოველი პარტიის სოციალურ-პოლიტიკური მხარე, მხოლოდ თავისი ქვეყნის პრაქტიკული მოქმედების ანარეკლია.

რასაკვირველია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ თვითეულ ჩვენთაგანს არ უნდა ჰქონდეს კავშირი ან არ უნდა მიესვლებოდეს უცხოეთის ამა თუ იმ პარტიულ-პოლიტიკურ ორგანიზაციასთან ან მოღვაწეებთან, რომელნიც მის პარტიულ-პოლიტიკურ რწმენას შეეფერება. დეე, თვითეული ჩვენთაგანი მივიდეს იქ, სადაც მას მიესვლება და ხელი შეუწყოს ევროპიელ პოლიტიკურ მოღვაწეებისათვის ჩვენი ეროვნული მისწრაფებების გაცნობას. მხოლოდ ყოველივე ეს არ უნდა მოასწავებდეს თვით ჩვენი ეროვნული ემიგრაციის პარტიულ-პოლიტიკურ ემიგრაციად გადაქცევას, მის პარტიულ - პოლიტიკურად დარზმვას.

მთავარი კი, როგორც ზევით ვსთქვით, ჩვენს ნაციონალურ ემიგრაციას, როგორც ასეთს, ევროპაში მხოლოდ ერთად ერთი საქმე აქვს.: — თავისი ერის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა. ეს არის მთავარი პოლიტიკური მაგისტრალური ხაზი, რომელზედაც უნდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დარაზმულიყო ჩვენი ემიგრაცია. და აი საუბედუროდ, ასეთი მეფობა ანობა და მთავარი იდეის გარშემო გამაგრება შეუძლებელი შეიქმნა. მე არ შევუდგები აქ მიზეზების გამორკვევას, მხოლოდ ფაქტია, რომ ჩვენი ეროვნული პირველი მწუხრიდანვე აღორძინდა და გაჩაღდა საქართველოში ძველად არსებულ პარტიათა ბრძოლა და ამ ბრძოლის დროს თითოული პარტია რამოდენიმე ჯგუფად და მიმდინარებად ერთი მეორეს საწინააღმდეგოდ დაიყო. ყოველი ჯგუფის მთელი ძალღონე არა საქმეს, არამედ ერთმანეთთან ბრძოლას ხმარდება. არ დარჩენილა არც ერთი თვალსაჩინო პირი და სასიქადულო მოღაწე ემიგრაციის არც ერთ ჯგუფში, რომლისაკენაც ტალახი არ იყოს გასროლილი და რომელიც „ქვეყნის მოღალატედ" არ იყოს გამოცხადებული. ბოლოს საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ უცხო ქვეყნის ხელისუფლებასაც კი ვრევთ ამ ჩვენს შინაურ უთანხმოებაში!

სამწუხაროდ, თვით იმ მმართველმა ორგანოებმა, რომლებიც ემიგრაციას ამ უცხოეთში გააჩნდენ, ვერ აიცდინეს ეს პარტიულ-პოლიტიკური გზა და ბევრში კიდეც თვით ხელი შეუწყვეს, ვინემ შეაჩერეს ეს ნგრევისა და დაქსაქსვის პროცესი.

ცხადია, ემიგრაციის და მმართველი ორგანოების ასეთი პოლიტიკური ხაზი ვერ შეაკავშირებდა მთელ ეროვნულ ემიგრაციას, ვერ გახდებოდა მთლიანობის სიმბოლოდ და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის უმაღლეს ორგანოდ.

ჩვენის ღრმა რწმენით კი ქართული ემიგრაცია უნდა იყოს მხოლოდ და მხოლოდ ეროვნული ემიგრაცია და არა პარტიულ-პოლიტიკური; ჩვენი მიზან-დანიშნულებაა ერის სუვერენული არსებობის მოპოება. სწორედ ამ დიდი მიზნის გარშემო უნდა ხდებოდეს მთელი ემიგრაციის საერთო დაჯგუფება და შეკავშირება. და ვიმედოვნებ, და ბედნიერადაც ჩავთვლიდი ჩემს თავს, თუ ოდესმე ეროვნული ემიგრაციის გაეთიანება მოხდება, როგორც ყოველი თქვენთაგანის, ისე თქვენი მორჩილის უნარი და ძალღონე მოხმარებოდეს ეროვნული მოვალეობის პირნათლად შესრულებას. დრო და გარემოება მოითხოვს დაჟინებით ასეთი ჩვენი საერთო სურვილი ჩენი ემიგრაციის მიმართ სინამდვილედ გადაიქცეს.

კიტა ჩხენკელი

ჰამბურგი, 1934 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ახალგაზრდობის გაერთიანებისათვის

ცხოვრებამ დაამტკიცა უკვე, რომ მიმდინარეობა, რომელიც ეროვნულ წიაღიდან არ წარმოიშვება, რამოდენიმე მანძილის გავლის შემდეგ, აშკარა წინააღმდეგობას უნდა შეეჯახოს, — რამოდენიმე ბრძოლის შემდეგ უნდა მოისპოს. ცხადია, ამას დრო სჭირდება და ამასობაში ეროვნული დოვლათი და ცოცხალი ძალა მას მსხვერპლად ეწირება. დიახ, ეწირება და უმიზნო ბრძოლაში ერი უკან ექანება. ათეული წლების მანძილზე საქართველო უცხო ექსპერიმენტების მოედანი იყო. და თუ ბედნიერება ეღირსა მას და მისი დღევანდელი ჯოჯოხეთური ცხოვრებისაგან თავი დაახწია, — ამ უცხო დოქტრინებს ახლოსაც აღარ ვაიკარებს. მაგრამ საუბედუროდ, კიდევ ფიქრობს ზოგიერთი, ერის დაუკითხავად ,მისი მდგომარეობის შეუცნობლად მასზე კიდევ ცდები მოახდინოს. განა ეროვნული ინტერესები არ ეწირება ასეთ ექსპერიმენტებს? ეწირება და ამიტომ დროა მას ბოლო მოეღოს. დროა ჩვენმა მოღვაწეებმა თავიანთი ათეული წლების ნამოღვაწარს თვალი გადაავლონ და ის შეაფასონ; დღევანდელი საქართველო და ქართველი ხალხის ინტერესები კარგად წარმოიდინონ, ცხადია, პარტიული ბორკილების გარეშე, და თუ ამ ტუსაღობიდან განთავისუფლდებიან და ისე გაუკეთებენ ანალიზს თავიანთ მუშაობას, დაინახავენ, რომ მათი მოღვაწეობა არ გამომდინარეობდა ეროვნული ინტერესებიდან და არც ეხლა გამომდინარეობს. ეს შეუძლიათ იმათ, ვისაც საქართველოს დღევანდელი მდგომარეობა ცოტა თუ ბევრად გაეგებათ, იმათ კი, ვისაც საქართველო იტალია ან ინგლისი ჰგონიათ, მათ თავიანთი დოქტრინები ხელთ შერჩებათ და მათი მოქმედება მხოლოდ აქაურობას არ გასცილდება. სადავოა რომ ჩვენი ქვეყანა დღეს განსაცდელში არის? სადავოა, რომ მის ინტერესები უცხოთა უხეში ჩექმებით ითელება? — უდავოა. და თუ ეს ასეა, ყოველგვარი პარტიული ეგოიზმის გარეშე, ამ უბედურების წინააღმდეგ უნდა იქნეს მთელი ძალა დაგროვილი. საჭიროა ერთმანეთის წინააღმდეგ დაჯგუფებათა მიერ მოლესილი ხმალი ერთად, მტკიცედ, ძმურად შედუღდეს საერთო მტრის წინააღმდეგ. ერის გასაჭირის დროს პარტიული ეგოისტური ინტერესები ძირს უნდა იქნეს დაყენებული და ეროვნული კი მაღლა. ევროპის მაგალითებიდან მაინც ვისწავლოთ ეს ჭეშმარიტება! გუშინდელი

პარტიულად მოსისხლე მტრები საფრანგეთის პარლამენტში: ერიო, ტარდიე, მარენი და მარკე დღეს სახელმწიფო საქმეებს ერთად განაგებენ. ესენი თავიანთ ქვეყანაში, ჩვენთან შედარებით, ნორმალურ პირობებში! ჩვენ კი სხვის ქვეყანაში გადმოხვეწილნი, მოშორებულნი სამშობლოს, — ვითომ მას ბედნიერებას ვუმზადებთ და ნაცვლად ბედნიერებისა, არეულობის და დარღვევის სული გვინდა იქ შევიტანოთ. — ამის შემდეგ სიტყვა ახალგაზრდებს ეკუთვნის, იმ ახალგაზრდებს, რომლებიც შებოჭვილნი არ არიან პარტიული და ლიდერული გავლენით. კმარა თქმული სიტყვების დაზეპირება უსაფუძვლოდ; დროა მათი მოქმედება კრიტიკის ქარცეცხლში გატარდეს, მათი უვარგისი მოქმედება უკუგდებულ იქნეს; ახალგაზრდობა უნდა შესდგეს რეალურ საძირკველზე, საქართველოს თავისუფლების გამოჭედვაში მხურვალე მონაწილეობა უნდა მიიღოს. ახალგაზრდობამ, რომელსაც მწარე ბედი ერგო აქ, რომელიც დაჯგუფებათა ხელმძღვანელობის კინკლაობათა მსხვერპლი ხდება, ყ დროა დაუფიქრდეს, გადასინჯოს არსებული და ხელიხელ ჩაკიდებული ერთობლივად საქართველოს ინტერესებისათვის იბრძოლოს.

ა. თოფურია

ცოტა რამ წარსულიდან

როდესაც საქართველოში დაიწყო მარქსიზმის ქადაგება, ამ ქადაგებისათვის ლეგალური გზები შეკრული იყო. ამიტომ მთელი სიმძიმე გადატანილ იქმნა ფარული წრეების მოწყობაზე. პირველად ავრცელებდენ ფურცლებს, წიგნაკებს; შემდეგ, როცა მოძრაობამ ცოტა ფეხი მოიკიდა, დააწყვეს ორგანიზაციები. 1901 წლიდან მიაღწიეს ვიწრო ორგანიზაციების მოწყობას, ხელოსანთა, ნოქართა და რკინისგზის სახელოსნოების მუშებში. აქედან ადვილი გახდა მოძრაობის სოფელში გადატანა და გალატაკებულ გლეხების ამოძრავებაც. ქალაქის პაწაწინა ქარხნებს, სახელოსნოებს, სავაჭრო დაწესებულებებს, გალატაკებული, დროებით სოფლიდან წამოსული გლეხები ავსებდენ. აი ეს ხალხი შეადგენდა ე. წ. ჩვენებურ პროლეტარიატის არმიას. ისინი მიჯაჭული იყვენ სოფელზე და ქალაქში მოდიოდენ მხოლოდ შესავსებად დანაკლისისა, რადგან მცირე და ისიც მოუვლელი მამული ოჯახს ვერ აკმაყოფილებდა. სწორედ ეს გარემოება იყო მიზეზი, რომ ქადაგება სოფელსაც ადვილად მოედო. და

ეროვნული ბიბლიოთეკა

რას ქადაგებდენ? ეს იყო დაპირება მიწის შეძენის უსასყიდლოდ, საჭირო საგნების გაიაფება, სახელმწიფო ხარჯების არ-გაღება, ღალატ. სამხედრო ბეგარის მოსპობა: ქალაქში 8 საათის სამუშაო დღის შემოღება, ჯამაგირის გადიდება და სხ. რით, როგორ, რა ძალებით, რა საშუალებებით და რა პირობებში შეიძლებოდა ყოველივე ამის მიღწევა, არამც თუ ვინმეს სათანადო განმარტებას აძლევდენ, არამედ ოვითონაც არ დაფიქრებულან ამ საკითხებზე და ამგვარი წამოსროლილი თქმებით ხალხს აღელვებდენ.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ მოძრაობაში გარდა ჩამოთვლილ დაპირებისა, როლს თამაშობდა აგრეთვე დამბაჩა. მართალია, ტეროორი თეორიით და პროგრამით უარყოფილი იყო, მაგრამ პრაქტიკაში იგი მუდამ იხმარებოდა და თუნდაც შინაურის წინააღმდეგაც იყო ეს დამბაჩა მიმიზნებული.: მთელი ეს მოძრაობა, კლასობრივი შუღლი და გაშიშვლებული ბრძოლა ფაქტიურად ეროვნული აღორძინების წინააღმდეგ ხდებოდა. საიდუმლო წრეებში მუშებს უქადაგებდენ: — მუშას სამშობლო არა აქვსო. როგორც პრესაში, ისე უფრო საიდუმლო წრეებში ეროვნულ მოღვაწეებს მშრომელი ხალხის მტრებად აცხადებდენ. ვის არ გაუგონია, არ წაუკითხავს, არ უნახავს ეს, მით უმეტეს ძველ თაობას, თუ როგორ რისხვას და ცეცხლს უსამართლობისას აყრიდენ ეროვნული აღორძინების დიდ მოამაგეებს.

ამგვარი მუშაობა, რომელიც სოც.-დემ. მიერ მთელ სისტემად გადაიქცა, რევოლუციის დროსაც გაგრძელდა, შემდეგაც და ამან ჩვენი ქვეყნის დაღუპვაში გადამწყვეტი როლი ითამაშა. როდესაც მოადგა ჩვენი ქვეყნის საზღვრებს მშიერი და ფეხშიშველი ბრბო რუსის ბიჭებისა, საქართველო აღმოჩნდა უთავო და უპატრონო. მთავრობა უცხოეთში გადმოიხვეწა და ქვეყანა ხელში შერჩა რუსების ხიშტებით შემოჭრილ ერთ მუჭა ქართველ კომუნისტებს. ამგვარი ხელმძღვანელობის წყალობით პარტიას, ხალხს, მთელ საქართველოს დაატყდა გაუგონარი სირცხვილი და უბედურება.

მე-14 წელია ჩვენი ქვეყანა დაპყრობილია და ამ ხნის განმავლობაში ამ ხელმძღვანელობას ოდნავ არ უგრძვნია თავისი შეცდომები, არ ცდილა მის გამოსწორებას.

ქართველი ერი დღეს განსაცდელშია, უფლება-აყრილი, გალახული. მორიგი და გადაუდებელი საკითხია მისი უფლების აღდგენა თავის მიწაწყალზე, — ესაა ერთად ერთი დროშა, რომლის ირგვლივ ყველა უნდა შემოკრბეს. ნ. ჟორდანიას კი ორი დროშა უჭირავს ხელში: მარქსის და საქართველოსი! იგი ხან ერთს დაუშვებს ძირს, ხან მეორეს. ეროვნული დროშით მის არ-მიმყოლ მარქსისტებს სტუქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სავს; მარქსის დროშით არა-მარქსისტებს! სინამდვილეში კი ნ. ჟორდანია და მისი ამალა არ არის არც ერის დამცველი, არც პარტიის. იგი პარტიის სახელით სდევნის და ავიწროებს თავისუფლებისათვის მებრძოლ სინდისიერ ადამიანებს; არ ერიდება ამისათვის არც ცილის წამებას, არც პოლიციურ ზომებს. ეს მეთოდი არ ახალია, ძველია და გამოცდილი მათ ხელში.

ჩვენ კი ჩვენი გზით მივდივართ ეხლა. და ჩვენი ერთად ერთი სასიცოცხლო მიზანია ქართველი ერის განთავისუფლებისათვის ბრძოლა. ეს მაღალი მისწრაფება ჩვენმა ხალხმა 14 წლის გმირული ბრძოლებით დაამტკიცა.... ჩვენი უმაღლესი მიზანია ამ ბროლებში მასთან ვიყოთ სულით, ხორცით, ისე როგორც დაპყრობის პირველი წლების მძიმე წუთებში ვიყავით....

მ. ლაშქარაშვილი

სამგლოვიარო

† მიხეილ ბილანიშვილი

ნომერი 289...., დაიძახეს, — ასწიეს კუბოს და ცივად გადასცეს მესაფლავეებს... წვიმა სცემდა... სცემდა ქარი... და რამოდენიმე ქართველი ატალახებულ სასაფლაოზე სირბილით გაჰყვა ქართველი მხატვარის სადა კუბოს... არც კი დაასვენეს იგი!... ფიცხლავ ჩაუშვეს სამარეში და პაწია ნიჩაბით დამსწრეთ სოველი მიწა გააპნიეს კუბოზე... ქართველი მხატვარი მიხეილ ბილანიშვილი, რომელსაც ასე უყვარდა ქართული ფერები, ქართული ცა და მიწა! და მის დაკრძალვას კი დაესწრო ტყვიისფერი მძიმე ცა, წვიმა და ქარი... როგორ ენატრებოდა საქართველოში ყოფნა, — როგორი აღტაცებით ბაასობდა ქართულ მხატვრობაზე, — ჭლექით დაავადებული და მწოლარე, ოცნებობდა მუშაობაზე, და თავისი დასუსტებული, ნაზი ხელით ხაზავდა, — ვერ ითმენდა მისი გული... ის უსაზღვროდ შეყვარებული იყო ხელოვნებაზე ,მაგრამ აღარ დასცალდა... ბედმა არ არგუნა... ეს სიყვარული ფერებში გაეშალა... დაგვრჩა მხოლოდ რამოდენიმე სურათი...

უცხო მესაფლავემ დამარხა ნომერი 289... , — ჩვენ კი დავმარხეთ ქართველი მხატვარი, ახალგაზრდა მხატვარი...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

† სევერიან ბუაძე

გარდაიცვალა ჰალეს უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტი სევერიან ბუაძე. — გარდახვეწილებაში მყოფ ადამიანს შეუძლია წარმოიდგინოს ის საშინელი მძიმე პირობები, რომელშიც მას ცხოვრება და მეცადინობა უხდებოდა. გერმანიაში უსახსროდ დარჩენილი, მეცნიერული წყურვილით გატაცებული ახალგაზრდა ებრძვის ყველა დაბრკოლებას და თავისი დიდი ნიჭითა და შრომის უნარით არამც თუ ბრწყინვალედ ასრულებს უნივერსიტეტს, არამედ სტოვებენ მას იქ სამეცნიერო მუშაობის გასაგრძელებლად და იგიც სულ მოკლე ხანში ხდება პრივატ-დოცენტი ჰალეს უნივერსიტეტში.

ულმობელი არაა სიკვდილი, რომ ასეთი ახალგაზრდა მეცნიერი ხელიდან გამოგვტაცა? კარგი მამულიშვილი, მუშაობდა იგი საქართველოსათვის და ფიქრობდა, მომავალში თავისი სამეცნიერო მუშაობა ქართულ უნივერსიტეტში განეგრძო. რომ აღარ დასცალდა!

ქართულმა ახალგაზრდა მეცნიერებამ დაჰკარგა დიდი ძალა, — ჩვენ დავკარგეთ აგრეთვე კარგი ამხანაგი და თანამებრძოლი.

ქართული პრესა

სიმართლე შინაპარტიული დავის შესახებ. რვეული პირველი — მეორე; პარიზი, 1933 და 34 წ.

საქართველოს სოციალდემოკრატიულ მუშათა პარტიაში ანუ უფრო სწორად რომ ვსთქვათ, სოც.დემ ორგანიზაციებში, საზღვარგარეთ, უკვე კარგა ხანია დიდი დავაა ამტყდარი. ამ დავის შედეგად, ერთ დროს მთლიანი სოც.დემ ორგანიზაციები სამ ჯგუფად გასკდა და დანაწილდა. პირველი ჯგუფია, — დღესაც რომ პარტიის ოფიციალურ სახელს ატარებს და პარტიული აპარატი ხელთ უკავია — ნ. ჟორდანიას ჯგუფი. მისი სახეობა და მიმართულება მათთვის ცხადია და ცნობილი, ვისაც გაზეთი „ბრძოლის ხმა“ ერთხელ მაინც გადაუკითხავს. მეორე ჯგუფია ეგრედ წოდებული „ძველი ოპოზიცია“ ანუ ირაკლი წერეთელის ოპოზიცია, რომელიც თავის სახეობას თვითვე შემდეგნაირად განმარტავს: —

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ოპოზიცია, ვფიქრობთ, რომ ქართველი ერის განმათავისუფლებელი ბრძოლის ბედი განუყოფელად შეკავშირებულია დემოკრატიულ ძალთა გაძლიერებასთან და გამარჯვებასთან, როგორც მსოფლიო პოლიტიკაში, ისე თვით რუსეთის საზღვრებშიაც, და რომ ამ მოსაზრებით იყოს გამსჭვალული არა მარტო ჩვენი პარტიული, არამედ ჩვენი ეროვნული მოძრაობაც, რათა თავიდან აიშოროს საბედისწერო ილიუზიები, მზგავსი იმისა, როგორც ერთ დროს ჩვენს მეზობელ ერს ჰქონდა".

ხოლო მესამე ჯგუფი ეგრედ წოდებული „ცენტრი" —

„ვფიქრობთ, რომ, თუმც ამ მხარეს ჩვენი მოძრაობისას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს, ილიუზიას არ წარმოადგენს აგრეთვე საქართველოს ოფიციალურ წარმომადგენლებისაგან სხვა და სხვა სახელმწიფოთა კავშირის ძებნა და მათ დახმარების იმედზე დაყრდნობა, თუ კი ეს მუშაობა შესაფერი წინდახედულებით და ყოველ სამხედრო კომბინაციათა გარეშე იწარმოებს".

მკითხველი დაინახავს, რომ საქართველოსათვის ამ მეტად საჭირბოროტო საკითხში ამ ორი ოპოზიციური ჯგუფის შორის შესამჩნევი განსხვავებაა, მაგრამ, როგორც აღნიშნულ პირველ რვეულში ნათქვამია — „ეს აზრთა სხვადასხვაობა... ხელს არ უშლის მას, რომ საორგანიზაციო საკითხებში ჩვენ ყველა გაერთიანებული ვართ"...

როგორც ვხედავთ, დავა ეხება საორგანიზაციო საკითხებს. მთელი ეს ოპოზიცია მოითხოვს პარტიულ დაწესებულებებში მუშაობის კოლეგიურ წარმოებას, დემოკრატიის შექმნას, დიქტატორული და უკანტროლო სისტემის მოსპობას. სოც.დემ. ორგანიზაციაში ასეთი რამეს მოთხოვნა პირდაპირ განცვიფრებას იწვევს, — მაშ როგორი დემოკრატიული პარტიაა — თავი რომ დავანებოთ სოციალისტურს — ის პარტია, სადაც ასეთი მოთხოვნილების შესახებ ეჭვიც კი შესაძლებელია!? მაგრამ აი თურმე, სოც.დემ. პარტიაში ეს შესაძლებელი კი არა საბრძოლელი საკითხიც ყოფილა! მაგრამ თუ ჩვენს წარსულს გადავხედავთ, დავინახავთ, რომ ეს ამბავი ხანდაზმულია და დიდი ხნის ისტორიაც აქვს მას, — და თუ ამ უკანასკნელად შეამჩნიეს, — ოლონდაც ესეც კარგია! სოც.დემ. პარტიას ჩვენში სხვა ორგანიზაციული პრაქტიკა, როგორიც დღესა აქვს, არა ჰქონია და მრავალი უბედურება, რომელიც მას თავს დაატყდა, სწორედ ამ უკანტროლო და უპასუხისმგებლო ხელმძღვანელობის მიერ იყო გამოწვეული.

პირველი რვეული შეიცავს წერილს საქ. სოც.დემ. პარტიის ცეკასადმი, — ჩივილია, ცუდათ არის პარტიული ორგანიზაცია მოწყობილი, ვინაიდან პასუხისმგებლობის სისტემა არ არსებობს და ამის

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამო, როგორც ქვეყანას, ისე პარტიას დიდი ზიანი აქვსო. და ბერ-
რა უპასუხა ცეკამ? — პასუხი მარტივია: დაუყონებლივ შესწყვი-
ტეთ ეს დავა! მაგრამ ეს დავა არ შესწყდა და როგორც „ცენტრმა“,
ისე „ძველმა ოპოზიციამ“ პარტიულ ორგანოებთან თანამშრომლო-
ბაზე უარი განაცხადეს, განზე გადგენ.

მთელი ეს დავა გამოქვეყნებულია პირველ რვეულში, ხოლო მეო-
რე რვეულში მოთავსებულია ირ. წერეთელის პასუხი ნ. ჟორდანია-
სადმი და კოლექტიური პასუხი გაერთიანებული ოპოზიციისა. ჩვენ
აქ არ შევჩერდებით იმ დავის საკითხებზე, რომელიც არსებითად პირ-
ველის გაგრძელებაა, — ვისაც აინტერესებს თვით წაიკითხოს იგი,
— ხოლო ერთს ვიტყვით: საქ. სოც.დემ. პარტიის უცხოეთში თავშე-
ფარებულ ორგანიზაციებს თუ დღეს სადავოდ აქვთ მხოლოდ ეს სა-
კითხები, ეს დიდი ბედენა არ არის; საქმე ისაა, რომ დღეს მათ წინა-
შე სდგას თვით ყოფნა-არ-ყოფნის საკითხი და როგორ შეხვდება მას
ამას ახლო მომავალში გვიჩვენებს.

„დამოუკიდებელი საქართველო“, საქართველოს პოლი-
ტიკურ პარტიების ორგანო.

რამოდენიმე წელიწადია, რაც „დამოუკიდებელი საქართველო„
მუდმივად იბეჭდება — ყოველთვიურად — და წარმოადგენს იგი
ფორმალურად მაინც „საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა“ ორ-
განოს. როგორც ყოველი ოფიციალურ ორგანოს სენია, „დამ. საქ“.
არ ღალატობს ამ ადათს და თავიდან ბოლომდე ერთი და იგივე ხა-
სიათისა და წესის წერილები თავსდება შიგ. ერთჯერვე გამოზომილი
სიტყვა (დღეს უკვე საკმაოდ მოძველებული!), ერთჯერ გამოჭრილი
ზომა (დღეს უკვე გაცვეთილი!), ერთჯერ აღებული ტრაფარეტი...
(დღეს უკვე მობეზრებული!). არც ერთი ცოცხალი სიტყვა ,არც ერ-
თი ცოცხალი აზრი... ვის ემსახურება ან რას ემსახურება ეს ორგანო
— დღემდე ვერ გაგვიგია. თუ იგია დანიშნული ემიგრაციისათვის —
ამ დანიშნულებას სრულიად ვერ ამართლებს, რადგან აქ ემიგრაცია-
ში ვის ესაჭიროება მოქადაგის გრძელი წერილები, — ემიგრაციისა-
თვის საჭიროა ამბები, საქართველოს ამბები: რას აკეთებენ, ან რას
ახდენენ იქ, და ამდენი ხნის განმავლობაში, ორგანოს, რომელსაც ამი-
სი საშუალება, ყოველ შემთხვევაში, ნივთიერი, მოეპოვება, ისიც
კი ვერ მოუხერხებია, რომ საქართველოს ამბები იქაური გაზეთები-
დან ამონაწერი მაინც აქაურ მკითხველს მიაწოდოს.

თუ იგია დანიშნული საქართველოსათვის, ამ შემთხვევაშიც იგი
თავის დანიშნულებას სრულიად არ შეეფერება. საქართველოში

მკითხველს, თუ კი მისდამი მიაღწევს იგი, აინტერესებს ამბები, მარ-
თალი ამბები, ვინაიდან მას ვერ გებულობს იგი იქაური გაზეთები-
დან, საქართველოს შესახებ უცხოეთში, და საერთოდ უცხოეთის ამ-
ბები და არა ვინმეს მიერ სავარჯიშოდ დაწერილი კილომეტრიანი
წერილები. ქრონიკა რაა, — ემიგრაციის ქრონიკა, ესეც კი ვერ მოუ-
გვარებიათ! სამაგიეროდ შიგ ხშირად შეხვდებით დარიგებებს, ჭკუის
სწავლებას, მოწონებას ან გაკიცხვას, რომლითაც ეს გადმოხვეწილი
პირები თავის საკუთარ ქვეყანაში მომქმედ თუ მებრძოლ ხალხს,
რომელიც მათ არ მოსწონთ, უმასპინძლდებიან! რისთვისაა ეს საჭირო!

მხედარი, — ქართველ მხედართა ორგანო. რვეული მე-13, 14-
15. პარიზი, 1933 წ.

უკვე კარგა ხანია რაც მხედართა კავშირი ბეჭდავს თავის საკუ-
თარ ორგანოს სამხედრო საკითხების შესახებ. პირველ რვეულებში,
ზოგიერთ ქართული საკითხების გამოკლებით, უფრო ხშირად იბე-
ჭდებოდა წერილები სამხედრო საკითხებზე, რომელიც ალბად დანი-
შნული იყო მოსწავლეთათვის სახელმძღვანელოდ, თუმცა ჩვენ არ
ვიცით, სად იმყოფებიან ასეთი მოსწავლენი. უნდა ვიგულისხმოთ,
რომ ამ სპეციალურ სამხედრო საკითხებზე პოპულიარულად წერა
არის მზადება მომავალ საქართველოში სამუშაოდ და ამ მხრივ ვუ-
სურვოთ მათ ყველა სათანადო საკითხის დამუშავება.

„მხედრი"-ს ზემოაღნიშნულ ნომრებში მოთავსებულია წერილე-
ბი უკვე საქართველოს შესახებ, — შესახებ იმ ბრძოლებისა, რომე-
ლიც მას ჰქონდა უკანასკნელ ხანაში. ემიგრაციაში დღემდე დიდ ცო-
დვათ ითვლებოდა ჩვენი ეროვნული ტრაგედიის ხელისხლება და მას-
ზე ლაპარაკი, მაგრამ ბ. გენ. ა. ჩხეიძემ სამართლიანად დაარღვია
ეს სიჩუმე და თავისი მოგონებანი მიიუძღვნა სამხედრო სკოლას და
მის მიერ გაწეულ ბრძოლებს. ამ მეტად საინტერესო მოგონებებს ჩვენ
არსებითად არ ვეხებით; ჩვენთვის საინტერესო იყო და არის ამ სა-
კითხზე — ჩვენი დაღუპვის მიზეზებზე, — სამხედრო თვალსაზრსით,
მართლა სერიოზული მიდგომით იწერებოდეს და ეს საკითხი მიუ-
კერძებლად ირკვეოდეს. ამიტომ ჩვენ მივესალმებით „მხედარი"-ს
მე-13-14 რვეულში გამოთქმულ სურვილს, გამოაქვეყნონ მოგონე-
ბანი, ბრძანებანი, პატაკები და სხვა. დროა წარსულის შესწავლით
გავიგოთ, თუ სად რა შეცდომა ჩაგვიდენია, რათა იგი მომავალში
თავიდან ავიცილოთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„თეთრი გიორგი“, იანვარ-თებერვალი, 1934 წ. პარიზი.

„ქართველ პატრიოტთა„ ორგანო „თეთრი გიორგი“ უკვე დიდი ხანია რაც იბეჭდება, რასაკვირველია, დრო გამოშვებით. ზემო-აღნიშნულ ნომერში „თეთრი გიორგის ათი წლის თავზე“, ქართულ პოლიტიკურ პარტიათა მიმოხილვასაც სწერენ და ამტკიცებენ, რომ „არ არსებობს არც ერთი რეალური პოლიტიკური ძალა გარდა „თეთრი გიორგისა“, რომელსაც შეეძლოს ყველა ეროვნულ ძალთა დარაზმვა“, — მაშინ როცა მას თავისი ძალები ვერ დაურაზმია და დაუქსაქსავს კი. ამ ორგანიზაციას გამოეყო მთელი ჯგუფი, რომელმაც გაზეთი „მომავალი“ გამოსცა. როგორ სურს „თეთრი გიორგის“ შემოიკრიბოს თავის გარშემო ის ხალხი, „ვისაც ნამდვილი ეროვნული ბრძოლის წარმოება სურს, ვისაც სამშობლოს სამსახური უნდა“... თუ იგი თავის საკუთარ ძალებს ჰფანტავს?! მაგრამ ვიკითხოთ — საით მოგვიწოდებს „თ.გ.“? პასუხი დიდი ხანია მარტივად არის მოცემული: — ფაშიზმისაკენ! დიახ, აქამდე იყო მარქსიზმი, ეხლა კერესელიძე ამბობს: — „რომ ევროპაში სწორედ ჩვენმა (!) იდეამ (!) მოუღო ბოლო მარქსიზმს (კომუნიზმ-მენშევიზმს) და რომ რუსეთსაც მოუღებს ბოლოს. ხოლო რუსეთის კომუნიზმის დამარცხება გამოიწვევს აუცილებლივ რუსეთის იმპერიის დაშლა-დანაწილებას“... ეს ბაჯაღლო ოქროდ უნდა მივიღოთ. კარგი! ბარაქალა იმ იდეას (!) ,რომელიც რუსეთის დაშლა-დანაწილებას გამოიწვევს, — უაღრესად გასახარელია — მაგრამ ამიტომ საქართველო ფაშისტური უნდა გახდეს? პირდაპირ გასაოცარი არიან ეს ჩვენი მოღვაწენი! არც ერთი მათგანი ნამდვილ საქართველოზე არ ფიქრობს და თავისი აკვიატებული იდეების მიხედვით ლამობენ ისევ „გააბედნიერონ“ იგი!

ჩვენთვის გასაგებია: — ისარგებლო იმ გეზით, რომელიც მიმართულია ჩვენი მტრის დასამარცხებლად; ჩვენ გვესმის ხელი შევუწყოთ რუსეთის დაშლას, მაგრამ ჩვენ აღარ გვესმის აქ, ევროპაში დამზადებული, განსაკუთრებული ისტორიული პირობებით გამოწვეული იდეები თუ მოქმედებანი გადავიტანოთ საქართველოში, რომელსაც სულ სხვა საკითხები უდგას წინ, სულ სხვა სამკვდროსასიცოცხლო ამოცანები აქვს შესასრულებელი, თვით განთავისუფლების მეორე დღესვე. აბა ვინ ფიქრობს ამაზე? რამოდენიმე წლის წინად ბ. ვლ. ახმეტელმა მიმართა ემიგრაციას, შეექმნათ საქართველოსთვის აუცილებელი სახელმწიფო და საზოგადოებრივი საკითხების შემსწავლელი ორგანოები და კაცმა ყური არ გაანძრია, —

სამაგიეროდ, აბა რა ადვილია წერა ფაშიზმზე, ნაციონალ-სოციალიზმზე და სხვა იზმზე, რომელთათვის სხვებს უშრომიათ, სხვებს უბრძოლიათ და სხვებს განუხორციელებიათ თავისი ქვეყნის პიროვნების მოთხოვნილებათა მიხედვით! „თ. გ“. კი თავს არ იტკივებს, — სად სცალია საქართველოს საკითხების შესასწავლად, — იოლად მიდის: — ფაშიზმის იდეა იმარჯვებს (თითქო ამაში მას მიუძღოდეს წილი!) და ქართველო პატრიოტებო, მისი დროშის ქვეშ მოიყარეთ თავიო!

„თეთრი გიორგის“ ამ ნომერმა ცივი უარი სტკიცა „მომავალს„: — „არავითარი ორგანიზაციული დამოკიდებულება თ. გ. არა აქვს თავადთა კავშირთან“-ო, მაგრამ ვინ წარმოადგინა ასეთი ბრალდება? — არავინ. ბრალდება გარკვეული იყო: — თავადაზნაურთა საზოგადოების „დამაარსებელნი იყვენ უმთავრესად 4 თეთრგიორგელი. აქეთგან ორი თეთრი გიორგის დირექტორიის წევრი“. აი ბრალდება!

„მომავალი“, „ქართული პატრიოტული ორგანიზაცია“ — „თეთრი გიორგი“, თებერვალი, 1934 წ. პარიზი.

დასახელებული ორგანო ეკუთვნის იმ ჯგუფს, რომელიც „თეთრი გიორგის“ გამოეყო. თუ ამ განხეთქილების მიზეზი რა იყო, ჩვენ ამას ვტყობილობთ მეთაური წერილიდან, სადაც 14 მუხლით გამოსახულია ის სადავო საკითხები, რომლის შედეგად ჩვენ „მომავალი“ ვიხილეთ. გაზეთი „მომავალილ“, რასაკვირველია, სდგას „ერთ მთლიან და განუყოფელ ეროვნულ ინტერესების ნიადაგზე“, და ამ თვალსაზრისით იგი უკიჟინებს „თეთრი გიორგის“, რომ ის ამ პოზიციას სწორად ვერ გამოხატავდა და არღვევდა ამ დებულებას, როგორც იდეოლოგეურ ისე ტაქტიკურ ხაზზეო. და ამის დასამტკიცებლად მას მრავალი საბუთი მოაქვს. ჩვენ არ შევჩერდებით იმ ამბავზე, რომ სადავო საკითხად გამხდარან თვით პიროვნებანი და მათი მოქმედებანი, ანუ როგორც ამბობენ, მათი „ყიზილბაშური“ „სიცრუეები“ და არა-ზნეობრივი ზომები ერთმანეთის მიმართ. ჩვენ აქ ყურადღებას მივაქცევთ მხოლოდ რამოდენიმეს, რათა ჩვენი მკითხველი გაერკვეს, თუ არსებითად რაზეა დავა. დავუგდოთ ყური: — „იგივე თავშეუკავებლობა გამოვიჩინეთ პრესაშიც: როგორც მოვლენებისადმი, ისე კერძო პირებისადმი, რამაც საზოგადოება ჩვენდამი განრისხებამდი მიიყვანა. პრესაშიც, იმავე საქართველოს სინამდვილის არ-ცოდნის გამო, ხანდისხან ხოტბებს ვასხამდით ჩვენი დროის მოთხოვნილებათაგან სრულიად შორს მდგომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მიუღებელ მოვლენებს, რომ ძალაუნებურად ოცნების და ვოლ-
ეზიის სფეროში შევდიოდით.... ხოლო ჩვენ მოპირდაპირეებთან,
განსაკუთრებით კლასთა ბრძოლის თეორიის მიმდევრებთან ბრძო-
ლის დროს ისე შორს წავედით, რომ ამგვარი ფორმით ჩვენი ეროვ-
ნული იდეების გამოხატვით, სხვებმა მოპირდაპირე კლასობრივი
იდეები დაინახეს. **მაშასადამე აქაც ჭვენ მივეცით საბუთები მოწინა-
აღმდეგეთ თეთრი გიორგი რეაქციონურ და ფეოდალურ ორგანიზა-
ციად მოენათლათ...** (ხაზი მათია)... კლასობრივ სოლიდარობაზე,
კორპორაციებზე და ისეთ მოვლენებზე, რომლის ბაზა ჯერ არცა
სჩანს დღევანდელ საქართველოში, თითქმის ყოველ ნომერში ვწერ-
დით. ამავე მოვლენამ მისცა საბაბი საზოგადოებას ეფიქრა, რომ
ჩვენ მხოლოდ მშრალი დოგმები ვისესხეთ მუსოლინისაგან და ჩვენი
ჩლუნგი კბილებით ვღეჭავთ მას.“ და სხვა...

ამას ზედ ემატება კიდევ ის ბრალდება, რომ „თ.გ.“ ზოგიერთი
ხელმძღვანელი აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა წოდებრივ ორ
განიზაციის დაარსებაში და სხვა. მაგრამ ყველაზე უფრო უცნაურია
ბ. ლეო კერესელიძის საუბარი ბ. ს .სეხნიაშვილთან, რომლიდანაც
შემდეგი ადგილი მოგვაქვს: — „არავითარ მოთხოვნილებას მე არ
ვიღებ“ ეუბნება ბ. კერესლიძე მას: — „თქვენ კი არა, გინდ ყვე-
ლა გადამიდგეთ ამას ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს იმ დროს, რო-
ცა გარეშე პოლიტიკაში გავიმარჯვე, გესმით თქვე მოღალატენო!
მე უკვე ოფიციალურად ვარ დანიშნული მეორე ქართულ ლეგიო-
ნის სარდლად და ეხლა პირდაპირ სამხედრო აღრიცხვას ვახდენ.
ვინც აღრიცხვაში არ გატარდება, იმას დეზერტირად გამოვაცხადებ.
გამარჯვება ჩემია და ვინც მე გამომყვება, მას ჩავიყვან საქართვე-
ლოში. ვინ რა უნდა დამაკლოს, გინდ ხუთი კაცი დამრჩეს, ჩემთვის
საკმარისია, რათგან ჩემს განკარგულებაში ათი ათასი შვეიცარი-
ელია. მე გავიმარჯვებ და ხვალ მე ვიქნები საქართველოს მმართ-
ველად“...

ახსნა-განმარტება მეტია.

ბ. ვარდანი

ფული და მასალები შემდეგი მისამართით უნდა გადმოიგზავნოს:

Mr AKAKI CHAVGOULIDZE

50, Rue Vauthier, Boulogne-sur-Seine, France.

IMPRIMERIE «PASCAL». 13, RUE PASCAL. PARIS.